ISSN 0130 1624

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დროშა

აპრილი
№ 4. 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხული სოფელში



გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმი.

სურათზე: (მარცხნივ) მოწინავე მექანიზატორი, ლენინის ორდენოსანი ივანე ძმანაშვილი და მემინდვრეობის მოწინავე მუშა გიორგი ხარაძე.

თარხან არჩვაძის ფოტო.

# გამარჯვებული რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1981 წლის 20 მარტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ნ. ვ. ტალიზინს, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელებს მხურვალედ მიულოცა დამსახურებული საპატიო ჯილდო და გადასცა მათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მილოცვა და მისი სახელით ახალი დიდი წარმატებები უსურვა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომაში.

ამხ. ნ. ვ. ტალიზინის გამოსვლის დროს გაიმართა საქართველოს სსრ ხელმძღვანელებისა და მშრომელთა წარმომადგენლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის ცერემონია.

სურათზე: საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს.

გ. კიკვაძისა და ს. ელიშერაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№4 (532). აპრილი, 1981

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1981 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გურამ მგელაძე,**
საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.

# ამაყანს სიტყვით, ამაყანს საქმით

მარად დაუვიწყარი და ღირსსახსოვარი მომენტებით ალსავსეა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება. პარტიას არ გააჩნია ხალხის კეთილდღეობაზე უფრო მაღალი მიზანი და ამიტომაც არის, რომ ერთია პარტიისა და ხალხის გულისთქმა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეათე ხუთწლედი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ ღრმა და ობიექტური შეფასება მისცა ლენინური პარტიის, საბჭოთა ხალხის მოღვაწეობას განვლილ ხუთწლედში, აღინიშნა, რომ ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი, განმტკიცდა ქვეყნის ეკონომიკა და თავდაცვისუნარიანობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ამასთან, პარტიამ მოურიდებლად ამხილა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ცალკეული ნაკლოვანებანი და დასახა მათი გამოსწორების რეალური გზები. ერთი სიტყვით, ჩვენმა ხალხმა მიიღო მეცნიერულად დასაბუთებული სამოქმედო პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის და უკვე პრაქტიკულად დაიწყო ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელება.

საბჭოთა ადამიანების ტრიუმფალური სვლა კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობითა და მითითებებით. ეს არის მრავალგზის ნაცადი, ბრძნული და გენერალური ხაზი, რომელსაც მტკიცედ ვადგავართ, რომელსაც გამრუდება არ უწერია.

რაოდენ სასიხარულო იყო, რომ ამხანაგმა ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიზანსწრაფულ და პრინციპულ მუშაობას რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენს სიხარულს აორკეცებს და შრომით აქტივობას ზრდის ის ფაქტიც, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ამაში ვხედავთ რესპუბლიკის ყველა მშრომელის გარჯის უდიდეს აღიარებას და შემდგომი თავდადებული, გმირული შრომის სტიმულს.

ასე ხელდამშვენებული და წელგამართული დღემდე არც ერთ ყრილობაზე არ მისულა საქართველოს რესპუბლიკა. საქართველოს ყველა კუთხეში ფუტკარივით შრომობდა მაშვრალი კაცი, რათა რესპუბლიკას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში აეღო მეათე ხუთწლედის მაღალი მიჯნები. საყოველთაო შეჯიბრებაში გამარჯვებას გამარჯვებაზე ჰედდნენ კახელი მევენახე, ქართლელი მეხილე, აჭარა-აფხაზეთის მეჩაიე თუ კოლხი მესიმინდე.

სიმართლე და შრომის სიყვარული უდევს საფუძვლად ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მომხდარ ძირეულ გარდაქმნებს, სასიკეთო ფერისცვალებას, სოფლის მეურნეობის ხვავსა და ბარაქას. მშრომელი კაცის გარჯას რომ ფასი დაედო, გლეხკაცმაც პირი იბრუნა სოფლისაკენ, ისევ საყვარელ, მარჩენალ მიწას უერთგულა და სასწაულების მოწმე გაგვხადა.

უკანასკნელ წლებში აბაშის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გაატარეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოფლად საწარმოო ურთიერთობათა საკითხების სრულყოფისა და პარტიის აგრარული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების მუშაობაში დასანერგავად. ეს სიახლეები დღეს აბაშური ექსპერიმენტების სახელითაა ცნობილი და უკვე საქვეყნოდ არის აღიარებული მათი დადებითი საბოლოო შედეგები.

წარმოების მოცულობათა სისტემატური ზრდა, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, მომთხოვნელობის ამაღლება და დაუცხრომელი ძიება რაიონის თვითეული შრომითი კოლექტივის ურყევ ტენდენციად იქცა.

რაიონის მშრომელთა თავდადებული გარჯის შედეგად მეათე ხუთწლედის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა ოთხ წელიწადში. განსაკუთრებით გაიზარდა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების — მარცვლეულის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 81 ათასი ტონის ნაცვლად მოვიყვანეთ 101 ათასი ტონა სიმინდი; ნაცვლად გეგმიური 17 ათასი ტონისა, სახელმწიფოს მიეყიდა 40 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი.

ხუთწლედის დავალებანი ხორცის წარმოების საქმეში შესრულებულია 121 პროცენტით, დამზადებისა — 128 პროცენტით, რძისა — შესაბამისად 107 და 123 პროცენტით, ბოსტნეულისა — 162 და 177 პროცენტით.

დიდი გადაჭარბებით რეალიზებულია აგრეთვე ხილის, ჩაის, ეთერზეთოვანთა ნედლეულის, აბრეშუმის პარკის, ყველა სახის საკვების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

შარშან, ბუნების არაერთი ჭირვეულობის მიუხედავად, გამარჯვების მთავარ კვარცხლბეკზე დადგა აბაშელი მხვნელმთესველი. რაიონის მესიმინდეობის ისტორიაში პირველად დაძლეულ იქნა საშუალოდ ჰექტარზე ორმოცდაათცენტნერიანი ზღვარი, სამშობლოს მიეყიდა სამჯერ მეტი სიმინდის მარცვალი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა საზოგადოებრივ მეურნეობათა მატერიალურტექნიკური აღჭურვილობა. რაიონში შეიქმნა მზარდი ინდუსტრიული კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობის უზრუნველყოფას.

მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონი ზედიზედ მერვედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც უკვე საიმედოდ უჭირავს ხელში აბაშელი მშრომელი კაცის მოუღლელ მარჯვენას.

ყველა მიღწევა და თვალსაჩინო გამარჯვება, რაც ამ ბოლო წლებში იქნა მოპოვებული აბაშის რაიონში, უშუალო შედეგია იმ დიდი მხარდაჭერისა და ყოველდღიური პრაქტიკული დახმარებისა, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა იჩენს, რაიონის პარტიული ორგანიზაციისადმი რთული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება ვყოფილიყავ სკკპ XXVI ყრილობაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ წარგზავნილთა შორის. საბჭოთა კომუნისტების ეს უმაღლესი ფორუმი უდიდესი ნიშანსვეტია ჩვენი კომუნისტების, ჩვენი ხალხის, ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის, ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის ცხოვრებაში.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში, ყრილობის სხვა მასალებში ხაზგასმულია მშრომელი ადამიანებისადმი შეუნელებელი ზრუნვის აუცილებლობა. და ეს ანიჭებს ყრილობის დოკუმენტებს განსაკუთრებულ ძლიერებასა და ცხოველმყოფელობას, საბოლოო ჯამში









ხომ პარტიის გეგმების შესრულება მატერიალური დოვლათის შემქმნელი ადამიანების მეშვეობით ხდება.

პარტიამ კიდევ უფრო გააძლიერა ყურადღება სასურსათო პროგრამის განხორციელებაზე მეთერთმეტე ხუთწლედში. ასეთი კურსი განპირობებულია სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აბაშის რაიონში რეალური საშუალებები გაგვაჩნია პარტიის ამ პროგრამის განხორციელებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ხორცის წარმოება-დამზადება ახალ ხუთწლედში ორჯერ და მეტად გაიზრდება, ხოლო რძისა — სამჯერ.

სავსებით გამართლებულია და ცხოვრებით ნაკარნახევი რაიონული რგოლის განმტკიცებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების საკითხი. პარტიის აგრარული პოლიტიკა ხომ ძირითადად რაიონულ რგოლში ხორციელდება და რამდენად კვალიფიციური, მაღალკომპეტენტური იქნება ეს ორგანო, ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკური სტრატეგიის სწორად წარმართვა. ვფიქრობ, ფართო რეზონანსი მიეცემა ამ საყურადღებო მოსაზრებას და პარტიის რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნება დარგობრივი განყოფილებები. ამით საქმე უთუოდ მოიგებს.

ბუნებრივია, დავბრუნდი თუ არა ყრილობიდან, ათასი საფიქრალი გამიჩნდა. ყრილობის რვადღიანმა დაძაბულმა და უაღრესად საინტერესო მუშაობამ მიკარნახა კიდევ ერთხელ ღრმად ჩავიხედო ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებში, კრიტიკული თვალით გავაანალიზოთ განვლილი მუშაობა და მოვუხმოთ ახალ ძალებს, ახალ რეზერვებს.

ახლა რაიონში ფართოდ მიმდინარეობს ყრილობის მასალების გაცნობა და შესწავლა. თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში, შრომით კოლექტივში შედგენილია ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, გამოკვეთილია პირადი ხუთწლედები და, რაც მთავარია, ყოველი მშრომელი განმსჭვალულია მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის პათოსით, რაც ყოველდღიურ საქმიანობაში ვლინდება.

ნაადრევად შემოვიდა გაზაფხული კოლხეთში. ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან არ უშვებენ მექანიზატორები, მებოსტნეები, ეთერზეთოვან კულტურათა სპეციალისტები. ხნავენ, შეაქვთ მინერალური სასუქები, ამზადებენ კვალსათბურებს. ფერმებიდან კი სულ უფრო უხვად მოედინებიან თეთრი ნაკადულები. არავის ავიწყდება, გაზაფხულის ერთი დღე რომ წელიწადს კვებავს!

აბაშელთა მიმდინარე წლის ამოცანები ძალზე რთულია და უაღრესად საპატიო. მთელი პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ამჟამად რაიონში ამ საპატიო ამოცანების განხორციელებას ექვემდებარება.

# მინისტრი მოგვითხრობს



ვ. სოგოლევი

ფოტო ანზორ გოგოლაძისა

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოზოლევს** ამას წინათ ეწვია ჟურნალ „დროშის“ კორესპონდენტი **რობერტ მეგრელიშვილი** და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

**— პატივცემულო ვლადიმერ, როგორი მაჩვენებლებით დაამთავრა საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგმა მეათე ხუთწლედი?**

— რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებმა და საწარმოებმა ნაყოფიერად იმუშავეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, ჩვენი პარტიის მომდევნო დადგენილებათა შესრულებისათვის. რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემამ თავისი არსებობის მანძილზე მეათე ხუთწლედში პირველად მიაღწია ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების საშუალო საკავშირო დონეს.

გასულ ხუთწლედში საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდის ტემპი რესპუბლიკაში ამაღლდა 1,6-ჯერ, შრომისნაყოფიერება — 1,4-ჯერ, მოგება — ერთნახევარჯერ, რენტაბელობა — 12,1-დან 16,2 პროცენტამდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელმა.— საყოფაცხოვრებო მომსახურების წყალტუბოს სამმართველომ უფლება მოიპოვა ეს სამსახური წარედგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა.

სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონულ სამმართველოში საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე საკმაოდ დაბალია და „კარგი“ მაჩვენებელი მიღწეულია არა ყველა სახეობის, არამედ მხოლოდ რამდენიმე სახეობის უპირატესი განვითარებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო მომსახურება ძირითადად რაიონულ ცენტრებში ხორციელდება, სოფლებში მხოლოდ საპარიკმახერო, ფეხსაცმლის შემკეთებელი ჯიხური, ზოგან კი ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის პუნქტებია გახსნილი. ეს არის და ეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ შარშან მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში სოფლის საყოფაცხოვრებო სამსახურის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ მთის რაიონების სოფლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ერთ სულ მოსახლეზე 4-5-ჯერ ჩამორჩება რესპუბლიკურ საშუალო მაჩვენებელს. ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, წალკის, მესტიის, თიანეთის რაიონების ზოგიერთი სოფელი კი მთლიანად მოკლებულია საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მომსახურების საწარმოთა გამტარუნარიანობა აფხაზეთისა და აჭარის კურორტებზე ზაფხულის სეზონში ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჟურნალმა „დროშამ“ გამოაქვეყნა დავით გოგოჭურის წერილი „ხევსურეთი... ხევსურეთი“...

წერილში აღძრულია საყურადღებო საკითხები, რომლებიც საქართველოს ამ წარმტაცი კუთხის აღორძინებას და მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას შეეხება.

ხევსურეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში სხვადასხვა სამინისტროებთან, შესაბამის დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, ჩვენმა სამინისტრომაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი.

ამ საკითხს დეტალური შესწავლა, ღრმა გააზრება და ოპერატიული ზომების მიღება სჭირდება.

ვიმეორებთ: მომსახურების დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. ცუდი მუშაობა უმთავრესად გამოწვეულია არა იმდენად ობიექტური მიზეზებით, რამდენადაც ორგანიზატორული ხასიათის გადაუჭრელი საკითხებით. საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთ მუშაკს ჯერ კიდევ სათანადოდ არ აქვს ჩანერგილი დისციპლინის, თავისი საქმისადმი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი უპირველესი ამოცანაა, დავძლიოთ მუშაობაში არსებული ხარვეზები და სანიმუშოდ მოვემსახუროთ მშრომელებს.

**— როგორ განვითარდება რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო სამსახურის დარგი მეთერთმეტე ხუთწლედში?**

— საორიენტაციო ზრდის საშუალო წლიური ტემპი 7,7 პროცენტს ითვალისწინებს, ეს ციფრი სოფლად 14,9 პროცენტით გაიზრდება. გათვალისწინებულია თანმიმდევრულად განვახორციელოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის კურსი — მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების გზით.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი სამინისტროსთვის საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტების ასაგებად გამოყოფილია მნიშვნელოვანი თანხა. მიმდინარე წლიდან გვექნება საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების ფონდი. გარკვეული სახსრები (კაპიტალდაბანდებების ლიმიტის დამატებით) მოხმარდება რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში ასევე უნდა დაგვეხმარონ სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები.

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო სამსახურის ტექნიკური აღჭურვის კონკრეტული ღონისძიებანი. ხუთწლედის პირველ წელს დარგი მიიღებს შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტ სხვადასხვა ხელსაწყოს, მოწყობილობასა და მანქანას. სათანადო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ეჭვი არ არის, ჯეროვან დასკვნებს გამოიტანენ საშემსრულებლო დისციპლინის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან და დროულად უზრუნველგვყოფენ ნედლეულით, ფურნიტურით, სათადარიგო ნაწილებით.

სახელმწიფო გეგმების შესრულებასთან ერთად, მეთერთმეტე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობის ხარისხიანად და მათთვის მოსახერხებელი ფორმით მომსახურებას.

ჩვენი ამოცანაა, ყველა საწარმოში დავნერგოთ ე. წ. ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. იქ, სადაც ასეთი სისტემა მოქმედებს, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი 15 პროცენტით გაიზარდა, საჩივრების რაოდენობა კი ორჯერ შემცირდა. საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში უკვე შეიმუშავეს მატერიალური სტიმულირების დებულებანი მომსახურების ხარისხისა და კულტურის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომსახურების ისეთი ფორმების დანერგვა, როგორიცაა შეკვეთების მიღება სამუშაო ადგილებზე, საერთო საცხოვრებლებში, შეკვეთების სასწრაფო შესრულება მეთოდით — „დღეისათვის“, სადაც არ არსებობს საყოფაცხოვრებო სამსახურის სტაციონალური პუნქტები — გამსვლელი მომსახურების შემოღება და სხვ.

მონდომება, თავდადებული შრომა, დასახულ ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება საშუალებას მოგვცემს წარმატებით დავაგვირგვინოთ მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენს წინაშე დასახული დიდი ამოცანები.

**— საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული კადრების სტაბილურობაზე, პროფესიული ოსტატობის სრულყოფაზე. რა კეთდება ამ მხრივ თქვენთან?**

— მომსახურების სფეროში სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არასაკმარისი დონე კადრების დენადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ამიტომაც არის, რომ დარგის ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა, საწარმოთა სათანადო აღჭურვა და გამსხვილება, ჩვენი სამინისტროს უპირველესი ამოცანათაგანია. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე დამრიგებლური მოძრაობის და კოლექტივებში შრომითი აღზრდის ყველა ფორმა-მეთოდის გამოყენებას.

გულახდილად უნდა ვთქვათ, საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებს ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევათ, ნაკლებად უყოფენ ბინებს, დასასვენებელი სახლების საგზურებს. ასევე იშვიათად შეაქვთ მათი სახელები „შრომითი დიდების წიგნში“...

საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკების პრესტიჟის ასამაღლებლად, ამ მხრივაც, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების დიდი დახმარება გვჭირდება. მწერლებმა და ჟურნალისტებმა უნდა წარმოაჩინონ ჩვენი დარგის საუკეთესო ადამიანები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს რესპუბლიკის სოფლის რეგიონებში. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა საჭირო სპეციალისტები არ გვყავს და ახლად აშენებული საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები თვეების მანძილზე უმოქმედოდ დგას.

საჭირო და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობაა ის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში დაუყოვნებლივ შემოვიღოთ მოსწავლეთა პროფორიენტაცია საყოფაცხოვრებო სამსახურის სპეციალობით.

**— რა კეთდება დარგში ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად?**

— მომსახურების სფერო უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის განუხრელ ამაღლებასთან. ამიტომაც, ნეგატიურ მოვლენებთან უკომპრომისო ბრძოლას სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენი სამინისტრო მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V და VIII პლენუმებზე. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო მუდმივმოქმედი კომისია. ანალოგიური კომისიებია შექმნილი პარტიის რაიკომებთან, მთელ რიგ სამინისტროებსა და საქვეუწყებო სტრუქტურულ ქვეგანყოფილებაში. მუშაობს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კომისია.

ჯერ კიდევ ვერ შევძელით ყველგან დაგვემყარებინა სრული სახელმწიფო წესრიგი. სისტემაში ისევ გვხვდება უხეში დარღვევების ფაქტები: პრეისკურანტით დადგენილი ფასების დარღვევა, ანგარიშში მოტყუება, წამატება და სხვა.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ აღმზრდელობითი და საწარმოო ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის აუცილებლობას. ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, შრომის, სოციალისტური შეჯიბრების, მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საკითხებზე ზრუნვას.

ჩვენი კომისიის საქმიანობაში ზოგჯერ ფორმალიზმი იჩენდა თავს. არ ხდებოდა მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი შემოწმება. მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისიდანვე კომისია ღრმად შეისწავლის და გააანალიზებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომარაგება, შრომის პირობები, რესურსების გამოყენება, კადრების სწორი შერჩევა, მათი განაწილება და სხვ. ყველა ეს ღონისძიება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართალდარღვევათა შემცირებას.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს მინდა ვაუწყო, რომ ჩვენი მრავალათასიანი კოლექტივი სწორ დასკვნებს გამოიტანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ძირეულად გარდაქმნის თავის მუშაობას და ბევრად უკეთ მოემსახურება მშრომელებს.

# მუდამ შენთანა ვართ, მშობლიურო პარტიავ!

## საქართველოს მწერალთა IX ყრილობა

**30 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს მწერალთა IX ყრილობა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ.**

მქუხარე ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ე. მ. მირონოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გურამ ენუქიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მწერალთა IX ყრილობისადმი.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, მწერალმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ.

დამტკიცდა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა: ნოდარ დუმბაძემ, გიორგი ნატროშვილმა, მუშნი ლასურიამ, ჭაბუა ამირეჯიბმა, მედეა კახიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, მორის ფოცხიშვილმა, ელგუჯა მაღრაძემ, ოთარ ნოდიამ, შოთა ნიშნიანიძემ, კოსტა მარღიევმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გივი ორჯონიკიძემ.

საქართველოს მწერალთა ყრილობას მიესალმნენ: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. სუროვცევი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ა. გრიგორიანი, ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ლ. რაზმაძე.

31 მარტს საქართველოს მწერალთა IX ყრილობამ მუშაობა განაგრძო.

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა: არჩილ სულაკაურმა, ვახტანგ ჭელიძემ, დავით კვიცარიძემ, ხუტა ბერულავამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი ჯიბლაძემ, პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა, ახალგაზრდა მწერლებმა თეიმურაზ დოიაშვილმა და მაყვალა გონაშვილმა.

ყრილობას მიესალმნენ ცნობილი რუსი მწერლები: მ. დუდინი და ე. ევტუშენკო, აზერბაიჯანელი მთარგმნელი დ. ალიევა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ნითლიძე.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

მქუხარე ტაშის გრიალში ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა საანგარიშო პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მუშაობა და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

შემდეგ ყრილობამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, საქართველოს მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და სსრ კავშირის მწერალთა VII ყრილობის დელეგატები.

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელიც გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.

პლენუმმა აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო და პრეზიდიუმი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს ლენინური პრემიის ლაურეატი ნ. დუმბაძე.

მდივნებად აირჩიეს: გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, შ. ნიშნიანიძე, რ. მიმინოშვილი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, პოეტი ე. ნიჟარაძე.

## „დროშის" კონკურსში გამარჯვებული



ჯემალ მეხრიშვილი

ნარკვევი

# ვის უმღერის მიხაქელი ქალიშვილი?



შირაქისა და ალაზნისპირეთის სამანზე, ლალიანბარაქიანი საძოვრებით განთქმულ ტაფობში დაუდვია ბინა წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის პირველ ბრიგიდას.

ერთხელ, შემოდგომის ბუნიობისას, გააფთრებულმა ქარბობოლამ გორაკზე ატუზული ელექტრობოძი ძირს დაანარცხა და ფერმა უშუქოდ დარჩა. მეტი ჩარა არ იყო — სანამ ხაზს აღადგენდნენ, შვიდ მწველავს 258 ძროხა ხელით უნდა მოეწველა.

ფერმაში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა: ცურებგატიკნულ ფურებს რძე ძირს ელვრებოდათ და ბღავილით იკლებდნენ იქაურობას. დედების გნიასს ბაგაში გამომწყვდეული ბოჩოლებიც ბანს აძლევდნენ, რომელთაც ვერა და ვერ გაეგოთ, რძეს რატომ უგვიანებდნენ.

მწველავები ჯარასავით ტრიალებდნენ და ფუთიან ვედროებში რძეს ისეთი ღლარადღური გაჰქონდა, კაცს ეგონებოდა, ფერმის შიფერს კოკისპირული წვიმა დასდისო.

წითელწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსი ნადია ალხანაშვილი, რომელიც რძის ცხიმიანობის საკონტროლო გასინჯვაზე ჩამოსულიყო, თვალს ვერ აშორებდა თვრამეტიოდე წლის გოგონას, რომელიც ისეთი გატაცებით ატოკებდა ხელებს, თითქო ფურს კი არ წველის, არამედ პიანინოზე უკრავსო.

მართლაც საამო საცქერი იყო ეს მოქნილი, მოლურჯო თავსაფარწაკრული ქალიშვილი, რომელსაც პაწია სკამი ჭრელი ჩაფარიშით შემოერტყა წელზე — მის აღება-დადგმაში დრო არ დამეკარგოსო — და გამალებით მუშაობდა. იგი ტოლს არ უდებდა გამოცდილ ოსტატებს და ფურს ფურზე წველიდა! ძროხას უჯდა თამამად და მსუბუქად, მოხდენილი თავი ქეშად გადაეხარა. მოუსვენარი მხრები მის ენერგიაზე მეტყველებდნენ. პატარა, მაგრამ შეუპოვარი ხელები ისეთი ოსტატობით მოძრაობდნენ, ხამი კაცი იფიქრებდა: ამ ქალიშვილს ვინ მისცა ხანსრული მწველავის გამოცდილებაო. მხოლოდ თვალმახვილსა და მცოდნე ადამიანს შეეძლო დაესკვნა — დამწყებ მწველავში ძველ მესაქონლე მთიელთა ტრადიცია და შნო უფრო ყავდა, ვიდრე გამოცდილება.

— ახალია? — ჰკითხა ნადიამ ბრიგადირს და თვალით ანიშნა ჯულიეტა ჭიჭარაულზე.

— მეშვიდე დღეა. — მიუგო შოთა [illegible]ერიაშვილმა.

ჯულიეტა ჭიჭარაული 1976 წელს მივიდა ფერმაში კომკავშირული საგზურით. ალღოიანი ახალბედა მაშინვე მიხვდა, რომ მწველავის პროფესია მარტო ფურისათვის საწველი აპარატის მორგებას და რძის გადაწურვას არ ნიშნავდა. საგვარეულო ღირსება რომ არ შეერცხვინა, საჭირო იყო სწავლა. ჯულიეტა ამისათვის სურვილიც გააჩნდა და დამრიგებლადაც მრავალწნაცადი მართა დავითური მიუჩინეს, რომელსაც ოცი წლის გამოცდილება უმაგრებდა ზურგს.

— შვილო, ჯულიავ, ხბორები ნაარხაჯალაზე ნუ დაგიდის, — მოძღვრავდა დამრიგებელი, — თორემ მანდ შხამიანი ბალახი იცის და... რომლებიაო? ვიშა, რაღა ვქნა, ასე ლაპარაკობ, ვითომ ქალაქიდან იყო ჩამობრძანებული... მიწის შვილი არა ხარ, ქაჯან?! აი, პიტნას რომ წაავავს, შვილო, ეს ბელადონაა, ძალზე შხამიანია და ხბომ თუ კი ბევრი [illegible] იქნებ მოგიკვდეს კიდეც... [illegible] კი — დააკვირდი ღეროსა და ფოთლებს — ლემ[illegible]...

წველა დამთავრდა. ჯულიეტამ თავისი ხბორები საბალახოდ გაილალა. მართლაც მორჩა საქმიანობას, მოიკითხა შეგირდი და ხბოები, მაგრამ სადღა იყვნენ: შორს, ფერმისგალმა ყორულში წერტილებადღა მოჩანდნენ.

— აქ სად გამოგირეკია, გოგო! — ჯავრობს სირბილისაგან აქოშინებული დავითური.

— ხამ ბალახს დავხარბდი!

— ბალახი კარგია, მაგრამ... — ეუბნება დამრიგებელი და ჩრდილოეთიდან წამოსულ ღრუბელზე უთითებს, — ხედავ?

— მერე?

— მერე ისა, რო სეტყვის ღრუბელია! უცებ რომ წამოუშინოს, რას შვრები — ან შენ სად შეაფარებ თავსა, ან ხბორებს სად შეაფარებ? გახსოვდეს, რიგიანმა მენახირემ სამ რამეს უნდა უთვალთვალოს: ბინას, საძოვარსა და ცას... გამოირეკე! აგერ, წინწკლავს... როცა ავდრის ნიშანია, ხბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ფერმასთან უნდა ატრიალო!..

ჯულიეტა ხარბად ისმენს და ყველაფერს იმახსოვრებს.

— შვილო, სანამ ჩვილ ხბორებს საბალახოდ გამორეკდე, მანამ უნდა დაარწყულო, — ასწავლის მართა, — თორემ პირველსავე შემხვედრ წუმპეს დაეწაფებიან და თოთო კუჭს გაიფუჭებენ...

ჯულიეტას ოცი ფური ჰყავს გაპიროვნებული. ყველა მათგანი მალე შეიჩვია, ფსიტა კი თავიდან ცოტა გაუჭირვეულდა — საწველავს ახლოს არ იკარებდა. ჯულიეტას ალმური ასდიოდა სახეზე — აღარ იცოდა, რა ექნა.

— შენ ვერ ექცევი ხერხიანად, — იცინის მართა, — უცნიდან უცებ რომ აჯახებ საწველავს, საქონელია, შეკრთება, მა რა მოუვა?! სანამ საწველელს მოარგებდე, ჯერ წინიდან წამოუარე, დაენახე, დაეყნოსინე, ქედი მოუფხანე... რას იზამ, როგორც ადამიანები ვართ სხვადასხვა ზნისანი, საქონელიც ეგრეა... აბა, ახლა რატო აღარა ტლინკავს?!.

ცოდნის წყურვილმა, ახალგაზრდულმა ენერგიამ და დამრიგებლის მზრუნველობამ თავისი გაიტანა: სამიოდე წელიწადში ქინქარაულმა ისეთი მეცხოველის სახელი დაიმკვიდრა, რომ სტაჟიან მწველავსაც შეშურდება.

მართლაც რომ მწველავადაა დაბადებული — საქონლის მოცოდომადლე, გამრჯე და ტოროლასავით მოუსვენარი. ფერმელებმა ტყუილად კი არ შეარქვეს [გაჭირვების ტალკვესი.

— გოგო, ტალკვესავ, — ეძახის ლიზა დავითური, — მიშველე, საწველავი გამიტყდა!

— არ კი გატეხილა, პულსატორი ამოვარდნილა, — ამშვიდებს ჯულიეტა, მემბრანას პულსატორში უკეთებს, პულსატორს კი საწველავ ვედროზე ამაგრებს, — აბა, ჩართე!

— აქ რიღასთვისა ვარ, ნინო დეიდა, — უწყრება ჯულიეტა ხნიერ მწველავს და სახრეს ხელიდან სტაცებს, — მე ჩავრეკავ ხბორებს წყალზე!

— ჯულიავ, — ეხვეწება ვალიკო ფხიკლაშვილი, როცა საღამოთი ერთად შეგროვდებიან, — რა კარგი წიგნი იყო, ერთი გააგრძელე, შენ გახარებას!

ჯულიეტაც გადმოიღებს სამყურაჩატანებულ „ჰაჯი მურადს" და სამარისებური სიჩუმე ისადგურებს...

ქინქარაულის წარმატებების ამბავი გასცდა ქვემო ქედს და რაიონშიც შეიტყვეს. და აი, ერთხელ, რაიონული გაზეთის „ახალი შირაქის" კორესპონდენტი ნანა ქუსიკაშვილი ფერმაში ეწვია შირაქელ დამკვრელს.

თანატოლი ქალიშვილები უცებ დაამხანაგდნენ და საუბარიც გულღია გაიბა.

— საქონელი პატარაობიდანვე გიყვარდა? — ჰკითხა ნანამ.

— როგორც ყველა მთიელს! — გაუცინა ჯულიეტამ.

— მწველავის პროფესიაზეც, ალბათ, ბავშვობიდანვე ოცნებობდი, არა?

— არა!

— არა?!

— არც მიფიქრია! ათ კლასს რომ ვამთავრებდი, გადაწყვეტილი მქონდა თბილისში წავსულიყავი: ძალიან მიყვარს ხელსაქმე და ჭრა-კერვა. სულ თვითონ ვიკერავ, აი, ესეც ჩემი შეკერილია! ჰოდა... მაგრამ ერთმა პატარა ამბავმა სულ შემაცვლევინა აზრი.

— რა ამბავმა?

— მეზობელი ძეობას იხდიდა. სტუმრებში მისი შორეული ნათესავიც ერია, შუახანს გადაცილებული კაცი. ხაშლამით სავსე ხონჩას რომ მიაწვდიდნენ, მეზობელს ისე ცივად გადაულოცავდა, ერთ ნაჭერსაც არ გადაიღებდა. ველარ მოითმინეს და ჰკითხეს: ხაშლამას რაზე გვიწუნებ, რატო არ მიირთმევთო.

მე ძროხის ხორცს არა ვჭამო, გვიპასუხა.

— რადაო?

მერე ყველაფერი წვრილად გვიამბო. მამა თურმე სახადით მოკვდომოდა, დედა მის მშობიარობას გადაყოლოდა. ერთი ლატაკი ბებიის მეტი აღარავინ დარჩენოდა. ბებიას ერთი კუდალა ფური ეყიდა და იმისი რძით გამოეზარდა ობოლი. ბავშვი რომ აუტირდებოდა: სხვებს რომ დედა ჰყავთ, მე რატომ არა მყავსო, ბებია ფურზე მიუთითებდა — შენი დედა ეგ არისო. ისიც ისე შესჩვეოდა ძროხას, რომ მართლა დედას ეძახდა თურმე. მერე კი, როცა წამოიზარდა და ჭკუაში ჩავარდა, ფიცი დაედო: თავისი გამზრდელი ძროხის პატივისცემის ნიშნად ძროხის ხორცისათვის კბილი არ დაედგა.

— რა საინტერესოა, არა?

— ძალიან! ამას ისეთი გულაჩუყებითა და ცრემლის წმენდით გვიყვებოდა, რომ საქონელი უფრო მეტად შემიყვარდა, რაღაც ახლებურად, სულ სხვა გაგებით, ადამიანივით!.. თანაც სწორედ იმხანად, პარტიის მოწოდების საპასუხოდ ჩემი სწორების უმრავლესობა: ნათელა უძილაური, ნუნუ დიდებაშვილი, ბაჩუკი ჩობალაური, ვენერა გოგოლაური, შალვა ცალულელაშვილი, მიხა გამცვლელიშვილი, ვაჟა უძილაური, ჯუმბერ ქინქარაული, ივანე გოგნელაშვილი, თემო მამიაშვილი, ლამზირა უძილაური მეცხოველეობის ფერმებში წავიდნენ და არ მინდოდა მათთვის მხარი ჩამომეგდო, ვინმეს ჩამოვრჩენოდი...

საქართველოს მეცხოველეობის მხარდამხარ ქვემოქედელი ფერმის მუშაკებიც დაუღალავად იბრძვიან, რათა ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცეს მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად. 1979 წლის დამლევს, როცა მეათე ხუთწლედის ბოლო წლის გეგმებს იხილავდნენ, ქვემოქედელმა მეცხოველეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. კოლმეურნეობის კრებაზე დამტკიცდა, რომ 1980 წელს ეწარმოებინათ 1.517 ტონა რძე, მიეღოთ და შეენარჩუნებინათ 651 სული ხბო. წლის დასაწყისშივე ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრი. ყოველი მწველავი ცდილობდა გადიდებული, მაგრამ რეალური ვალდებულება აეღო.

ჯულიეტა ქინქარაულმა კოლმეურნეობის მეცხოველეთა თათბირზე პირობა დადო, რომ 1980 წელს გეგმიური 37.480 კილოგრამი რძის ნაცვლად აწარმოებდა და სახელმწიფოს ჩააბარებდა 40.000 კილოგრამ მაღალხარისხოვან რძეს.

— ნუ ჩქარობ, ჯულიავ, დაუფიქრდი, — გააფრთხილა ფერმის გამგემ ხვთისო ლოსეურაშვილმა, — ამდენ რძეს შენ ნუ ეხუმრები!

— არ ვეხუმრები... ჩამიწერეთ ვალდებულებაში!

ლოსეურაშვილმა ახლა ჯულიეტას ბრიგადირს გადახედა.

— შენ რაღას იტყვი, შოთავ?

— რაღა უნდა ვთქვა?

— ბრიგადირი შენა ხარ და მა ვინ უნდა თქვას? — მოუჭრა ფერმის გამგემ, — ამხელა ვალდებულება რომ ვერ შეგისრულოს, მერე მოდგნენ და მაკრიტიკონ — ფერმაში ჩამორჩენილი მწველავი ჰყავსო, მოგეწონება?

— რათ მომეწონება!

— ჰოდა!..

ბრიგადირი ჩაფიქრდა და შეჭმუხნულ სახეზე ხელი ჩამოისვა.

— ყოჩაღი გოგოა... საქონლის მუღამი იცის... გაუფორმეთ!

— თქვენ იცით! — ესლა ჩაიდუდუნა ფერმის გამგემ და მდივანს ანიშნა, ჩაწერეო.

ჯერი ახლა ხბოების მიღება-გამოზრდის ვალდებულებაზე მიდგა. ხნიერი მწველავები არ ჩქარობდნენ: უნდოდათ ჯერ ახლგაზრდები ელაპარაკებინათ, თავიანთი სიტყვა კი ბოლოს ეთქვათ.

ყველა იმ კუთხისაკენ იყურებოდა, სადაც ჯულიეტა ქინქარაული იჯდა. იმანაც ველარ გაუძლო ხალხის ჩაყინებულ მზერას და ისევ პირველი მივიდა ტრიბუნაზე. ჯულიეტას სიტყვა მოკლე იყო:

— პირობას ვიძლევი, რომ ოცი საფურაკე ფურიდან ოცი ხბო მივიღო და შევინარჩუნო!

— ეგ ზღაპარია! — გამოსძახა ვილაცამ დარბაზიდან.

— მართალს გეუბნებიან, — მიმართა ბრიგადირმა ჯულიეტას, — ოციდან შენ მარტო ჩვიდმეტი ხბო გამომიზარდე და [illegible] ჩემი ფულით გიყიდი!

— მე მაინც ოცი ხბოსათვის ვიბრძოლებ! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ჯულიეტამ და ტრიბუნიდან სწრაფად ჩამოვიდა.

* * *

...მიიწურა მეათე ხუთწლედის ბოლო წელი.

ჯულიეტა ქინქარაულმა თავის ვალდებულებას გადააჭარბა და ნამატის მიღება-შენარჩუნებაში პირველი ადგილი დაიკავა რაიონში: ოცი ფურიდან ოცდასამი ხბო მიიღო და გამოზარდა. იღბალიც გაბედული მწველავის მხარეზე აღმოჩნდა: სამმა ძროხამ — თეთრომ, ფსიტამ და ფოთოლამ ტყუპ-ტყუპი მოიგეს!

არც რძის წარმოებაში შეურცხვენია პირი: ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ მიჯნებს შეუტია — გადაწყვიტა 1980 წლის ვალდებულებით გათვალისწინებული 40.000 კილოგრამი რძე 15 დეკემბრისათვის ეწარმოებინა და მერე ახალი ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშზე განეგრძო მუშაობა.

ახალგაზრდა დამკვრელმა აღებული სიტყვა შარშანდელი 26 ნოემბრისათვის შეასრულა.

სკეპტიკოსებმაც მოკაკვეს თითი და სიბეჯითე შეუქეს გამარჯვებულს. რა დასამალია და, ჩუმჩუმად ამასაც კი ლაპარაკობენ, ეს გოგო რამდენიმე წელიწადში აი, ნახეთ, თუ ზაირა ალხანიშვილისნაირი მწველავი არ დადგინდესო.

* * *

კავკასიონის თხემებზე თოვლი დევს. შირაქში მშრალი ამინდები დგას. თბილი მზე ალერსიანად დაჰყურებს ტაფობში გაშლილ მეძროხეობის ფერმას.

წველას რომ მოათავებენ და რძის ჭურჭელს ცხელი წყლით დარეცხავენ, საკვების დაყრამდე საათნახევარი დრო რჩება და მწველავები დასასვენებლად მილაგ-მოლაგდებიან ხოლმე.

ჯულიეტას კი არ ესვენება, ისევ თავის ხბოებს დაჰკუტკუტებს და ეფერება. თან რომელიღაც სატრფიალო კაფიას მღერის თავისთვის ხმადაბლა.

რაზე მღერის, ვის უმღერის შირაქელი ქალიშვილი?

ეს მარტო თვითონ იცის.

# ნოდარ შამანაძე

## ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა ცნობილი პოეტის, პროზაიკოსისა და მეცნიერმუშაკის ნოდარ შამანაძის დაბადების 50 წლისთავი.

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია შეიყვარა ნ. შამანაძის ოპტიმისტური პოეზია, მათ შორის პატარებისათვის შექმნილი მშვენიერი ლექსები. სასიამოვნოა, რომ ეს ნაწარმოებები მდიდარ ქართულ ფოლკლორში პოულობენ სათავეს.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია გულითადად მიესალმებიან საყვარელ მეგობარს, ულოცავენ თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ მას ახალ შემოქმედებით წარმატებებს.



### თქვენ გამარჯვების მაისს მოჰყევით

ომის ვეტერანებს

ბაიებს ვგავდით შემჭკნარ ლოყებით,
თოთო გულებში ქარი ავობდა;
თქვენ გამარჯვების მაისს მოჰყევით,
მოგყვათ მაისის დარიანობა.
ნაგვალევ ჯეჯილს გვასხურეთ წყალი
და ჩვენი სისხლი ამაჭრიანეთ,
შემოგყურებდით რიდით და კრძალვით
ხელჯოხიანებს, ყავარჯნიანებს.
ზოგს ნატყვიარი ისევ გტკიოდათ,
ზოგს გულში გქონდათ ჭრილობა, ალბათ...
ზოგი ჯოხითაც ვერ დადიოდით
და დადიოდით მითად და ამბად.
გვამზიანებდით მართლაც სულამდის
ჩვენს თვალში ყველა დევგმირი ჩანდით,
ფარაჯიანი თქვენი სურათი
ავგაროზივით დაგვქონდა ჩანთით.
სამხრეულს თქვენსას — ცის ლამაზ ნაჭერს,
თითქოსდა მზისკენ გაფრენა სურდა,
გამარჯვებულნი სიკვდილზე ასჯერ,
გვჯეროდა, სიკვდილს დაძლევდით მუდამ.
ცოტასლა გხვდებით... კვლავ გიმზერთ
კრძალვით,
და არ მასვენებს ბალღური ფიქრი,
მსურს უკვდავების მოვნახო წყალი,
ასი მთის იქით, ასი ზღვის იქით.
ჩამოგიტაროთ კარით კარამდის,
ყველას გასხუროთ შხეფები მისი,
რომ უკვდავები დარჩეთ მარადის,
ვინც უკვდავებას იცავდით სისხლით.

### კოლხეთში

მგზავრობის ქარმა დაგვქროლა,
ვკეცეთ და ვკეცეთ გზა დიდი,
ხან გადავევლეთ მთა-გორას,
ხან ხოდაბუნზე გავფრინდით.
ტაძარი ვნახეთ ცაიშის,
გორს შემომჯდარი ორბივით,
ცეცხლს იკიდებდა დაისში
დიდი მარტვილის ძმობილი.
თითქოს უეცრად შეღამდა,
სიბნელე წამოგვეხურა, —
ნაქალაქევის ხვრელიდან
გადავეპარეთ ტეხურას.
დამდგარა ოქროს ჯილადა
წინაპართ ნამამაცარი, —
ჩხორონყუს ზემოთ ჯიხა დგას
და ნალენჯიხას — ტაძარი.
მზე შრომის ულელს შებმია,
გვიცინის ნანვიმ-ნაქარი,
ფერდობებს შემოფენია
ფოლადის რაშთა ლაშქარი.
და იპარსება ბუჩქების
ქოჩორი, ოქროს სადარი;
განზე მიიწევს კოლხეთი,
ჭაობის ძუძუ დამშრალი,
კრიალებს ზეცა შორეთით,
ვით დედის წმინდა თავშალი.
ჯვარზე აშენდა ქალაქი,
ძალამ იმარჯვა საერთომ,
ენგურს ულელი დაედგა
და დიდ სინათლედ აენთო.
...მგზავრობის ქარმა დაგვქროლა,
ვკეცეთ და ვკეცეთ გზა დიდი,
ხან გადავევლეთ მთა-გორას,
ხან ხოდაბუნზე გავფრინდით.

### ხალხი

კითხვა მეც ბევრჯერ ამდევნებია:
— სამშობლო განა მარტო მთებია?
სამშობლო მარტო მთები არ არის,
მთანი მაღალნი მთებზე შემდგარნი,
ხალხის ნაშუქი არის მთავარი,
და ხალხის გული, გული მედგარი.
სამშობლო მარტო მთები არ არის,
არც მარტო ბარი ფართოდ გაშლილი,
ხალხის ერთობა არის მთავარი,
ხალხის ძმობა და ხალხის კავშირი.
სამშობლო მარტო მთები არ არის,
არც ზეცის ფარჩა გაუხუნარი,
ხალხის ნაშუქი არის მთავარი,
ხალხის ნიჭი და ხალხის უნარი.
ხალხს გულის ძარღვით უშენებია,
რაც უკვდავებად რჩება მარადის.
სამშობლო განა მარტო მთებია?
სამშობლო მარტო მთები არ არის.

### ლოლა ზარანდიას

ჩვიდმეტი შვილის დედას

გაქო, გაქო, როგორ გაქო,
როგორ გაქო, როგორ!
შენ ასხურე დილის ცვარი
ვარდის ჩვიდმეტ კოკორს.
შენ აწოვე მადლიანი
ძუძუ ჩვიდმეტ წყაროს,
რომ მდინარემ სიცოცხლისამ
მძლავრად იმქუხაროს.
ხეც გხვდებოდა ხელის გაშლით,
ჩვილთან ღამენათევს,
დაუგროვე თაფლი სკაში
ფუტკრის ჩვიდმეტ მართვეს.
გმირო დედავ, საქართველო
თავს მადლობით გიკრავს,
მშობელ ცაზე აციმციმებ
ჩვიდმეტ ცინცხალ ცისკარს.
გულში ჩვიდმეტ მზეს ინახავ,
სულში ჩვიდმეტ ოქროს,
შენმა სისხლმა ერის ძარღვში
მუდამ იბობოქროს!

### წიგნი

მზის თვალს მიეფარა ამ წიგნის ავტორი,
ამ წიგნის რედაქტორი და ტექრედაქტორი,
ამწყობი, გამომშვები,
ამკინძავ-კორექტორი...
აღარც მხატვარია, წავიდა იგიც...
მკითხველი?
მატულობს მკითხველთა რიგი...
და ისევ ცოცხლობენ:
ამ წიგნის ავტორი,
ამ წიგნის რედაქტორი და ტექრედაქტორი,
ამწყობი, გამომშვები, მხატვარი, კორექტორი...
მკითხველთა სიმრავლით,
მკითხველთა რიგით,
წასულთა სიცოცხლეს ინახავს წიგნი.

### ბებია

ჩემი ლექსების წაკითხვა
ბებიამ ძლიერ ისურვა
და წერა-კითხვა ისწავლა
სიბერის კართან მისულმა.
ჩემთვის ინვალე, ბებიავ,
და როცა გამახსენდები,
სირცხვილით იხრუკებიან
ის ჩემი ყრმობის ლექსები.

### ნეტავ

ჩემს მზიან დიდ ზვარს, დიდ ყანას
მართლაც, ღვთის თვალი დაჰყურებს,
სიმინდმა ყური იყარა
და დააყურა სამყურებს.
სიმინდმა ყური იყარა,
ცვარ-ნამი გადაიყარა,
ბელტი შუაზე გახლიჩა,
გულს ჯავრი ამოიყარა.
ყანამაც კარგად იყანა
და ივენახა ვენახმაც,
ესლა მაკლია: ნეტავ აქ
შენი ზოგმანი მენახა!



# ოქროსჭედლები

ოთარ დემეტრაშვილი

მოთხრობა

„დროშის“ კონკურსში გამარჯვებული

— პირველად კომბოსტო უნდა დავჭრა. ჯერ შუაზე, მერე მსხვილ-მსხვილ ნაწილებად, მერე კი წვრილ-წვრილად და მოგრძოდ.

— მერე?

— მერე ჭარხალი და სტაფილო.

— სწორეა.

— წვრილ-წვრილად დაჭრილ კომბოსტოს რამდენჯერმე ავურ-დავურევ ხელს, ავაფუშფუშებ, ქვაბში ჩავყრი, წყალს დავასხამ და ცეცხლზე შევდგამ. სწორეა?

— სწორეა.

— ხარშვაში შესულ კომბოსტოს მოთუშული ჭარხალი, სტაფილო და ხახვი უნდა მივუმატო, მწვანილი ჩავაჭრა, მარილი ჩავყარო, კოვზი მოვურიო და ნელ-ნელა ვადუღო. სწორეა?

— ისე რა.

ბიძაჩემი გიორგი ლამაზი კაცი იყო. უკვე სამოცი წლის სრულდებოდა, მაგრამ ძველი ეშხი და პეწი ისევ მოსდევდა. ღიმილის დროს ორთავე ლოყა ეჩვრიტებოდა. წარბებს ზევით სწევდა და უცნაურად უბრწყინდებოდა თვალები.

— მიდი, მიდი! — ლოყების ჩვრეტით შემაქეზა წარბებაწეულმა ბიძაჩემმა და თვალი ჩამიკრა, — ტილიპუჭურავ, რადგან დაიწყე, ბარემ ბოლომდე მიიყვანე საქმე.

— მივიყვანე და ეგ არი! ახლად მოხარშულ ბორშჩს ჯამჯამფილაზე დავისხამ, გავალიცლიცებ, მარილს წავუმატებ, ძმარს ჩავასხამ და...

ის-ის იყო ერთმანეთთან მიტყუპებული ცერა, საჩვენებელი და შუა თითების წვერები პირთან მივიტანე საკოცნელად, რომ ძია გიორგიმ შემაჩერა:

— მოიცა, არ შეჭამო!

— რატომ?

— პამიდორი?

— ეეე! პამიდორი დამავიწყდა!

— კარტოფილი?

გუნება წამიხდა. დალოცვილი ბიძაჩემი ისე მებულბულებოდა, თითქოს უკარტოფილო ბორშჩი არასოდეს გაგვიკეთებია. გაგვიკეთებია! კომბოსტოსი რა მოგახსენოთ, თორემ უკარტოფილო ბორშჩიც გაგვიკეთებია და უმწვანილოც. ის კი არა, ჩვენი ნორმა ხვრიში მარილი არა გვყოფნიდა და ზოგჯერ უმარილოდ ვაკეთებდით ბორშჩს.

ივნისი ილეოდა.

ზაფხულის არდადეგები კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ თბილისში ვიჯექი. სოფელი არა გვქონდა. არსად წამესვლებოდა და თბილისში ვიჯექი.

ირიჟრაჟებდა. წავიდოდა დედა სამსახურში და მაშინვე წამოვხტებოდი საწოლიდან. მივდგებოდი-მოვდგებოდი, დავჯდებოდი-ავდგებოდი, ავხედავდი კედელზე ჩამოკიდებულ გირებიან საათს და პურის მალაზიაში მოვკურცხლავდი.

ოთხასი გრამი მერგებოდა. პურის წიგნაკით აღებული ოთხასი გრამი შავი და გამოუმშრალი პური.

მოვიტანდი პურს. დავჯდებოდი. ალესილ-დალესილი დანით ჯერ პატარ-პატარა ნაჭრებად დავჭრიდი, მერე წვრილ-წვრილ და სიფრიფანა ქუცმაცებად. დავაწყობდი თეფშზე. დავდგებოდი ოთხზე. საწოლის ქვეშიდან ბოკაჩიოს „დეკამერონს“ გამოვაცოცებდი და პაპაჩემისეულ ტახტზე გავწვებოდი.

ვკითხულობდი. გავიშვერდი ხელს. ავიღებდი პურის ციცქნა ნაჭერს. ვჭამდი და ვკითხულობდი.

ვკითხულობდი. ვჭამდი. ვჭამდი და ვკითხულობდი.

ამოვიოხრებდი. გადავშლიდი ფურცელს. შევინაცვლებდი გვერდს. გავიშვერდი გაწაფულ ხელს და...

ფაფუ!

პური აღარ იყო.

იმ დღის შემდეგ, როცა სამხედრო კომისარიატიდან შპრეეს მისადგომებთან მამის დაღუპვის ცნობა მივიღეთ, ძია გიორგიმ უფრო მოუხშირა ჩვენთან სიარულს.

— ასეა, დედმამიშვილი არასოდეს მიგატოვებს გაჭირვებაში! — ამბობდა ძაძებით მოსილი დედა და დამუშტული ხელით იმშრალებდა თვალზე მომდგარ კურცხალს.

არა, კაცმა რომ თქვას, სწორედ დროზე იცოდა ხოლმე მოსვლა ბიძაჩემმა გიორგიმ.

შემომეჭმეოდა პური. ჩავათავებდი მოპასანს. დავიწყებდი აპულეის „ოქროს ვირის“ კითხვას. მომეძალებოდა შიმშილი და დაბარებულივით შემოაღებდა კარს ბიძაჩემი.

— ჭამე? — მკითხავდა ხოლმე გამოღებულ კართან შეჩერებული ძია გიორგი.

— ვჭამე.

— სულ შეჭამე?

— სულ შევჭამე.

— ეხლა? ეხლა რაღა უნდა ჭამო ხვალ დილამდე?

ნურას უკაცრავად!

თოთხმეტი წლის ვსრულდებოდი და იმისი ჩიტი არ გახლდით, რომ ბიძაჩემის ქარაგმულად ნათქვამი სიტყვის აზრი ვერ გამეგო! კარგად იყო საქმე, კარგად! რაღაი ლოყები ეჩვრიტებოდა, რაღაი თვალები უბრწყინავდა, რაღაი მეკითხებოდა, ხვალ დილამდე რა უნდა ჭამოო, ჰაი, ჰაი, რომ კარგად იყო საქმე!

არცა ვცდებოდი!

ჩაიყოფდა ძია გიორგი პიჯაკის გულისჯიბეში ხელს. მიქექავდა-მოქექავდა. მიაგნებდა. ნელ-ნელა ამოაცოცებდა ოთხად მოკეცილ ფულს და მაგიდაზე დადებდა.

— წახვალ ბაზარში?

— მაშ!

ერთხელ, როცა ძია გიორგიმ ჩვეულებისამებრ მკითხა, დღეს რა კერძი გინდა გავაკეთოთო, არ ვიცი რა ფუცხუნა შემიძვრა, არც ვაციე, არც ვაცხელე, ჰერეხასავით გავიკრიჭე და რიხიანად ამოვაყრანტალე:

— ბორშჩი.

იმ დღის შემდეგ ბორშჩის გაკეთება ავიჩემეთ. გაფულიანდებოდა ბიძაჩემი, ჩაეჩვრიტებოდა ლოყები, გაუბრწყინდებოდა თვალები, დადებდა მაგიდაზე ოთხად მოკეცილ ფულს და ჰაიდა: ძუნძულ-ძუნძულით გავრბოდი ბაზარში ბორშჩისათვის საჭირო რამერუმეების საყიდლად.

მადლიანი ხელი ჰქონდა ძია გიორგის. ისეთი კერძების გაკეთება იცოდა, ხორცის ისეთი დაჭრა და აქნა, ჩაბულვა და ჩაბულლამება, მირევ-მორევა და დამის მოხდა, ცეცხლის დროულად მინელება და შეზავება-შეკაზმვა, ტა, ტა, ტა, სულ ნერწყვით მევსებოდა ხოლმე პირი.

დაიწყებდა ძია გიორგი ბორშჩის გაკეთებას და მაშინვე გავერეოდი მარაქაში. ვფცქვნიდი კარტოფილს და შევცქეროდი, ვჭრიდი ხახვს და ვუყურებდი, ფათაფუთით ვრეცხავდი მწვანილს და ხელებში შევციცინებდი.

ვუყურე, ვუყერე და ერთ მშვენიერ დღეს გამოღებულ კართან შეჩერებულ ძია გიორგის ჩემი ხელით ბორშჩის გაკეთება შევთავაზე.

— მართლა გააკეთებ?

— მართლა გავაკეთებ.

— დაუხმარებლად?

— დაუხმარებლად.

— მარტო?

— მარტო.

სახტად დარჩენილმა ბიძაჩემმა ქეჩო მოიქექა და ეჭვის თვალით გადმომხედა.

— აბა ჩამოთვალე, როგორ გააკეთებ.

ჩამოვთვალე. აცუნდრუკებულმა ისე ჭენებ-ჭენებით, ისე სხაპასხუპით, ისე აბდაუბდა ჩამოვთვალე, რომ, აკი გითხარით, პამიდორის და კარტოფილის ჩამატება დამავიწყდა ბორშჩში.

— ხორცი? — ახლა ხორცი აიჩემა აბულბულებულმა ბიძაჩემმა.

— რომელი ხორცი?

— რომელი და. გომელი! ტლიკინ-ტლიკინით გაკეთებულ ბორშჩში, რა გენაღვლება, ადექი და ბარემ ქარვისფერი ჩალაღაჯის ბარაქიანი ნაჭერიც ჩაუმატე.

ჩავუმატე. ტლიკინ-ტლიკინით გაკეთებულ ბორშჩში ქარვისფერი ჩალაღაჯის ბარაქიანი ნაჭერიც ჩავუმატე და ქარვისფერი ანტრიკოტის ბარაქიანი ლურთიც.

— კლაპიტონის ბიჭი ხარ! — შემაქო მაგიდასთან ჩამომჯდარმა ძია გიორგიმ, — ნამდვილი კლაპიტონის ბიჭი!

ჟინჟღლავდა.

ზაფხული იყო და შემოდგომა დაირქვა. ვერა და ველარ გაიხსნა პირი ჩაყამულმა ზეცამ. ჟინჟღლავდა. მეორე დღეა გადაუღებლივ ჟინჟღლავდა.

— წავალ, — ყრუდ ჩაილაპარაკა დაღვრემილმა ძია გიორგიმ და ხმაურით წამოდგა მოყანყალებული სკამიდან, — ვნახოთ, თუ ფული შემოვა, გადმოვალ და შენი ხელით ბორშჩი გააკეთე.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა.

— ტილიპუჭურავ, იცოდე, როცა ბორშჩის გაკეთებას დაიწყებ, პამიდორი და კარტოფილი არ უნდა დაგავიწყდეს!

— ქარვისფერი ჩალაღაჯი?

მიმიხვდა. მაშინვე მიმიხვდა. ჩაიღიმილა. თავზე გადამისვა ხელი და ყურში ჩამჩურჩულა:

— თუ ფული შემოვა, გადმოვალ და ხორციანი ბორშჩი გავაკეთოთ. ყაბულსა ხარ?

— მაშა!

კარი კაუჭა ცხვირზე სათვალედაკუსებულმა ძია ლადომ შემოაღო.

შემოიჭვრიტა. შემოსასვლელთან მიგდებულ ძონძმანძზე მიუსვ-მოუსვა ფეხი და ოთახში შემოვიდა.

ძია ლადოც ხელოსანი იყო. გრავიორი ბიძაჩემი, ოქრომჭედელი ძია ლადო და მფერავი ძია ცაკანა იქვე, ჩვენი ქუჩის გადაღმა, ერთ პატარა, დარაბებიან სახელოსნოში მუშაობდნენ.

ბოლო ხანებში სამივე ქესატობას უჩიოდა. წლების მანძილზე ჯგროდ შემოჩვეული მუშტარი შარშანდელი თოვლივით გაეცალათ ხელიდან. საქმემ იდედლა. სიფთა-ბარაქა ძველებური თოხარიკით ვერა და ველარ ჯდებოდა დაჩვეულ ალჩუზე.

ომი იყო. ღრეობისთვის აღარავის ეცალა. მაინცდამაინც აღარც საქორწინო ბეჭდებისთვის, საძეობო ყანწებისთვის, დასანათლი ჯვრებისათვის, პატიოსანი თვლებისა და ზიზილ-პიპილა მოსართავ-მოსაკმაზებისათვის იწუხებდნენ თავს.

— დაჯექი, — შეეხმიანა ძია გიორგი კართან ახიდულ ძია ლადოს და პირველი თვითონ ჩამოჯდა მოყანყალებულ სკამზე.

ჩამოჯდა. როგორც იქნა, ჩამოჯდა ის ჩემი ცოდვით სავსე ძია ლადო. ჩამოჯდა და კრიჭაშეკრულმა რის ვაივაგლახით, კბილებშუა ამოღერღა სათქმელი:

— მუშტარი მოვიდა.

— რაო, რა მინდაო? — ხელები აათამაშა ძია გიორგიმ.

— მონოგრამა უნდა.

— ოქროსი თუ ვერცხლის?

— ოქროსი.

— ორმოცდათექვსმეტი?

— არა. ფულიანი კაცი ჩანს. ბაჯაღლო ოქრო უნდა, ოთხმოცდათექვსმეტი.

ჩაფიქრებულმა ძია გიორგიმ ქეჩო მოიქექა.

— ფასი უთხარი?

— ვუთხარი.

— მორიგდით?

იყუჩა. იყუჩა იმ ბედასლმა, იმ უნიათმა, იმ უფხო და უგერგილო ძია ლადომ. იყუჩა და როგორც იქნა ჩაათავა ჩაუთავებელი დუმილი:

— ვერ მოვრიგდით..

წამოზეზევდა ბიძაჩემი. გაიარ-გამოიარა ოთახში და ძია ლადოს წინ შეჩერდა.

— რამდენს იძლევა?

— ოქროზე არაფერს ამბობს. მთავრობის ფასია და ყაბულსა ვარო.

— ხელობაზე?

— ხელობა იძვირა. ერთი მონოგრამის გაკეთებაში ამდენ ფულს ვერ მივცემო.

— მა რამდენს მივცემო?

— ნახევარს. რასაც იღებ ხოლმე, იმის ნახევარს იძლევა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ძია გიორგიმ დაარღვია:

— მაგ მამაცხონებულს ალბათ ვიღაც ქარაქუცა ბრილიანჩიკი ვგონივარ.

— რათა? ძალიან კარგად იცის, ვინცა ხარ.

— იცის და მაინც ნახევარ ფასში უნდა გავუკეთო?!

ძია ლადომ მხრები აიჩეჩა.

ისევ წამოზეზევდა ძია გიორგი. სარკმელთან მიდგა. არც შემობრუნებულა, ისე ჩაიდუდუნა ყრუ ხმით:

— გადადი და უთხარი წავიდეს.

— გიორგი...

— უთხარი, წაბრძანდეს!.. წავიდეს!.. სხვა ხელოსანთან წაეხიროს!.. ტოკი გიორგი ნახევარ ფასში არასოდეს არაფერს გააკეთებს!

— გეგმა? გეგმა რო გვაქვს შესასრულებელი?

— გეგმა-მეგმა არ ვიცი! გადადი და უთხარი, წაბრძანდეს!

ფეხზე წამომდგარი ძია ლადო კარსა და მაგიდის შუა გაეხირა.

— გიორგი...

— რა გინდა?

— ორი დღეა სახელოსნოში მუშტარი არ შემოსულა.

— მერე?

— გააკეთე. ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი! გააკეთე. ცოტა რაღაც მაინც დაგრჩება ხელში.

— შენ რა, პირველად გამიცანი?!

კრინტი რა არის, კრინტიც აღარ დაუძრავს ძია ლადოს. გაბრუნდა. გავიდა. გაიხურა კარი. შემოსასვლელთან დაგდებულ ძონძმანძზე მიუსვ-მოუსვა ფეხი, ცხვირის წკიპზე ჩამოცურებული სათვალე შეისწორა და გაუტია გზას.

ისევ ჟინჟღლავდა.

ოთახში გამეფებულ მყუდროებას კედელზე ჩამოკიდებული გირებიანი საათის მობეზრებელი ტიკტიკი არღვევდა.

ძია გიორგიმ ნელ-ნელა აიღო თავი. მიყურა, მიყურა. ამოიოხრა, სევდიანად გამიღიმა და თითქმის ჩურჩულით მითხრა:

— ტილიპუჭურავ, სირბილი იცი? —

— სირბილი?

— ტლაპოში სირბილი.

— ვიცი.

— თუ იცი, გაიქეცი და ძია ლადოს დაეწიე.

მაშინვე ფეთიანივით წამოვხტი ზეზე.

— მერე? როცა დავეწევი, მერე რა ვუთხრა ძია ლადოს?

— უთხარი მუშტარი არ გაუშვას. კარს დავკეტავ და ეხლავე გადმოვალ სახელოსნოში.

გავიქეცი. ხტუნვა-ხტუნვით გავიქეცი. ჩავირბინე კიბე. გადავევლე გუბურებს. მივქანდი. ის-ის იყო ძია ლადო სახელოსნოში უნდა შესულიყო, რომ შორიდანვე მივაწვდინე ხმა:

— მუშტარი არ გაუშვა!

გინახავთ დევი? ზღაპრების წიგნში დახატული თავბომბორა, გაბანჯგლული, თვალებდაჭყეტილი და ალაწოდა დევი?

რქების და სახედარივით აპრეხილი ყურების რა მოგახსენოთ, სხვა მხრივ კი სწორედ ზღაპრების წიგნში დახატულ დევს გავდა ბიძაჩემის წუწურაქი მუშტარი.

ყბედიც იყო. დორბლმორეული, აცაბაცა და ენაჭარტალა ყბედი.

სახელოსნოსში შემოსულ ძია გიორგის დევმა და ყბედმა მუშტარმა ორად მოკეცილი ქაღალდი გაუწოდა. უთხრა და კიდევ უთხრა რაც უნდოდა; აუხსნა, ისევ და ისევ აუხსნა და აუხსნა როგორიც უნდოდა; ჰკითხა და ჰკითხა როდის უნდა მოსულიყო მონოგრამის წასაღებად.

უსმინა ბიძაჩემმა. უსიტყვოდ უსმინა. არც რა უკითხავს, არც გასამრჯელოს თაობაზე დაუსველებია სიტყვა. გახსნა ორად მოკეცილი ქაღალდი, დახედა ბატიფეხურით დაწერილ სამ ასოს და მუშტარს მიუბრუნდა:

— მონოგრამა დღის ბოლოს იქნება მზად. მობრძანდით და წაიღეთ.

თითქოს მე მელოდებოდა. მივჯექი და ტყვიისფრად ჩაყამულმა ზეცამ ნელ-ნელა გაიხსნა პირი. გამოინათა. გაძენძილ ღრუბლებში მოღლილმა მზემ გამოყო თავი.

აღარ ჟინჟღლავდა.

რიყის ქვით მოკირწყლული დაცარიელებული ქუჩა თანდათან ივსებოდა ხალხით.

ძია გიორგი თავის ვერსტაგთან იჯდა. მხრებში მოხრილი-



ყო, თავი ოდნავ ზევით აეწია და გაშლილ ქაღალდზე ბატიფეხურით დაწერილ სამ ასოს დასცქეროდა.

ეს სამი ასო — მუშტრის სახელის, მამის სახელის და გვარის ინიციალები — ძია გიორგის ახლა გედებივით ყელყელა და ჩამოქნილ ასოებად უნდა ექცია, გამჭვირვალე ქაღალდზე გადაეტანა, მოხდენილად მიესადაგა და ოსტატურად ჩაეხლართა ერთმანეთში.

მერე სახელოსნოს კუთხეში მიდგმულ აყალო ბუთას მისდგებოდა ბიძაჩემი. გადაადნობდა ოქროს. ჩაასხამდა ყალიბში. გაანელებდა. გასწევ-გამოსწევდა წნეხში და ბაჯაღლო ოქროს ფირფიტას საჭირო სისქეს და ფორმას, სიგრძეს და განს მისცემდა.

ჯერ კიდევ სად იყო! ახლა იწყებოდა ნამდვილი წიკომიკო საქმე. მოულეველი და მომღლელი, ქანცგამწყვეტი და სათუთ-სათუთად დასაგვირისტებელი წიკო-მიკო საქმე.

გედებივით ყელყელა, ერთმანეთში ჩასმულ-ჩახლართული სამი ასო ძია გიორგის გამჭვირვალე ქაღალდიდან ახლა ბაჯაღლო ოქროს ფირფიტაზე უნდა გადაეტანა, ბეწვა ხერხით ამოეხერხა, თითოეული ძგიდე-წახნაგი დაუმუნათებელი გულისყურით მიექლიბამოექლიბა, დაემუშავებინა და შეესწორ-შემოელამაზებინა.

მერე ისღა დარჩენოდა, რომ ახლად ამოხერხილი სამასოიანი მონოგრამა ძია გიორგის საგანგებო ფალასფულასზე გადაესვა და გადმოესვა, გაეჯილავებინა, ნირდაკარგული ბაჯაღლო ოქროსთვის ისევ თავისი ძველი ბზინვა, ეშხი და პეწი დაებრუნებინა.

— შენ რა, დილამდე აპირებ მაგის გაკეთებას?! — ფეხზე წამომდგარი ძია ცაკანა მოულოდნელად წაადგა თავზე საქმეში გართულ ბიძაჩემს.

— მიახუთშაბათე! — ამოღერღა გაბადრულმა ძია ლადომ, — ნახევარ ფასში აკეთებ, ადექი და პაიპარად მიახუთშაბათე!

ტაატით გადიოდა დრო. გაგრძელებული, მოულეველი, გულისგამაწვრილებელი დრო.

გულხელდაკრეფილი ვიჯექი. მალ-მალე ვინაცვლებდი ფეხზე გადადებულ ფეხს. უსაქმობით შებეზრებული ერთხელ კიდევ ვზომავდი და ვწონიდი სახელოსნოს კარგად ნაცნობ ყოველ კუთხე-კუნჭულს.

იქვე, შესასვლელ კართან, ძია ლადო მუშაობდა. მის გვერდით ჩოფურა ძია ცაკანა ჩირთიფითობდა. მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ შეწეულ კედელთან კი ძია გიორგის მოგრძო და სქელფეხება ვერსტაგი იყო ცერად ჩამოდგმული.

სახელოსნოს ბოლოში ოქროს სადნობი ბუთა, ლითონის წნეხი, დასაფერი აპარატი, რალაც დაზგა და ჯართად ქცეული იარაღები იყო მიწყობილი და ერთმანეთზე ზედახორად აკოკოლავებული.

ნავთქურაც იდგა. თითბრის მუცლიანი, გვარიანად შეჭყლეტილი და ლაზათიანად მოყანყალებული სამფითილიანი ნავთქურა.

ამ ნავთქურაზე ხან ხის შემაგრებულ წებოს ათბობდნენ, ხან წიდას, ხან რას, ხან რას, ხან კიდევ სპილენძის მოუკალავ ქვაბში ჩაყრილ კარტოფილს ხარშავდნენ...

დაადგა საშველი! როგორც იქნა, დაადგა საშველი!

ამოიღილინა ვერსტაგთან მიმჯდარმა ძია გიორგიმ. ჩაეჩვრიტა ლოყები. მოიქექა ქეჩო. პატარა, თეთრტარიანი ჯაგრისით გადაწმინდა ბეწვა ხერხით ახლად ამოხერხილი მონოგრამა და ქლიბს წამოავლო ხელი.

ცოტა კიდევ და ხტუნვახუტნვით ჩავირბენდი ბაზარში. დავუვლიდი დახლებს. ვივაჭრებდი. ძუნძულ-ძუნძულით მოვიტანდი შინ ბორშჩისათვის ნაყიდ რამე-რუმეებს და ხორციანი კერძის გაკეთებას დავიწყებდი.

ნურას უკაცრავად!

თოთხმეტი წლის ვსრულდებოდი და იმისი ჩიტი არ გახლდით, რომ მამასისხლად ნაყიდი ჩალალაჯით გაკეთებულ ბორშჩში პამიდორის და კარტოფილის ჩამატება დამვიწყებოდა.

სახელოსნოში ყუჩად მჯდომებს მოულოდნელად ყუმბარის გავარდნასავით ჩაგვესმა ყურში ფეხზე წამომდგარი ძია გიორგის უჩვეულოდ მყივანი ხმა:

— აუ! ასო შემეშალა!.. გვარის დასაწყისი ასო!..

ძია ლადო და ძია ცაკანა მაშინვე წამოხტნენ სკამებიდან.

ბიძაჩემი სარკმელთან მიმდგარიყო. ცალ ხელში ახლად ამოხერხილი სამასოიანი მონოგრამა ეჭირა, მეორე ხელში ბატიფეხურით დაწერილი ქაღალდი და ხან ერთს ჩაჰკირკიტებდა, ხან მეორეს.

— ქაღალდზე „ხ“ წერია... მონოგრამაზე კი „ს“ ასო ამოვხერხე...

ძია ლადომ სათვალე შეისწორა. დაიხარა და ახლა იმან დაუწყო კირკიტ-კირკიტი ბატიფეხურით დაწერილ სამ ასოს.

— ასეთი იწილ-ბიწილო ასოები შენ კი არა, ეშმაკსაც შეეშლება!

— მართალია! — ძია ლადოს მაშინვე დაუკრა კვერი მომრუშხულმა ძია ცაკანამ, — ასეთი მუცელლია „ხ“, ადამიანს ნამდვილად „ს“ ასო ეგონება.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ბოლოს ისევ ძია ცაკანამ დაარღვია:

— იქნებ შენი ყბედი მუშტრის გვარი მართლა „ს“-ზე იწყება და არა „ხ“-ზე?

ძია გიორგიმ უარყოფის ნიშნად გააქნია თავი.

— ხახაშვილია. როცა მონოგრამა ამოვხერხე, მაშინღა გამახსენდა, რომ ჩემთან ყბედობაში ხახაშვილი ამოაყრანტალა. ხახაშვილი და არა სახაშვილი.

— აილე და... — სვენებსვენებით წამოიწყო ძია ლადომ და მიყუჩდა. ჩაუვარდა ენა. შეეკრა კრიჭა. დააწვა დიდი ძილი.

— აილე და მუცელი შეულუნე „ს“ ასოს! — მორბედი ბიჭივით აცუნდრუკდა ძია ცაკანა, — ფუქსით ცოტა ოქრო მიუმატე... მიქლიბ-მოქლიბე... მიასწორ-მოასწორე... მიაწოწლოკინე... შეაკოწიწ-შემოაკოწიწე...

— მიდი, მიდი! შენი ბეყეჩა მუშტარი მაინც ვერაფერს გაიგებს!

— სხვა? სხვა ხომ გაიგებს?

ისევ გაყუჩდა ძია ლადო. ბეჭდის გვირგვინში წახნაგებიანი ბრილიანტის თვალი ჩასვა. აჭედ-დაჭედა, გაჭედ-გამოჭედა. პლატინის საყრდენი შეუმაგრა და სვენებ-სვენებით ამოღერღა:

— შენ ისეთი მადლიანი ხელი გაქვს, შეიძლება ვერც სხვამ გაიგოს.

— მე? მე ხომ გავიგებ?

— შენ გაიგებ.

— მერე? — ბიძაჩემმა თვალი თვალში გაუყარა ძია ლადოს, — ორმოცდაორი წელიწადი იმიტომ ვიშრომე, რომ ჩემი თავი მოვატყუო?

ჩაფიქრებულმა ძია გიორგიმ რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა სახელოსნოში. შეჩერდა, ქეჩო მოიქექა და ჩვეული სიმშვიდით ჩაილაპარაკა:

— გაიგებს... ჩემი ბეყეჩა მუშტარი თუ ვერ გაიგებს, სხვა გაიგებს... იმასაც გაიგებს, ვისი ხელით იქნება გაკეთებული აჯლა-ბაჯლა მონოგრამა.

წამით, მხოლოდ წამით შეჩერდა ძია გიორგი და მაშინვე დასძინა გაუბზარავი ხმით:

— რაც უნდა გაუჭირდეს, სახელი და პატიოსნება არ უნდა შეირცხვინოს კაცმა.

ძია გიორგი მძიმე-მძიმე ნაბიჯებით მივიდა აყალო ბუთასთან. ჩაცუცქდა. ოქროს სადნობს თავსახური მოხსნა. ერთხელ კიდევ დააცქერდა ახლად ამოჭრილ კოხტა მონოგრამას. დაიქნია. გამეტებით დაიქნია და ტკაცანით ჩაისროლა ბუთაში.

ისევ გულხელდაკრეფილი ვიჯექი. ფიქრებში წასული მალ-მალე ვინაცვლებდი ფეხზე გადადებულ ფეხს და გამოღებული სარკმელიდან გავცქეროდი ხალხით ავსებულ ქუჩას.

მხარზე მოულოდნელად ძია გიორგის ხელის შეხება ვიგრძენი.

ბიძაჩემი დაიხარა. მომესალბუნა. ყურზე სათუთად მომადო თბილი ტუჩები და ჩურჩულით მითხრა:

— ტილიპუჭურავ, ქენიკოს და ნათელას ვფიცავ, ხვალ დილით აუცილებლად გავაკეთებთ ხორციან ბორშჩს.

გაიღიმა ჩემმა ლამაზმა ბიძამ. ჩაეჩვრიტა ლოყები. გაუბრწყინდა თვალები. მოიქექა ქეჩო და გაშლილი ხელისგული გამომიწოდა.

— ყაბულსა ხარ?

დედაჩემის წახედულებით, დამუშტული ხელით მოვიმშრალე თვალზე მომდგარი ცრემლი. წამოვდექი. ძია გიორგის გამოწვდილ ხელისგულს ტკაცანით დავკარი ჩემი გაშლილი ხელისგული და მოგუდულივით ამოვიზლუქუნე:

— მაშ!

# პურის მადლი

ლალი მარტაშვილი

მოთხრობა

ცხონდეს უკუნის უკუნისამდე ხორბლის პირველი დამთესავი. პურის მადლმაო, — დაფიცება იცოდა მამაჩემმა. პურის მადლი გაუწყრესო! — იწყევლებოდა ხოლმე დედაჩემი მუქთამჭამელის მისამართით. პურის ნატეხი რომ ვინმეს ხელიდან გავარდნოდა, აიღებდა, შეუბერავდა და აკოცებდა — უკაცრავად ვარ, ხელიდან გამივარდი, პურო არსობისაო.

პურის გამოცხობა ზეიმია ჩვენს ოჯახში. დედაჩემი რომ გადახდის გაფუებულ ცომს საფარს, ამოგლეჯს ცომს, დააგუნდავებს, გააბრტყელებს და გახურებულ თონეს ლავაშს მიაკრავს, საყურებლად ღირს. ლავაში ერთ წუთში გაიბერება და ჯერ მეხუთე არც კი მიუკრავს თონეზე, რომ პირველი ლავაშები მოსახდელად მზადაა. მერე მოიმარჯვებს ასტამსა და კინჭოტს და ცხელი ლავაშები თონის ფიცარზე გამწკრივდება. სანამ თონე ცხელია, მიაკრავს შოთებს, გამოავსებს თონეს და მერე დადგამს ვარცლის თავზე ძმარ-წყალს ნივრისა თუ ხახვის ფოჩით შეზავებულს. თუ ახალტყემლობაა, წონწქას მოადუღებს, წინასწარვე ზლომად ქინძითა და ხახვით შეაზავებს, მერე დახევს ლავაშსა და ჩაალბობს ორჯამიანში; მოდით, გოგოებო! — დაუძახებს მეზობლებს ცხელ ლავაშზე; ცხელი ლავაში და წონწქა? რა შეედრება!

ო, რა გემრიელად ვიქუსნებოდი. რატომაც არა, კუჭი მტკიოდა თუ ღვიძლი?! მამაჩემი მიყურებდა, ხედავდა, მის მონაგარს რომ ბრეს ვადენდი, იღიმებოდა და მეტყოდა: ე, რა კაი წისქვილი მაქ, კაცოო. მე ჯერ ვერ მივხვდი რა წისქვილზე ამბობდა. სადა გვქონდა წისქვილი, საფქვავი გალმა გაჰქონდა ჩოლოყაანთ წისქვილში. მერე კი მივხვდი, ჩემს კბილებზე რომ იყო ლაპარაკი, როცა მამაჩემმა დაუმატა: ეს კია, კაცო, ყველა წისქვილისა ზედა ქვა ბრუნავს და ჩემ ტარაკუჭა გოგოსი კი — ქვედაო.

მე ძველ ამბავს გეუბნებით, თორემ ახლა პური ვილას ენატრება! პურს რა შრომა უნდა, გახვალ მაღაზიაში და იყიდი რომელიც გესიამოვნება: თეთრი, თალხი, შავი, ბულკისა, რუსული, ბერძნული შოთი. ქალაქელები მეორე დღის პურს აღარც კი ჭამენ, ძველიაო. ძველიაო, ადამიანო, გუშინდელი გამომცხვარი. აფსუს, მეორე დღის შოთს რა ჯობს! ძველიაო და გადააგდებენ. შეიძლება პურის გადაგდება, ხალხნო?! შე კაი ქალო, დაჭერი წვრილად, გაახმე, მერე გაატარე ხორცსაკეპში და კატლეტის ამოსავლებად გამოიყენე, არადა პურის ხარშო გაუკეთე შინაურებს — გემრიელი და ნოყიერი. არადა აგერ მემაწვნეს შეუნახე, წაილებს, ქათმებს დააპურებს. არადა დაასველე, დაალბე და ზეცის ფრინველს დაუყარე.

ერიჰაა! რა გვენატრებოდა პური ომის დროს! ჭამის მადა ახალგაზრდული და ოთხასი გრამი შავი პური კი პირის ქარად არა გვყოფნიდა. ჩემი მეზობელი, თამარ ცერცვაძე, ზესტაფონში რომ წავიდოდა დედასთან, ჩემი აღდგომა დგებოდა. კარგ მეზობელს რა ჯობს! ავი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო, — ნათქვამია და ის კარგი მეზობელი მე მყავდა — თამარ ცერცვაძეზე მოგახსენებთ. ერთი საწყალი სტუდენტი ვიყავი და უჩემოდ პურს არ შეჭამდა. არც იმასა ჰქონდა რაიმე, მაგრამ გული რომ ექნება ადამიანს მდიდარი, ის არის. მე ვიმალებოდი, მომძებნიდა და კერძს მიწილადებდა. მე რას ვარგებდი. ხანდახან დაძინებულ ბავშვებს ჩავიბარებდი და ცოლ-ქმარი თეატრში მიდიოდა.

ჩხირივით კიყავი ჩამომხმარი და მოდაში კი სიმსუქნე იყო. თვალი მრჩებოდა ფუნფულა, ნაჭამ-ნასვამ გოგოებზე.

ჰოდა თამარ ცერცვაძე ზესტაფონში რომ წავიდოდა, ჩემი გალაღება მაშინ უნდა გენახათ, ბავშვებსაც თან წაიყვანდა და პურის წიგნაკს

# საქმიანი ჯუნგლები

ნანა ღვინეფაძე

...80 წლის ადამიანი ჩვენი საუკუნის თანატოლია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მომსწრეა და მხილველი ამ საუკუნეში მომხდარი დიადი ძვრებისა თუ მძიმე წლებისა, რომ მან ბევრი რამ არა თუ ნახა, განიცადა, გაიზიარა კიდეც და დღესაც ჩვენს გვერდით იღვწის.

80 წლისაა მთავარი მოქმედი პირიც იმ ახალი სპექტაკლისა, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რომ დადგეს და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას მიეძღვნა.

ხელოვნება წარმოუდგენელია ძიების გარეშე, ძიება კი სითამამეს მოითხოვს... და რობერტ სტურუამ მსახიობთა დასთან ერთად გადაწყვიტა, .თითქმის ექსპრომტად, სცენაზევე შეექმნათ პიესა, გამოეთქვათ თავიანთი მოქალაქეობრივი მრწამსი, სატკივარი და ერთი თითქოსდა პატარა ამბავი თუ თავგადასავალი გაზეთის რედაქტორისა, სხვადასხვანაირად გაეთამაშებინათ; ასე დაიბადა სათაურიც — „ვარიაციები თანამედროვე თემაზე".

რეჟისორი კულისებში რჩება, სამაგიეროდ, სცენაზე მოქმედებს მისი ვითომდა მხცოვანი ორეული, ბატონი გიორგი — რამაზ ჩხიკვაძე, რომლის მრავალმხრივ ნიჭს, დიდ გამოცდილებასა და იმპროვიზაციის მდიდარ უნარსაც ეყრდნობა ძირითადად რეჟისორის თამამი ექსპერიმენტი.

...მაყურებელს ყოველთვის აინტერესებს რა ხდება კულისებში, როგორ იქმნება სპექტაკლი, და აი, რობერტ სტურუა მაყურებლის ამ ინტერესსაც აკმაყოფილებს.

ამდენად ნაცადი ფორმა სპექტაკლისა — თეატრი თეატრში, ფრიად მიმზიდველი, ცხოველი და ინტიმურიც კი არის. მართალია, მას არ აკლია იუმორი და ირონია, მაგრამ ეს კიდევ უფრო აახლოვებს დარბაზსა და სცენაზე მყოფთ.

პიესის ავტორია რ. სტურუა, შეიქმნა იგი ა. ვარსიმაშვილისა და ლ. ფოფხაძის მონაწილეობით.

მართლაც, დიდი ნდობაა, თანაც ორმხრივი, ერთი თეატრის მიმართ, რომელსაც არ აღმოაჩნდა სათანადო და სასურველი ახალი პიესა და გამონაკლისის სახით მიეცა შემოქმედებითი ექსპერიმენტის სრული თავისუფლება, დამდგმელი რეჟისორი რომ დრამატურგის როლშიც წარმომდგარიყო; თეატრის პოზიციებიდან კი ნდობაა მაყურებლის მიმართ და ეს ორმხრივი ნდობა გულითადმა სიყვარულმა განაპირობა, რადგან ვის სიყვარულშიც დარწმუნებული არ ხარ, მასთან ასეთი გულახდილი ვერ იქნები. სწორედ ეს გულახდილობა ქმნის საოცრად უშუალო დეკორატიულ გარემოს (მიუხედავად მიმოფანტული საგნებისა), ინტიმურ მუსიკალურ ატმოსფეროს და ორთავეს ამოსავალი წერტილი ყოველი ჩვენგანისთვის სანუკვარი „დედაენაა" — გოგებაშვილისეული „დედაენა", კარში ჩაკაბადონებული ანდაზებით, სცენის სიღრმეში გამოკიდებული დასურათებული ფურცლებით და „აი, ია" — თითქოსდა ნეიტრალური, ცალფა საგალობლით, რაც შემდგომ დრამატიზირებულ ანბანთქებად აჟღერდება.

სპექტაკლში ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული სიტყვა, მოქმედება, მხატვრობა, მუსიკა და ქორეოგრაფია, ისე ავსებენ და აღრმავებენ რეჟისორის სათქმელს და სატკივარს მხატვარი გოგი მესხიშვილი, კომპოზიტორი გია ყანჩელი და ქორეოგრაფი იური ზარეცკი, რომ იქმნება კიდევ ერთი უნიკალური სტურუასეული სინქრონული პარტიტურა სპექტაკლისა.

რა ამოცანას თავაზობს რეჟისორი მსახიობებს?

გასათამაშებელია გაზეთის რედაქტორის — მირიანის როლი. ამ ეპიზოდში ირკვევა, რომ გავლენიანი პირი (უჩინარი) მირიანისგან მოითხოვს კომპრომისს — დასაბეჭდად გამზადებული ნომრიდან კრიტიკული წერილის ამოღებას. ეს წერილი თურმე მირიანის ბავშვობის მეგობრის დავითის საძრახ საქმიანობას ამხელს; ასე რომ, გამოცდაა მირიანის კაცური კაცობისა! ეს სცენა, როგორც აღვნიშნეთ, რამდენჯერმე და მცირეოდენი ცვლილებით გათამაშდება.

პირველი მირიანი კახი კავსაძეა, მეორე — სოსო ლაღიძე, ხოლო მესამე — გია ფერაძე.

ეს საბედისწერო ზარი სამივე მირიანს თავსატეხს გაუჩენს — გაზეთი უკვე ხელმოწერილია, მირიანი ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად დაბადების დღეს იხდის („ჰაერში" გამოკიდებული სუფრა).

როგორ მოიქცევა მირიანი, დაიცავს გაზეთისა და საკუთარ ღირსებას, თუ შეშინდება?!.

ამ სამმაგ სურათს დგამს ჩვენს თვალწინ მხცოვანი რეჟისორი ბატონი გიორგი — რამაზ ჩხიკვაძე.



აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი
(დაბადების 90 წლისთავის გამო).

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გიორგი თოთიბაძე.

არნოლდ გეგეჭკორი

„დროშის" ფოტოკონკურსი

# საქართველოს მთა და ბარში

ეროვნული ბიბლიოთეკა













## სვანეთი



სახალხო სეირნობა.

მხატვარი მიხეილ გულევიჩი (მოსკოვი).

# ახალგაზრდა მხატვართა საკავშირო გამოფენიდან



მეღვინეები

მხატვარი თამაზ ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლებს გვათხოვებდა ხოლმე. ერთი წიგნაკი მე შემხვდებოდა და შავი პურის ბარაქას მოვიკიდებდი პურის თეფშზე. ეს იყო მეზობლობა, თორემ ახლა მე რა უნდა ვარგო ჩემს მეზობელს?!.

...ჩვენთან სამსახურში შესვენებაზე პატარა სუფრა იშლება ხოლმე, აბა კარაქიანი პურიო (ზედ აჯიკა გადასმული), აბა ხიზილალა გადასმული პურიო, რაჭული ლობიოიანიო, აბა ხაჭაპურიო, ვის რა მოაქვს. დავპურდებით, წყალსაც ვისიამოვნებთ და მერე სიგარეტი მოუნდება ტერეზას. რა დავინახე, ღმერთოო! დაგვიჯერებათ, რომ გითხრათ? თეთრი პურის ნაჭერი გადანაცრდა. უჰ, შე საწყალო პურო, ისე დამცირდი, რომ ტერეზამ საფერფლედ გამოგიყენა?! გაუწყდეს პურის მადლი, მართლა და მართლა, ასეთ ადამიანს, თეთრი ბამბასავით პური!... მერე ტერეზამ ნამწვიც დაადო ზედ, თითი დააჭირა, ჩააქრო, მოკეცა პური და ნაგვის ყუთში გადაუშვა. აი, რა ქალი ბრძანდება ტერეზა!

მტრისას! ტერეზამ ნაგვის ყუთში გადაუშვა პური, ხალხნო, პური, პურის მადლი გამიწყრეს, თუ ტყუილს გეუბნებოდეთ!







● იური გაგარინი — კოსმოსის პირველი მერცხალი.

● კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ ტ-4"-ის ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური სსრკ მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. კოვალიონოკი (მარცხნივ) და ბორტინჟინერი ვ. სავინიხი კოსმოსში გაფრენის წინ ვარჯიშის დროს.

● კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-39"-ის საერთაშორისო ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, სსრკ მფრინავი-კოსმონავტი, პოლკოვნიკი ვ. ჯანიბეკოვი (მარჯვნივ) და მფრინავი-მკვლევარი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ჟ. გურაგჩა.

ყველა მირიანს ივი თავაზობს ერთად-ერთ ფურცელს გმირის აღწერილობითა და ძუნწი ბიოგრაფიით. ბოლომდე არც აკითხებს, შემსრულებელმა მხოლოდ გმირის გარეგნობა, წარსული და დაბადების წელი იცის.

ეს „უცნაური" რეჟისორი (ასე იტყოდა დავით კლდიაშვილი) ბავშვივით გამოსტაცებს მირიანს იმ ფურცელს, ჯადოქრის გამომცდელი თვალით მიაჩერდება, გამომწვევი ღიმილით ესვრის დაჭმუჭნულ ქაღალდს და „აბა, დავიწყოთო", — ილუზიონისტისთვის ჩვეული ხელის მოძრაობით ანიშნებს მსახიობს.

დაფიქრებული, თითქოსდა სიტყვის კაცია კახი კავსაძის მირიანი, მაგრამ საკმარისია ადგილის დაკარგვის რეალური საშიშროება იგრძნოს, რომ უკან იხევს.

შემდეგ ვარიაციაში სოსო ლალიძე ისისაა ამართლებს რეჟისორის მოლოდინს, მაგრამ ეს „სიმტკიცე" ისეთივე „თამაშა" აღმოჩნდება, როგორც თვით ბატონი გიორგისთვისაც მოულოდნელი შემოჭრა ნიღბიანი ტერორისტებისა, ანუ დავითის კაცებისა, რომელთა „მსხვერპლი" მირიანი და მისი ოჯახი ხდება.

მესამე მირიანი — გია ფერაძე, ერთი უხერხემლო, „შუა" კაცია, ანუ როგორც ამბობს, არც კეთილია, არც ბოროტი. ეს „დევიზი" მსახიობს როლის გაშარჟების საშუალებას აძლევს. როგორც ვხედავთ, სამივეს რთულ სიტუაციაში აყენებს კრიტიკული მომენტი (სირთულე არ გამორიცხავს კომიკურობას).

პირველივე მირიანის უკანდახევას მოსდევს რეჟისორის საყვედური და გაჯავრებული მოქმედება — რამაზ ჩხიკვაძის ბატონი გიორგი ნიღაბივით ჩამოხსნის სათვალეს ჩვენი დროისთვის შეუფერებელ გმირს.

მირიანის როლის სამივე შემსრულებელი კარგად გრძნობს სპექტაკლის სტილს — „სერიოზული" იუმორისა და პაროდიის მონაცვლეობას და საინტერესოდ ასხამენ ხორცს თავთავის ეპიზოდს.

ამ ერთი თეატრალური ეტიუდის ვარიაციების დადგმის მანძილზე რამაზ ჩხიკვაძე მოხუცი რეჟისორის სპეტაკ სულსა და ნათელ პორტრეტსაც ვარიაციული, ფილიგრანული ხვეულებით ქსოვს და მთელი სპექტაკლის მამოძრავებელიც ეს მოუსვენარი, ჭირვეული და ამავე დროს ენამოსწრებული, ღიმილიანი მოხუცი ხელოვანია, ზოგჯერ ბავშვივით გულუბრყვილო (ამას ნაქსოვი ბურთიანი ქუდითაც გაუსვა ხაზი მსახიობმა). რამდენჯერმე სხვა პიროვნებასაც გაითამაშებს რეჟისორი (მირიანის მამა, ფრანგი მოგზაური, მოხუცი მირიანი) და ეს ხდება ხმის, წარმოთქმის შეცვლით. დიდ სიმპათიას იმსახურებს რამაზის ახალი გმირი — თმასპეტაკი ბატონი გიორგი ჩაცმულობითაც, აჩქარებული სიარულითაც, უცნაურობებითაც (ქიშმიშის ეპიზოდი, ტელეფონის წკრიალის იმიტაცია), ხუმრობანარევი ტკივილითაც, აკაკისებური სევდა რომ გამოსჭვივის: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა"...

სწორედ ამგვარი ფარული ტკივილით ვუახლოვდებით ფინალურ სცენას, რომელიც მირიანის იუბილედ გადაიქცევა, ოღონდ ამჯერად თვით ბატონი გიორგია ვითომ მირიანი (მირიანიც ხომ გახდებოდა 80 წლისა!).

ზის სავარძელში მოხუცი და მის ბენეფისს ნორჩი თაობა და ყვავილები ამკობენ. მას ესალმება მოსწავლე გოგონა (ნ. კავსაძე) და უსახსოვრებს „დედაენას", რომელიც უხუცესისა და უმრწმესის, ანუ ქართველ თაობათა ცოდნის სათავეა! ასე, „დედაენის" მოტივით ამთლიანებს რეჟისორი სპექტაკლის დასაწყისსა და დასასრულს, ასე აძლიერებს მის მოქალაქეობრივ და უაღრესად თანადროულ ჟღერადობას, ეროვნულ სულს!

„დედაენამ" გააღვიძა ინტიმი მოხუცსა და მოზარდს შორის. ბატონი გიორგი — რამაზ ჩხიკვაძე აღარ თამაშობს, „გამოდის" მირიანის სადღესასწაულო როლიდან და სასოებით ეკითხება გოგონას დაბადების წელს.

მოხუცის წინაშე დგას ცამეტი წლის გოგონა-ნერგი და ხედავთ რამაზ ჩხიკვაძის გმირში როგორ აღმოცენდა იმედი უკეთესი ხვალისა, რაკი ამ სუსტ გოგონაში დაინახავს უშიშარ არსებას, სიტყვის ქომაგს.

...ამ სიხარულს მოხუცი ვეღარ გაუძლებს (ჰიპერბოლურად მასში იქნებ ორი ადამიანიც კვდება!)... „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა", — ესღა აღმოხდება მუხლმოყრილს; ეს ზეზეური ნათელი სიკვდილია პატრიოტისა, რწმენას რომ ეზიარა.

გოგონა ისევ ამღერდება და „აი, ია" (რაც კამერტონივით ჟღერდა თავიდან) ძლიერ საგალობელში („სამშობლო ხევსურისა") გადაზრდილი, აღამაღლებს გოგონას ფერხთით ჩაჩოქილი მოხუცის ხსოვნას.

ასეთი სევდიანი დასასრულის მიუხედავად, სპექტაკლის საერთო განწყობილება მაჟორულია და მდიდარი პაროდიული თუ კომიკური ვარიაციებით: მის კოლორიტს შესანიშნავად აულეს ალლო ლიკა ჭავჭავაძემ, ზაზა ლებანიძემ, ჟანრი ლოლაშვილმა, თათული დოლიძემ, მარინე ჯანაშიამ, ნანული სარაჯიშვილმა, აკაკი ხიდაშელმა, დავით ჩხიკვაძემ, გურამ ჩხარტიშვილმა, დავით პაპუაშვილმა, ჯემალ ღაღანიძემ, დარეჯან ხარშილაძემ, ლეილა სიყმაშვილმა.

...სპექტაკლის სევდიანი დასასრული კვლავ გიბიძგებთ ხელახლა ნახოთ წარმოდგენა, რომელიც ღიმილით იწყება, მაგრამ საგონებელშიც გაგდებთ.



# დიდოსტატი

აკადემიკოსი ეგნატე ფიფია — მედიცინის ურთულესი დარგის, ქირურგიის, ბრწყინვალე წარმომადგენელი — მრავალი ათეული წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა ქვეყანას, მშობელ ხალხს. მისი პროფესიული ღირსებები, სიბრძნე, კაცთმოყვარეობა და თავმდაბლობა მუდამ მისაბაძად დარჩება მომავალ თაობებს.

ეგნატე ფიფიამ განვლო დიდი მეცნიერის რთული, სასახელო გზა, რომელიც დაიწყო მაშინ, როცა ოცი წლის ჭაბუკი თავისი მშობლიური ჯვარიდან თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ჯერ კიდევ მეოთხე კურსზე იყო, როდესაც დასტაქრის ნიკოლოზ კახიანისა და საქართველოს ქირურგიული სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის მიერ დანერგილ ტრადიციებს ეზიარა, მათ ხელში გაიწაფა და მათი რჩეული მოწაფე გახდა. ახალგაზრდა მეცნიერმა საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა ღვიძლის ამებური ჩირქგროვის საკითხს, რითაც დიამეტრულად შეცვალა ამ მძიმე დაავადების მანამდე არსებული მკურნალობა.

1937 წელს მოსკოვში, მ. გორკის სახელობის საკავშირო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში, ე. ფიფიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ახალი მონაცემები დაკბილული იოგის შენებისა და ფუნქციის შესახებ". ხანგრძლივი ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად მიკვლეული დასკვნები სამეცნიერო საბჭომ და თვით თემის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ა. სპერანსკიმ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად აღიარეს.

1941 წლიდან ე. ფიფიას ირჩევენ პედიატრიული და სანჰიგიენური ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კათედრის, ხოლო 1950 წლიდან სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიული კათედრის გამგედ, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ე. ფიფია 1939-46 წლებში საქართველოში საექიმო საზოგადოების ქირურგიული სექციის სწავლული მდივანია, ხოლო 1968 წლიდან—თბილისის აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარე. იგი იყო საკავშირო ქირურგიული საზოგადოების ნამდვილი წევრი და ყირგიზეთის ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრი. დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორთაგანი, ჟურნალების „ვესტნიკი ქირურგიისა" და „საბჭოთა მედიცინის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1955 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1977 წელს — საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა. 1969 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ აკადემიის აკადემიკოსად.

ე. ფიფია უბადლო დიაგნოსტი იყო. ჩვენ, მის მოწაფეებს, ზოგჯერ გვიკვირდა, როგორ მართლდებოდა მის მიერ წინასწართქმული მოსაზრება. ამიტომაც დროულად მიღებული ზომების შემდეგ არაერთხელ აგვიცდენია ავადმყოფისათვის განსაცდელი. ოპერაცია ბატონი ეგნატეს შემოქმედების გვირგვინი იყო; მისი უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა. იგი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ მოსცილებია საოპერაციო მაგიდას და გასაოცარია, რომ რვაათეულწელს მიღწეული დასტაქარი ძველებური სიმარჯვითა და გულდაჯერებით ფლობდა სკალპელს. დიახ, მის მარჯვენას წლები არ დასტყობია. ეს კი ქირურგთა ცხოვრებაში ფრიად უჩვეულო მაგალითია და ამ მხრივაც ჩვენი საამაყო მასწავლებელი სწორედ რომ გამონაკლისს წარმოადგენდა.

„ავადმყოფის სრულყოფილი მომზადება საოპერაციოდ, უზადოდ შესრულებული ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი პერიოდის სწორად წარმართვა გამარჯვების საწინდარია. სუბორდინაცია, კოლეგიალობა, არაფრის დათმობა და მიტევება როდესაც ავადმყოფს ეხება საქმე, თვითეულ ავადმყოფს მოექეცით ისე, როგორც მშობელს, დას ან ძმას, ნუ იქნებით მისადმი მოვალეობის მოხდის გრძნობით, განიცადეთ მისი ტკივილი და მისი სულის წუხილი — ეს გახლავთ აუცილებელი პირობა და დაუწერელი კანონი ქირურგიისა, რომლის გარეშე გამარჯვებას ვერ მოიპოვებთ", — ეს იყო ჩვენი მასწავლებლის მრწამსი, და ეს გვიანდერძა თავის მოწაფეებს. თვითონაც არასოდეს უღალატია ამ მრწამსისათვის, პირადი დიდი სულიერი ტრავმის დროსაც სხვის სატკივარს არასოდეს ივიწყებდა, და ისევ და ისევ საავადმყოფოს კედლებში ტრიალებდა, რადგან სწამდა რომ მხოლოდ შემოქმედებით შრომას შესწევს უნარი დაუბრუნოს ადამიანი თავის თავს.

ე. ფიფიას მრავალფეროვანი ნამოღვაწარი, უოპერაციოდ თუ ოპერაციით, განკურნებულ ავადმყოფებზე დაკვირვებით მიღებული შედეგი განზოგადებულია მეცნიერის ასსამოცდაათზე მეტ შრომაში (მათ შორის 8 მონოგრაფიაა), რომლებიც გამოცემულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი ღრმად მეცნიერული გამოკვლევები მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს.

ე. ფიფია არასოდეს მიჩქმალავდა ქირურგიულ მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვან მხარეებს, რადგან გამოუცდელი ქირურგის მიერ დაშვებული შეცდომების მხილება მიაჩნდა მომავალი თაობის აღზრდის აუცილებელ პირობად. მრავალთათვის სამახსოვროა მისი ერთ-ერთი მოხსენება, რომელშიც მეცნიერმა-კლინიცისტმა გააანალიზა წყლულოვანი დაავადების გამო ნაოპერაციევ ავადმყოფთა გარდაცვალების მიზეზები. მან საჭიროდ სცნო მსჯელობა არა ათი ათასობით განკურნებულთა შესახებ, არამედ სწორედ სხვადასხვა გართულებათა შედეგად მარცხით დამთავრებულ იმ მცირერიცხოვან შემთხვევებზე, რაც გამონაკლისს წარმოადგენდა ჯერ კიდევ 25 წლის წინათ და მაინც მტკივნეულ კვალს ტოვებდა მის სულში. „სიკვდილიანობის ასეთი ზოგიერთი მოულოდნელი შემთხვევა მხოლოდ მზიან ამინდში მეხის ჩამოვარდნას თუ შეიძლება შეედაროსო", — თქვა მეცნიერმა.

ე. ფიფია, მიუხედავად ყოველდღიური ტიტანური შრომისა, ყოველთვის პოულობდა დროს, რომ თავისი თეორიული ცოდნა თუ პრაქტიკული გამოცდილება მოწაფეებისათვის და მეგობარ-ამხანაგებისათვის გადაეცა.

ე. ფიფიას ხელმძღვანელობით შესრულებული საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები, საჟურნალო სტატიები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით, კლინიკური მასალის ობიექტური გაანალიზებითა და საგულისხმო დასკვნებით.

ე. ფიფია იყო სტუდენტების საყვარელი ლექტორი. გადაჭედილ დიდ აუდიტორიაში მუდამ ხამარისებული სიჩუმე სუფევდა. ისმოდა მხოლოდ ლექტორის შთამაგონებელი ხმა, ბრძნული საუბარი. იგი საოცრად ხატოვნად აზუსტებდა როგორც ქირურგიის ისტორიის, ისე საკუთარი მრავალწლიანი კლინიკური მოღვაწეობის განზოგადებებს. ასეთივე სტილში წარუდგინა მან სტუდენტებს „კლინიკური ლექციები" — წიგნი, რომელსაც ყველაზე მაღალი შეფასება თვით სტუდენტებმა მისცეს.

ცნობისმოყვარე, მოსიყვარულე თვალებით შესცქეროდნენ მოწაფეები მეცნიერს და მისგან სწავლობდნენ პროფესიის სიყვარულს, სახელოვან დასტაქართა პატივისცემას და საერთოდ, სამშობლოს წარსულისა და აწმყოს დაფასებას. ხშირად გვიხდებოდა მასთან ერთად მგზავრობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შთაგონებით ყვებოდა საინტერესო ამბებს. კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის საუნჯეს — არქიტექტურულ ძეგლებს.

მაგრამ ყველასათვის გამჟღავნებული იყო მისი გაუნელებელი სიყვარული მშობლიური ჯვარისადმი. ოცნებით იგი ყოველთვის გოლიათი მთების ფეხთით შეყუჟულ პანია ჩქვარელს დასტრიალებდა, მის წარსულსა და აწმყოზე ზრუნავდა.

ერთხელ ჯვარიდან ჩამოსულმა თავკაცები გაანაწყენა — სოფლის ეკლესიას სახურავი ჩამოენგრა, კედელზე შერჩენილი ფრესკები სანამ ჩამოირეცხება, მანამდე უნდა მიიღოთ ზომებიო. საყვედურმა გასჭრა — უძველესი ეკლესია უკვე აღდგენილია. მისივე თაოსნობით წამოწყებული ჯვარზენ-ჩქვარელის ახალი გზაც გაყვანილია.

უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ეგნატე ფიფიას ცხოვრებამ და მოღვაწეობამ პრაქტიკულ და თეორიულ ქირურგიაზე, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა სწორი გეზითა და თანმიმდევრულობით. ექვსი ათეული წლის დიდი შრომისა და ამაგისათვის ეგნატე ფიფია სათანადოდ დააფასა პარტიამ და მთავრობამ, იგი ორგზის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის, საპატიო ნიშნისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებითა და მრავალი მედლით. მრავალგზის იყო ქალაქის საბჭოს დეპუტატი.

ბატონი ეგნატე ბედნიერი მარჯვენითა და ღონიერებით, კაცური კაცობითა და ერთგულებით ემსახურა საზოგადოებას, ხალხს, თავის ქვეყანას, და რადგან „კეთილი არს ბაძვაი კეთილისათვის მარადის" დაე, მიბაძონ მას მომდევნო თაობებმა. დაე, კვლავაც იმრავლონ ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს საქვეყნო საქმეს სწირავენ.

**როდამ ქუმსიაშვილი,**
პროფესორი

**ლევან ჭაჭიაშვილი,**
ასისტენტი

ნუნუ კუპრეიშვილი

# ღრმა ხნულის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაირეკა უკანასკნელი ზარი. უკან დარჩა სტუდენტობის დღეები, მშობლიურ უმაღლეს სასწავლებლებთან, მეგობრებთან და აღმზრდელებთან გამოთხოვების დაუვიწყარი წუთები.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მიაშურეს ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, სოფლის მეურნეობის ახალბედა სპეციალისტებმა. მიაშურეს, რათა გაკვალონ ახალი გზები, გადაჭრან პრობლემები, კიდევ უფრო დაამშვენონ ქართული სოფელი და მისი ხვალინდელი დღე.

* * *

სამუშაო დღე დამთავრებული იყო, როცა გარდაბნის რაიონული სარემონტო-სახელოსნოს მთავარ ინჟინერს ნუგზარ მამალაძეს აცნობეს: ორი ტრაქტორი მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდაო.

ნუგზარს ყველაფერი მისხალ-მისხალ ჰქონდა აწონ-დაწონილი. ორსამ დღეში საშემოდგომო სამუშაოების დამთავრება უნდა აუწყონ რაიონის ხელმძღვანელობას.

ასეთ დროს ორი ტრაქტორის მოცდენა საქმეს უკან დასწევს. გამოდის, რომ პირობას ვერ შეასრულებენ.

არა, ასე არ ივარგებს, რაღაც უნდა იღონოს, სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს.

ოთახში ინჟინერ-დეფექტოლოგი დიმიტრი მემარნიშვილი შემოვიდა. ნუგზარმა მასაც აუხსნა საქმის ვითარება.

მოილაპარაკეს, გათენდება თუ არა, პირველ რიგში დაზიანებული ტრაქტორებისათვის მიეხედათ.

ნუგზარს კი დაეთანხმა, მაგრამ დიმიტრის საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ერთხანს ჩაფიქრდა, მოკუმული ბაგე ოდნავ შეერხა, ეტყობა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ შემოტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.

შორს არ წასულა. იქვე, სარემონტო-სახელოსნოში, შებრუნდა, სათადარიგო ნაწილებს თავი მოუყარა, კუთხეში მიდგმული ფარანიც მოიმარჯვა და მინდორში მიტოვებული ტრაქტორებისკენ გასწია.

თანდათან ჩამობნელდა. ფარნის შუქზე მუშაობა ძალიან გაუჭირდა. შემოდგომის ცივი ქარი თვალებში აყრიდა ბელტებიდან აცვენილ მიწასა და მტვერს. დაიღალა, მაინც ვერაფერს გახდა.

ტრაქტორიც თითქოს განგებ გაჯიუტდა, გაუძალიანდა.

იქვე, ტრაქტორის ერთ-ერთ ნაწილზე, ჩამოჯდა. თავი მუხლებზე დაყრდნობილ მაზუთიან ხელებში ჩარგო.

ინანა კიდევაც, მარტომ რომ გადაწყვიტა ტრაქტორების შეკეთება. იქნებ ჯობდა დილამდე დაეცადა?

ახლა რა ქნას, როგორ მოიქცეს: ხომ ვერ მიატოვებს თითქმის სანახევროდ დაშლილ ტრაქტორს...

სულ ცოტა ხნის წინათ მოვიდა აქ სამუშაოდ.

გაიხსენა, როგორ გულთბილად შეხვდა კოლექტივი, როგორ ამოუდგა მხარში მთავარი ინჟინერი, როგორ იმედებს ამყარებდნენ მასზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები...

ის დაუვიწყარი დღეც დაუდგა თვალწინ, მასა და მის მეგობრებს გაცილება რომ მოუწყვეს საყვარელ ინსტიტუტში.

რამდენი თბილი და ტკბილი სიტყვა ითქვა იმ დღეს ახალბედების მისამართით!

რა დაავიწყებს იმ სიტყვებს, რომლებითაც სოფლის მეურნეობის ახალბედა სპეციალისტებს გზა დაულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ:

„დღეიდან თქვენ უნდა გახდეთ სოფლის შუქურები, თქვენ უნდა გისწორონ მხარი სოფლის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, თქვენს ირგვლივ უნდა სუფევდეს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფერო", სიტყვასიტყვით ახსოვდა დიმიტრის.

და, აი, ახლა აქვს საშუალება, საქმით დაუმტკიცოს ყველას, რომ იგი პირნათელია თავისი ინსტიტუტის, აღმზრდელების, გზის დამლოცველების, კოლექტივის წინაშე.

მკვირცხლად წამოდგა. ისევ ტრაქტორს მიუბრუნდა.

ამჩნევდა, ახლა შედარებით იოლად გამოსდიოდა საქმე. თვალნათლივ ხედავდა, როგორ ახლოს იყო გამარჯვებასთან და დაღლა სულ გადაავიწყდა.

კიდევ ცოტაც და... დიმიტრიმ ძრავა ჩართო. ღამის სიჩუმე საკუთარი ხელით შეკეთებული ტრაქტორის გუგუნმა დაარღვია.

მეორის შეკეთებას სულ ერთი საათი მოანდომა.

თენდებოდა...

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. დიმიტრი როგორც ოჯახს, ისე შეეჩვია კოლექტივს, მისთვის უცნობ კუთხეს.

დაუზარელი ახალგაზრდაა. წარმატება ბავშვივით ახარებს.

დირექტორმა რომ დაიბარა და უთხრა: ერთოთახიანი ბინა უნდა გადმოგცეთ საცხოვრებლადო, დიმიტრის სიხარულით თვალები გაუფართოვდა. ყურადღებამ უფრო გაახარა.

როცა დიმიტრის ეკითხებიან, როდის უნდა დაუბრუნდე მშობლიურ მახარაძესო, წამსვე უპასუხებს: ჯერ არ მიფიქრია, ისეთ კოლექტივში მოვხვდი, ასე იოლად ველარ დავთმობო.

ამბობს და ჩვეული ღიმილი არ შორდება მის სახეს. ღიმილი, რომელსაც ვერც მაზუთის ლაქები დაფარავს და ვერც მისი შუბლიდან წვეთ-წვეთად ჩამონადენი ოფლი წაშლის.

* * *

უთენია წამოდგა ელისო დანელია საწოლიდან. ფანჯარაში გაიხედა. თოვდა. პირველ თოვლს თეთრად გადაეპენტა მიდამო.

საათს დახედა. ჯერ მხოლოდ შვიდი იყო, სამუშაო კი ცხრაზე ეწყებოდა. რატომღაც ჩქარობდა მოუსვენრობა ეტყობოდა.

არც ღამე ეძინა მშვიდად. გუშინ სამუშაოდან წამოსვლისას მოეჩვენა, თითქოს შავხალიანი დედა ღორი ზანტად ჭამდა საჭმელს. ამიტომაც გადაწყვიტა ასე ადრიანად მისი მონახულება.

სამუშაო ოთახისკენ არც კი გაუხედავს, პირდაპირ ფერმას მიაშურა.

მომვლელებს უკვე მიეტანათ ღორებისთვის საჭმელი. გოჭები კი დედის რძეს შეექცეოდნენ.

ერთი, სხვებთან შედარებით პატარა, დაებრიყვებინათ და ძუძუსთან არ უშვებდნენ. ისიც მოკუნტული იდგა და საცოდავად ჭყიპინებდა.

ელისომ ხელში აიტატა პატარა გოჭი და მომვლელ ქალს მიუყვანა, რომ საწოვარათი ეჭმია მისთვის. შემდეგ თვალით მოძებნა შავხალიანი ღორი. გამართლდა ელისოს ეჭვი: არც გაკარებია საჭმელს, იქვე შორიახლო იდგა.

— რა უნდა სჭირდეს? — გაიფიქრა ახალბედა ვეტექიმმა, სანამ ახლოს მივიდოდა.

გულდაგულ გასინჯა.

თუ სასწრაფო ზომები არ მიიღო, ავადმყოფობა უთუოდ სხვებსაც გადაედება.

ფიქრის დრო არ იყო. მომვლელების დახმარებით ავადმყოფი ღორი ცალკე მოათავსა.

შემდეგ იაკობ ვასაძესთან შევიდა და აუხსნა ყველაფერი.

დირექტორმა მოუწონა ელისოს გამბედაობა, მაგრამ მთავარი ვეტექიმის მოსაყვანად კაცი მაინც გაგზავნა.

ელისო მარტო რომ დარჩა თავის სამუშაო ოთახში, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ადგა და ოთახში აქეთ-იქით დაიწყო სიარული:

— ვაითუ შევცდი, დიაგნოზი სწორად ვერ დავსვი. არა, დაავადებისთვის დამახასიათებელი პირველი კლინიკური ნიშნები თითქოს ეჭვს არ იწვევს. ნეტავ ჩქარა მოვიდეს მთავარი ვეტექიმი...

კარის ჭრიალის ხმა შემოესმა. შემოტრიალდა. თვალები მაგრად მოხუჭა, თითქოს უნდოდა ბურანიდან გარკვეულიყო, მერე ისევ კარებისკენ გაიხედა...

არა, არ შემცდარა, ფართოდ შემოღებულ კარებში მისი ინსტიტუტის პრორექტორი კამო ქართველიშვილი იდგა და იღიმებოდა. იქვე იყვნენ პროფესორ-მასწავლებლებიც: გუგული გოდერძიშვილი, ვარდენ ლობჟანიძე და ჯემალ ბაბაკიშვილი.

აღმზრდელებმა გულთბილად მოიკითხეს ყოფილი სტუდენტი.

— ჩვენ მოვასწარით შენი ზოგიერთი თანამშრომლის გაცნობა. გვიხარია, რომ ასე მალე შეგიყვარეს, — უთხრა ელისოს დეკანმა და მამაშვილურად მოხვია ხელი.

— შენზე ბევრი რამ ტელევიზორიდანაც შევიტყვეთ, — სიტყვა ჩამოართვა გუგულის კამო ქართველიშვილმა.

ელისო ხან ერთს უსმენდა მთელი გულისყურით, ხან — მეორეს.

თვითონაც უამბო მათ თავის საქმიანობაზე. მერე დღევანდელი შემთხვევაც მოუყვა. სათქმელი მთლიანად არც ჰქონდა დამთავრებული, რომ ტელეფონმა დარეკა.

ელისომ ყურმილი აიღო. მისალმებისთანავე იცნო მთავარი ვეტექიმის ხმა: — ღორი უკვე გავსინჯე, დიაგნოზი სწორია, აბა შენ იცი, შენი იმედი მაქვს, — ჩაესმა ელისოს მისი სიტყვები.

კარგა ხანს ეჭირა ყურმილი ხელში, კი არ ლაპარაკობდა, მხოლოდ იღიმებოდა. ისე იყო დაბნეული, ყურმილის დაკიდებაც გადაავიწყდა...

ფეხდაფეხ მოატარა სტუმრებს აბაშის ღორების გამოსაზრდელი გაერთიანების მთელი კომპლექსი.

მიაბიჯებდა აღმზრდელების გვერდით და ასე ეგონა, მასზე ბედნიერი არავინ იყო იმ წუთებში.

არ ეთმობოდა ელისოს საყვარელი სტუმრები, მაგრამ სხვა რა გზა იყო. ელისოს გარდა ასობით მათი კურსდამთავრებული უნდა მოენახულებინათ. ზოგთან მისვლა უკვე მოესწროთ. აქედან კეთილარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში გადაინაცვლებდნენ, სადაც მთავარ ზოოტექნიკოსად ყოფილი სტუდენტი ოთარ ნატროშვილი მუშაობს, შემდეგ კახეთში მანანა კვიტაიშვილსა და მის მეგობრებს ეწვეოდნენ.

სხვა საქმეებიც აქვთ მოსაგვარებელი. ადრევე უნდა იზრუნონ მომავალი კადრების განაწილების საკითხზე. დაადგინონ, რომელი რაიონი თუ სოფელი უფრო განიცდის ამა თუ იმ კვალიფიციური კადრის ნაკლებობას და განაწილების ადგილები ამის მიხედვით უნდა დააკომპლექტონ.

— ხშირად მოგინახულებთ, — ამ სიტყვებით დაემშვიდობნენ ელისოს.

ისევ თოვდა. ელისო კი არად აგდებდა მოძალებული ზამთრის სიმკაცრეს.

* * *

დიმიტრისთან და ელისოსთან შეხვედრამ სურვილი აღმიძრა, მათი მეგობრების ამბავიც შემეტყო და გადავწყვიტე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ვწვეოდი.

როგორც კი მის ზღურბლს გადავაბიჯე, ჩემს თვალწინ გაცოცხლდა კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილების დღე — 1980 წლის 19 იანვარი.

გული მწყდებოდა, რომ ამაოდ ვეძებდი ნაცნობ სახეებს, რომლებიც ღრმად ჩამბეჭდვოდნენ მეხსიერებაში. ისინი უკვე ერთი წელია, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ სამუშაოდ.

შალვა ზანგურაშვილი შევნიშნე. შალვა იმ დღეებში გავიცანი, როცა მომავალი აგრონომი ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ემზადებოდა.

როგორც შევიტყვე, იგი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ორბეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად დაუწინაურებიათ.

არ გამკვირვებია, შალვაზე აღმზრდელები დიდ იმედებს ამყარებდნენ.

— ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პროფესიას ვუღალატე. ჩემი სადისერტაციო თემა ხორბლის ჯიშების მსოფლიო კოლექციის შესწავლას ითვალისწინებს, — თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდაო, თავი იმართლა შალვამ.

სხვა რა მეთქმოდა, წარმატებები ვუსურვე.

პრორექტორმა წინასწარ იცოდა ჩემი სტუმრობის მიზეზი და საჭირო მასალები მაგიდაზე დამახვედრა.

შემოწმებულ 44 რაიონში 1978-79-80 წელს განაწილებული იყო 653 ახალბედა სპეციალისტი. აქედან ადგილზე არ გამოცხადდა 227 ანუ 34,6 პროცენტი — სიტყვასიტყვით ამოვიწერე.

— რა დასამალია, ამის მიზეზი ზოგჯერ ახალბედას თვითნებური კაპრიზებია, ზოგჯერ კი ის არახელსაყრელი პირობები, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტს აშინებს. ზოგ რამეში, ეტყობა, ჩვენც ვცოდავთ, — ამბობს ოთარ მნათიშვილი, — როგორც ვხედავთ, ამ პრობლემის გადაწყვეტა გადაუდებელი საქმეა...

კაბინეტში თემურ ბექაური შემოვიდა. ისიც გასული წლის კურსდამთავრებულია. თემური ძალიან კარგად დამამახსოვრდა. მაშინ მოწინავეთა შორის პირველ რიგში დამისახელეს იგი, ლენინის სახელობის სტიპენდიანტი. ისიც მახსოვს, ინსტიტუტის თვალიაო, რომ მითხრეს.

თემური მინათმოწყობის ინსტიტუტში მუშაობს და კარგი სახელი იქაც გაჰყოლია.

როგორც შევატყვე, რაღაც გადაუდებელი საქმე ჰქონდა პრორექტორთან და ხელი არ შევუშალე.

ინსტიტუტის დერეფნებს ახალგაზრდების ჟრიამული ავსებდა.

# ბრაზილიური დიალოგები

ცნობილი მწერლის ვლადიმერ ალფენიძის ბოლო წლების ნაყოფიერი, დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგია ის მრავალფეროვანი ნაწარმოებები, რომლის გასაოცარმა სამყარომაც დიდი ხანია დაიპყრო მკითხველი.

ჯერ კიდევ გასულ წელს მწერალი ახლებური ჟანრით წარსდგა საზოგადოების წინაშე. პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის მონაწილე საბჭოთა დელეგაციის მუშაობის, ამ ორი ქვეყნის კომუნისტთა ძმობისა და სოლიდარობის ამსახველი წიგნი თავისი ბელეტრისტულ-პუბლიცისტური ღირსებებით ახალი სიტყვა იყო არა მარტო ვლადიმერ ალფენიძის შემოქმედებაში, არამედ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

„პორტუგალიურ დღიურებში“ დიდი პოლიტიკური მისიით განპირობებული მოგზაურობის ფონზე ღრმად აისახა უცხოეთის ერთ-ერთი ქვეყნის ცხოვრება, ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, მისი დამოკიდებულება ჩვენს მრავალეროვან დიად სამშობლოსთან.

ახლახან გამოვიდა ვლადიმერ ალფენიძის ახალი წიგნი „ბრაზილიური დიალოგები“. ავტორი ახლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ ოფიციალურ დელეგაციას ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ეს ისტორიული ვიზიტი, ბრაზილიის ნაციონალური კონგრესის დეპუტატთა პალატის მოწვევით, შედგა 1980 წლის აპრილში. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე.

როგორც ავტორი „ბოლოთქმაში“ აღნიშნავს, წიგნმა „დიალოგების“ სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ ჯერ ერთი, საბჭოთა დელეგაციისადმი მიძღვნილ სტატიებში ბრაზილიური გაზეთები ხმარობდნენ ამ სიტყვას, მეორე რომ დელეგაციის მეთაურის შეხვედრა ზოგიერთ ოფიციალურ პირთან შედგა დიალოგის ფორმით და ბოლოს: „დელეგაციის მთელი მოღვაწეობა ბრაზილიაში გარკვეული თვალსაზრისით იყო დიალოგი მეორე მხარესთან, ბრაზილიის მხარესთან. დელეგაციის არამარტო სიტყვა, არამედ საქმეც ორ სახელმწიფოს შორის დიდი დიალოგის თვალსაზრისითაა განსახილველი, რადგან ობიექტურად ის დიალოგის კონტექსტშია მოქცეული“.

„ბრაზილიური დიალოგების დროს არ იყო ხელჩართული იდეოლოგიური ბრძოლები — წერს მწერალი, — არა, ამ დიალოგებში უფრო მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების, დიპლომატიური პროტოკოლის, ეტიკეტის, ურთიერთპატივისცემის მეუფება იგრძნობოდა, ამ დიალოგებში მეფობდა კეთილი ნება, მაღალი აზრი, ჰუმანიზმი და ჰუმორი, მაგრამ დიალოგებს ღრმა საფუძვლად ედოთ ორივე მხრივ პრობლემებისადმი კლასობრივი და პარტიული მიდგომა“.

თუ რა დიდ მისიას აკისრებდა საბჭოთა მთავრობა ამ ვიზიტს, კარგად ჩანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში: „ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ავტორიტეტული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ე. ა. შევარდნაძე, მისი შეხვედრები ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწეებთან, თქვენი ქვეყნის ნაციონალური კონგრესის წევრებთან ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის პარლამენტთა შორის კავშირისა და კონტაქტის გაფართოებას და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისა, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საკეთილდღეოდ“.

სწორედ ამხანაგ ბრეჟნევის ამ სიტყვებით იხსნება წიგნი, რომელშიც ამაღელვებლად არის მოთხრობილი საბჭოთა დელეგაციის საინტერესო, დაძაბულ მუშაობაზე ჯერ გამგზავრებამდე, შემდეგ ბრაზილიაში ყოფნის პერიოდში, იმ უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებაზე, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა დელეგაცია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და კულტურულ სფეროში.

პირველი დღე ბრაზილიის დედაქალაქში, ედუარდ შევარდნაძის პირველი საუბრები მასპინძლებთან, აეროპორტში წარმოთქმული გულითადი, მხურვალე სიტყვა, რომელშიც შესანიშნავად ჩანს კომუნისტური სიმტკიცე, დიდი ადამიანური ძალა, ვიზიტის კეთილშობილური მაღალი მიზანი და მაშინვე ყველამ კარგად იგრძნო, რომ ტრიუმფით დაიწყო საბჭოთა დელეგაციამ თავისი საქმე. შემდეგ შეხვედრა ბრაზილიის ნაციონალურ კონგრესში. ვლადიმერ ალფენიძე მკითხველს დიდი სიზუსტით აგრძნობინებს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვით გამოწვეულ აღფრთოვანებას. მაშინ, როცა ედუარდ შევარდნაძე ლაპარაკობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით, კონგრესის დეპუტატებისა და სენატორების წინაშე წარსდგა იგი, როგორც მძლავრი, უაღრესად კულტურული და ძლევამოსილი სახელმწიფოს წარმომადგენელი, შვილი იმ ქვეყნისა, სადაც იბადებიან პროფესორ იოსებ ჟორდანიას მსგავსი ადამიანები...

ასეთსავე დონეზე იდგა დელეგაციის შეხვედრები დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში, კონგრესში, ფლავიო მარსილიოს რეზიდენციაში, ვიზიტი ნაციონალური სენატის პრეზიდენტთან, ბრაზილიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს თავმჯდომარესთან, განათლების და კულტურის მინისტრთან... როგორ შეიძლება აუღელვებლად გაეცნოს მკითხველი დელეგაციის მეთაურისა და ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტის აურელიანო შავისუს შინაარსიან საუბარს, რომელიც დასრულდა იმით, რომ ედუარდ შევარდნაძემ მას გადასცა საგანგებოდ რიო-დე-ჟანეიროს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისთვის ჩატანილი საბჭოთა მხატვრების მიერ შესრულებული ხუთი ფერწერული ტილო. ავტორი ცალკე თავში მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ვიცე-პრეზიდენტი თვითონ ეწვია რიო-დე-ჟანეიროს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს და საზეიმო ვითარებაში გადასცა მას საბჭოთა მხატვრების ნამუშევრები, რომელთაც მან „თავისებური სამშვიდობო არმადანი“ უწოდა.

„ბრაზილიურ დიალოგებში“ დიდი მხატვრული ოსტატობით არის დახატული პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა საინტერესო სახეები, ამავე დროს ჭეშმარიტი ბელეტრისტის თვალით არის დანახული ეს მშვენიერი ქვეყანა თავისი წარსულით, ტრადიციებით, კულტურით, მწერლობით, სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებით.

„ბრაზილიური დიალოგები“ სულმოუთქმელად იკითხება და როდესაც ვამთავრებთ წიგნის კითხვას, თითქოს ავტორთან ერთად ვემშვიდობებით მშვენიერ ბრაზილიას და გულწრფელად წარმოვთქვამთ: მადლობა მწერალს, რომლის მადლიან კალამსაც ძალუძს ასე შორეული ქვეყანა და უაღრესად საინტერესო, დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები ყველასათვის ეგზომ ახლობელი გახადოს.

მე გამთენიისას მოვკვდი, დილის ოთხსა და ხუთ საათს შორის.

ჯერ ხელ-ფეხზე შემცივდა, თითქოს სველ წინდებსა და ხელთათმანებს მაცმევდნენ, მერე სიცივე გულსაც მისწვდა. გულმა ცემა შეწყვიტა და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჭის ფსკერზე დავეშვი. მართალია, ჭის ფსკერზე ადრე არასოდეს ვწოლილვარ, მაგრამ აქამდე არასოდეს მომკვდარვარ.

პირისახე ნიღაბივით გამიქვავდა, აღარ მემორჩილებოდა; არც არაფერი მტკიოდა და არც არაფერი მენანებოდა. ვიწექი ასე ჭის ფსკერზე; არც ის მენაღვლებოდა, ნეტავი, როგორ გამოვიყურები-მეთქი.

რვა საათზე დერეფანში ფეხის ხმა გაისმა — საბავშვო ოთახიდან ჩემი ვაჟიშვილი იურანია გამოვიდა.

„ისევ ფეხშიშველაა", — გავიფიქრე მე. მას ტყის ბიჭივით ფეხშიშველა უყვარდა



# ჯადოსნური დასასრული

ვიქტორია ტოკარევა

მოთხრობა

ტანტალი. მეც მუდამ ერთიდაიგივეს ვეუბნებოდი: „ფეხზე ჩაიცვი".

იურანიამ დერეფანი გაიარა და მამამისის ოთახთან შეჩერდა. ქმარმა ჩაახველა და გვერდი იცვალა.

კარმა გაიჭრიალა, ალბათ, იურანიამ გააღო და მამას პირფერულად ჰკითხა:

— გაიღვიძე?

— რა გინდა? — შეეკითხა ქმარი, ხმაზე ეტყობოდა, გაჯავრებული იყო, ბრაზობდა ხოლმე უქმე დღეებში როცა აწუხებდნენ.

— კინოში უნდა წავიდე. აბონემენტი მაქვს. ცხრა საათზე იწყება, — ჩურჩულით უთხრა იურანიამ.

ბიჭს ეგონა, ჩურჩულით თუ ეტყოდა, არ გააღვიძებდა მამას და მასაც ისე შეეძლო პასუხი, არ გაღვიძებოდა.

— დედაშენი გააღვიძე! — განკარგულება გასცა ქმარმა.

ქმარს არ უყვარდა, საქმეს როცა გადაულოცავდნენ, თუმცა თავის მოვალეობასაც ზიზღით ეკიდებოდა.

ახლა ჩემი ოთახის კარმა გაიჭრიალა. იურანიამ ჯერ იყუჩა, მერე თქვა:

— დედას ძინავს.

— არა უშავს, ადგება! — უთხრა ქმარმა.

— ძინავს, — გაიმეორა იურანიამ, — და ფერი არა აქვს!

თორმეტ საათზე საავადმყოფოში წამიყვანეს, მეორე დღეს კი გამომწერეს. ჩამაცვეს მოკლე კაბა. ეს კაბა შარშან პარიზიდან ჩამომიტანეს და მაშინ კიდევ ერთი პრობლემა მომემატა — კარგი კაბის პრობლემა. ეს კაბა სრულიად გამოუსადეგარი იყო და ბრჭყვიალა კაბა ისე უქმად ეკიდა კარადაში, როგორც შეხსენება იმისა, რომ ადამიანი ბედნიერებისთვის არის გაჩენილი.

— იმქვეყნად არ მიიღებენ, ისეთი ახალგაზრდაა!.. — თქვა მეექვსე სართულზე მცხოვრებმა მეზობელმა ქალმა.

— გასაზრდელი დაურჩა ბიჭი! — ამოიოხრა მეორე მეზობელმა.

ამ ქალმა თავისი ვაჟი საპენსიო ასაკისა მოყარა, მე კი ჩემ შვილს მესამე კლასამდეც ვერ მივყევი... მეზობელმა ერთ წამში მთელი ჩემი ჩავლილი ცხოვრება გაიაზრა და თავი გადააქნია.

იურანია მიდი-მოდიოდა, თავი ამაყად ეჭირა. ყველა მას ეფერებოდა და სიამოვნებდა ეს საყოველთაო თაყვანისცემა. უგუნებობა არ ემჩნეოდა. ამას წინათ გავაფრთხილე:

— თუკი აღარ დავბრუნდი და გითხრეს, მოკვდაო, არ დაიჯერო.

— მაშ, სად იქნები?

— ღრუბელზე დავსახლდები და იქიდან დაგიწყებ თვალყურის დევნებას.

— კარგი, — დამეთანხმა იურანია.

მეეზოვე ნიურა გაოცებული იყო: გუშინ ქუჩაში ვუნახივარ ხელჩანთებით დატვირთული რომ მოვდიოდი და მეზობელთან ჩემი საუბარიც გაუგონია.

— ეფიმ, რას გავხარ?! — ასე დავიწყე საუბარი.

— რა მოხდა?! — გაოცდა ეფიმი.

— გასათხოვარი ქალიშვილივით გამოპრანჭულხარ.

— მე მუდამ ასე ვიცვამ, — ეწყინა ეფიმს.

— მამაკაცი მკაცრი და ფეთხუმი უნდა იყოს, — მივუგდე და სადარბაზოში შევვარდი.

ჯერ კიდევ გუშინ აქ ვიყავი, ყველასთან ერთად ვეწეოდი ცხოვრების ჭაპანს, დღეს კი — ღმერთმა უწყის, სად ვარ და თუკი ეს გარდასახვა ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ნიშნავს, რომ ამგვარი გარდასახვა საერთოდ, არსებობს და ვისაც გნებავთ, იმას შეიძლება შეემთხვას, თუნდაც ნიურას.

ჩემ ავადმყოფობას ქმარი მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა. არც ჩემი სიკვდილი დაიჯერა. ალბათ, სულის სიღრმეში სწამდა, რომ ეს ყველაფერი ჩემი ოინბაზობა იყო.

ოთახი ხალხით იყო სავსე; რატომღაც მეგონა, უფრო ცოტა ხალხი მოვიდოდა. სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, დამმარხავიც არავინ მეყოლებოდა. ყველგან და ყოველთვის ყველაფერს მარტო ვაკეთებდი, სხვის იმედზე არასოდეს ვყოფილვარ. საკუთარი თავის დამარხვა თავად რომ შემძლებოდა, ეჭვი არ შეგეპაროთ, არავის შევაწუხებდი, თავად გავიპატიოსნებდი თავს.

ჩემდა გასაკვირად ყველაფერს უჩემოდ მოევლო: საფლავიც იშოვეს, საბუთებიც გააფორმეს.

მმაჩის ბიუროს თანამშრომელმა ქალმა, ნაცრისფერი კოფ-



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თა რომ ეცვა, ქმარს ჩემი გარდაცვალების ცნობა მისცა, სამაგიეროდ, ჩემი პასპორტი მოთხოვა. ქმარმა პასპორტი გაუწოდა, ქალმა უინტერესოდ ჩაიხედა პასპორტში, მერე კი შუაზე გადახია და კალათაში ჩაყარა.

ჩემი პასპორტი რომ დახიეს, ქმარი მიხვდა, მართლაც, ამოწერილი ვიყავი ცხოვრებიდან და ყოველგვარი მცდელობა ახლა უაზრობა იყო. იგი თავისუფალი იყო, მაგრამ როგორ ესარგებლა ამ თავისუფლებით, ჯერ არ იცოდა. არც ის იცოდა, საერთოდ, თუ სჭირდებოდა თავისუფლება. რაც არ უნდა იყოს, ჩემგან სარგებელი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე საზრუნავ-საფიქრალი.

შესვენებაზე ჩემმა მეგობრებმა ალამ და ელიამ მოირბინეს. ორივენი ლამაზები იყვნენ, მაგრამ ალას სილამაზეს მხოლოდ მე ვამჩნევდი, ელიასას კი — ყველა.

ალა მარტო ცხოვრობდა, არც სიყვარული ჰქონდა და არც ოჯახი. იგი მე ბედნიერ ქალად მთვლიდა, ვერ დაეჯერებინა და ვერ მიმხვდარიყო — რამ მაიძულა ჩემი უზრუნველი ცხოვრება ახლანდელ ყოფაზე გამეცვალა. ცხოვრებაში რაც არ უნდა შეგემთხვეთ, ასე უძრავად წოლას ხომ ყველაფერი სჯობს...

ელია ჩემსავით ბედნიერი იყო, მასაც საღამოს კაბის პრობლემა აწუხებდა. ისიც ჩემსავით დაიღალა ცხოვრებით. კი არ დაიღალა, ვარიანტებმა გაძარცვეს და დააცარიელეს, მაგრამ ახლა იმ ჭკუაზე იყო, საკუთარი ნებით არასოდეს წავიდოდა ცხოვრებიდან, ბოლომდე მოუწევდა თასის შესმა.

გულდამძიმებული მეგობრები ნილბად ქცეულ ჩემს სახეს მდუმარედ შეჰყურებდნენ. ჩემი სიკვდილი მათთვის ჭკუის სასწავლი იყო.

თითოეულთან ცალ-ცალკე ვმეგობრობდი, ისინი ერთმანეთს კი ვერაფრით შეეგუენ, ერთმანეთის მიმართ რაღაც ზნეობრივი პრეტენზიები ჰქონდათ, მაგრამ ახლა, ჩემს კუბოსთან ეს პრეტენზიები უმნიშვნელოდ ჩანდა.

— მის წინაშე ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ! — თქვა ალამ, — არავინ ვიცოდით, რა ცეცხლი უტრიალებდა გულში, არავის უცდია დახმარება.

— აბა როგორ დავხმარებოდით.. მას ხომ არავინ სჭირდებოდა.

ტელეფონი ძალიან ხშირად რეკავდა. ქმარი იღებდა ყურმილს და ამბობდა, რომ მე არ შემეძლო საუბარი, რადგან ცოცხალი აღარ ვიყავი

ამ ცნობით შეძრწუნებული ნაცნობები კარგა ხანს დუმდნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ: რაიმე ეკითხათ, თუ ჩუმად დაეკიდათ ყურმილი. დამრეკავი დუმდა, დუმდა ქმარიც, მერე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და ქმარი ყურმილს კიდებდა.

„ნეტავი, იმან თუ დარეკა? ალბათ, არა“. მე მიცდიდა. უკანასკნელი შეხვედრისას გადავწყვიტეთ: სიყვარული სულაც არ გვაძლევდა იმის უფლებას, რომ ჩვენი შვილებისთვის ცხოვრება დაგვენგრია და დავიწყეთ ისეთი მდგომარეობის გამოძებნა, ყველა თავს კარგად რომ იგრძნობდა.

ბუზი რომ აწყდება ხოლმე ფანჯრის მინას, სწორედ ისე ვცოდვილობდით, საკუთარი ფრთების ფათქუნის ხმაც კი გვესმოდა, თუმცა სასიკეთო მაინც ვერაფერი მოვიფიქრეთ.

— მოდი, დავშორდეთ! — შევთავაზე მე.

— მერე როგორ ვიცხოვროთ? — მკითხა.

ეს კი აღარ ვიცოდი. არც მან იცოდა.

— როგორ და, ასე... — დავამშვიდე.

— ეს რა ცხოვრებაა!

— გამოსავალი?

— თვითმფრინავით რომ დავიღუპო, ყველაზე კარგი დასასრული იქნება.

— მერე ბავშვები? — ვკითხე.

— მათ ჩემი ხსოვნა ეყვარებათ.

„საინტერესოა, დარეკა თუ არა? თუ ახლაც ჩვეულებისამებრ ორი დღის შემდეგ დარეკავს“.

— გარდაიცვალა! — უპასუხებს ქმარი.

იგი გაჩუმდება. არც ქმარი გააგრძელებს საუბარს. მერე ქმარი დაემშვიდობება და ყურმილს დაკიდებს. ესეც ასე. ყოველგვარი გამოსავლის გარეშე.

სიკვდილი იმით არის მოსაწყენი, რომ ვარიანტებს გამორიცხავს.

- საღამოს დედაჩემი ჩამოვიდა.

დედამ ქმარს უთხრა, რომ არ დაუტოვებდა არც ერთ თეფშსა და ბალიშის პირს. მირჩევნია, ყველაფერი დავამტვრიო და დავფხრიწო, ვიდრე შენ დაგრჩესო.

— ნუ ლაპარაკობთ სისულელეს! — უთხრა განაწყენებულმა ქმარმა.

— ჩემი ქალიშვილის სიკვდილი შენი ბრალია, ჯობდა, შენ მომკვდარიყავი! — უპასუხა დედაჩემმა.

— ახლა დედაჩემს ჰკითხეთ! — უპასუხა ქმარმა.

ათი საათისთვის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. სახლი დაცარიელდა. სადღაც მაღლა და შორს საათი ტიკტიკებდა. მერე გუგუნი მომესმა, თითქოს ონკანი მოუშვესო. მივხვდი, ქმარმა ტელევიზორი ჩართო — ფეხბურთის გადაცემას უყურებდა.

— ფეხბურთს უყურებ?! — ჰკითხა ოთახში შემოსულმა დედაჩემმა.

— მაშ, რა ვქნა? — უპასუხა ქმარმა.

მართლაც, რა უნდა ექნა?!.

ორი დღის შემდეგ დამასაფლავეს.

თოვლი თითქმის გამხვალიყო, სველი დედამიწა ნაკადულებს დაეღვარა, ეს სურათი ცოცხლებსაც კი უმძიმებდა გულს.

ჩემი საფლავის გვერდით რამდენიმე ახალი საფლავი იყო, საფლავებზე დაწყობილ ხელოვნურ ყვავილებს ცელოფანი ეფარა.

გავა დრო, ჩათავდება წვიმები, დედამიწაც გაშრება, საფლავებსაც ცელოფანის ზეწრებს გადახდიან და კოხტად მორთულ-მოკაზმული საფლავები თვალს ეამება.

კუბოს სახურავზე გორახები ახმაურდა.

საფლავის ბორცვი პატარა გამოვიდა, ძლივს შეამჩნევდა კაცი. საფლავზე ცოცხალი ყვავილები დააწყვეს. ცოცხალი ყვავილები სჯობს ხელოვნურს, თუმცა ხელოვნური უფრო პრაქტიკულია.

მერე კი ღმერთი ვიხილე.— იგი შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა.

ღმერთს მოკლე, პრიალა კაბაში გამოწყობილი მივუახლოვდი და თვალებში ჩავხედე.

— მაპატიეთ! — შევთხოვე მე.

— ყველა მთხოვს, დედამიწაზე ყოფნა გავუხანგრძლივო, შენ კი თვითონ წამოხვედი. რამ გაიძულა?!

— სხვა გზა არ მქონდა! აქ ვარიანტები მაინც არ არის. ვარიანტებმა დამღალა.

— ცოტა მოგვეთმინა.

— ვერც ბედს შევურიგდი და ვერც რაიმე შევცვალე. უცებ წარსული ცხოვრების ერთმა ამბავმა თავი შემახსენა და უნებურად ავტირდი.

ღმერთმა თავზე გადამისვა ხელი.

— ნუ ტირი, გაჩუმდი. ხომ ხედავ, რომ მელოდები!

— რამდენი გეძახეთ... როგორ გელოდით. იქნებ, რაიმე გერჩიათ. რად არ ისმინეთ ჩემი ვედრება?!

— მე გიპასუხე: მოითმინე, ყველაფერი გაივლის-მეთქი!

— მართლა?

— რა თქმა უნდა. ყველაფერს მოესწრებოდი.

— ნუთუ?

— უფრო უკეთესს.

— მაშ, თქვენი ხმა რატომ ვერ გავიგონე?

— იმიტომ, რომ შენს სულში სიყვარულს უფრო ღრმად გაედგა ფესვი, ვიდრე ღმერთს. სიყვარულის ხმას უსმენდი!

ღმერთმა ლოყაზე ხელი ჩამომისვა, ცრემლი მომწმინდა. იგი ტანმაღალი, გრძელთმიანი კაცი იყო, თანამედროვე ახალგაზრდას მაგონებდა.

ჩვენს მაღლა ჩემი კაბის წინწკლებივით ბრჭყვიალებდა ვარსკვლავთ მტვერი.

— ხომ არა გსურს რაიმე? — მკითხა ღმერთმა.

— იმისი ნახვა!

ღმერთმა ერთხანს ირმის ნახტომის კვალდაკვალ მატარა, მერე შეჩერდა, ხელი დაიქნია და ჩემი სული გაანთავისუფლა. სულმა კი იქამდე იფრინა, სანამ თვალშეუდგამ წყვდიადს არ გააღწია.

მერე ერთხანს მისი სახლის თავზე იტრიალა და ღია სარკმელში შეფრინდა, რაფაზე ჩამოსკუპდა. იგი მაგიდასთან იჯდა და თავის გოგონას „დურაკობანას“ ეთამაშებოდა. ფრთხილად მივუახლოვდი და მის კარტს ჩავხედე.

იგი აგებდა. მე არ შემეძლო რაიმე მეკარნახა. მან ჩვეულებისამებრ ორი დღის შემდეგ დამირეკა.

ყურმილი ავიღე. იგი დუმდა. მაინც ვიცანი.

— აი, ავდგები და მოვკვდები, მაშინ კი მთელ ცხოვრებას წააგებ! — ვუთხარი მე.

— მოკვდები?!. — ხმა გამცა, — შენ სულ მასე მემუქრები!

ორივენი გავჩუმდით. ხშირად ვდუმდით ხოლმე ასე და სულ არ გვწყინდებოდა. ქალაქის სხვადასხვა ბოლოში ვიდექით და ერთმანეთის გულისცემას ვუსმენდით.

თარგმნა **ჟაგა ასათიანმა**

# ის იქნება მეფე

სიმამ ნატროშვილი

„ისრაელა ელჩი მიიცვალა ასტრახანსა“, — გვაუწყებს ერთი ქართული ქრონოლოგიური წყარო, „ფურცელაანთეულ ქრონიკას“ რომ ეძახიან. იქვე მითითებულია ხსენებული პირის გარდაცვალების ზუსტი თარილიც, სახელდობრ 1711 წლის 18 სექტემბერი.

ვინ და ვისი ელჩი იყო, სად და რომელ მხარეს მოღვაწეობდა, როგორ აღმოჩნდა ასტრახანში და, რაც მთავარია, რატომ მოხვდა მისი გარდაცვალების ცნობა სიტყვაძუნწი ქართული ქრონიკის ფურცლებზე, სადაც გამოტოვებულია იმდროინდელი ქართლის ცხოვრების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი (მაგალითად, გიორგი XI-ის დაღუპვა ყანდაარში 1709 წელს).

ასეთი კითხვები ბუნებრივია. ერთადერთი, რაც ეჭვს არ იწვევს, ის გახლავთ, რომ „ისრაელა ელჩს“ გარკვეული ურთიერთობა ექნებოდა ქართველებთან, ჩვენში კარგად ეცოდინებოდათ მისი ასავალ-დასავალი, თორემ უცნობი კაცის გარდაცვალების ზუსტი თარილი რაში ენაღვლებოდათ?!

„ისრაელა ელჩის“ ვინაობის დადგენა არ წარმოადგენს სიძნელეს. უცხოურ წყაროებს უხვად შემოუნახავთ მასალა სომეხი ხალხის გამოჩენილი შვილის — ისრაელ ორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

სეფიანთა ირანში დამკვიდრებული კათოლიკე მისიონერი თადეუშ კრუშინსკი მოგვითხრობს:

1708 წლის ზაფხულში შემახის ხანმა ამცნო სეფიანთა სამეფო კარს, რომ შემახაში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორის ელჩი ისრაელ ორი, წარმოშობით სომეხი, რომელსაც მოჰქონდა რომის პაპის ეპისტოლე შაჰ-ჰუსეინისადმი და ახლდა ჩვეულებრივზე მრავალრიცხოვანი ამალა. ამავე დროს შეიტყვეს ხსენებული ელჩის მოულოდნელი და უცნაური განცხადება: სომხეთის უძველეს მეფეთა შთამომავალი ვარ და ჩემს კანონიერ უფლებათა დათმობას არ ვაპირებო. შეშფოთდნენ შაჰ-ჰუსეინიცა და მისი ვეზირებიც. უსაზღვრო იყო მათი გულუბრყვილო შიში და განგაში. სეფიანთა სამეფო კარზე დაასკვნეს, რომ ირანის ქვეშევრდომი სომეხი, რომელიც ასე თამამად და გამომწვევად იქცევა, მხოლოდ ელჩად არ იქნება გამოგზავნილი, ეტყობა, საიდუმლო დავალებებით არის აღჭურვილიო. აბრიალებულ განგაშს ცეცხლი შეუნთეს ისპაანში დამკვიდრებულმა ევროპელმა ვაჭრებმა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ისრაელ ორის მისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო რუსეთ-ირანის ვაჭრობის გაცხოველება და ევროპელთა შევიწროება. ამიტომაც განიზრახეს საფრთხის გაზვიადება. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთის ელჩი, გვარად მიშელი. ამტკიცებდნენ, ქრისტიან ხელმწიფეთა წერილები ნაყალბევი არისო. იმოწმებდნენ სომხურ არქივებში ვითომდა დაცულ წინასწარმეტყველებას სომხეთის სამეფოს აღდგენაზე რუსეთის მფარველობის ქვეშ. და ბოლოს, ცრუმორწმუნე შაჰ-ჰუსეინის შესაძრწუნებლად გამოაცხადეს, რომ ფრანგულ ენაზე ელჩის სახელიდან (ისრაელ ორი) შედგენილი ანაგრამა შეიცავდა ასეთ გამოთქმას: „ილ სერა როი“ (ქართულად „ის იქნება მეფე“). დახეთ, თვით ელჩის სახელიც მისი პრეტენზიების დადასტურებას წარმოადგენსო! ასეთ ვითარებაში შაჰ-ჰუსეინი ორჭოფობდა, მაგრამ რუსეთის იმპერატორის შიშითა და პატივისცემით ელჩობას ისპაანში ჩამოსვლის ნება დართო.

...ისრაელ ორი წარმოშობით ყარაბაღიდან იყო და ბროშიანთა ცნობილ გვარს ეკუთვნოდა. სომხეთში ცხოვრობდნენ მისი მშობლები და უახლოესი ნათესავები. ერთხანს მიმოწერა ჰქონდათ, შემდეგ შეწყვიტეს ყიზილბაშთა შიშით და აღარც იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ არა ევროპაში გადაკარგული ისრაელ ორი.

დიუსელდორფში დაქორწინდა და ორი შვილი შეეძინა.

მრავალი ენა იცოდა: ლათინური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული, თურქული, სპარსული.

ექვს წელიწადს იმსახურა საფრანგეთის ჯარში ოფიცრად. შემდეგ ინგლისელთა ტყვეობაში აღმოჩნდა. კიდევ ოთხი წელი ბავარიაში გაატარა. მოახსენა ბავარიის მთავარს სომეხი ხალხის მისწრაფებანი. მერე ვენაში ჩავიდა, იქაც ითხოვა დახმარება, მერე —კრაკოვი, ბუქარესტი, კონსტანტინოპოლი, ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა და სომეხ მელიქებს აუწყა, ბავარიის მთავარი შემწეობას გვპირდებაო. 1699 წელს სომეხმა მელიქებმა ისრაელ ორის მიანდვეს მაჰმადიანური უღლიდან სომხეთის გამოხსნის საქმე და ყოველგვარი მხარდაჭერა აღუთქვეს.

ახლა რუსეთისკენ აიღო გეზი. 1701 წელს მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის იმპერატორს სომეხ მელიქთა წერილები მიართვა. 1704 წელს ისევ ევროპას გაემგზავრა. ორი წლის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა.

პეტრე პირველის პიროვნებამ დიდად მოხიბლა ისრაელ ორი. „მზად ვარ, მსხვერპლად შევეწირო თქვენს სიცოცხლესა და დიდებას“, — ასე მიმართავდა იგი სახელოვან ხელმწიფეს, აცნობდა სომხეთის დიდებულ წარსულს, შემდგომში მაჰმადიანთა უღელქვეშ მოქცევას და, ბოლოს, დასძენდა: „არსებობს ჩვენში წინასწარმეტყველება, რომ ბოლოს და ბოლოს ურჯულონი გამძვინვარდებიან და თავს მოახვევენ ქრისტიანებს თავის ბილწ რჯულსა და კანონს. მაშინ მოვა მოსკოვიდან დიდი ხელმწიფე, ალექსანდრე მაკედონელზე უმამაცესი. ის აღადგენს სომეხთა სამეფოს და გამოიხსნის ქრისტიანებს. ჩვენ გვწამს, რომ ამ წინასწარმეტყველების აღსრულება კარზეა მომდგარი“.

რუსული საარქივო დოკუმენტები ახასიათებენ ისრაელ ორის, როგორც კეთილშობილსა დ ენერგიულ ადამიანს. იგი სწრაფად იხვეჭდა ახალგაცნობილთა ნდობას და პატივისცემას. სხვათა შორის, რომის პაპის ეპისტოლეში შაჰ-ჰუსეინისადმი ვკითხულობთ: „უბრწყინვალესო და უძლიერესო ხელმწიფევ... ვინაიდან ჩვენი საწუკვარი შვილი ისრაელ ორი შემკულია კეთილზნეობით, პატიოსნებით, სიბრძნითა და მაღალი რწმენით, ამისათვის დაიმსახურა ჩვენი საგანგებო სიყვარული“ (კათოლიკური სამყაროს მეუფე მოუწოდებდა მაჰმადიან მბრძანებელს, არ დაეჩაგრა ირანში დამკვიდრებული კათოლიკენი და სომეხი მოსახლეობა).

პეტრე პირველმა მაშინვე მიაპყრო წყალობის თვალი სომეხ მოღვაწეს, პოლკოვნიკობა უბოძა და ირანს მიმავალ ელჩობას სათავეში ჩაუყენა. ისრაელ ორი საფუძვლიანად ასაბუთებდა, თუ რატომ იქნებოდა მიზანშეწონილი მისი ყოფნა ელჩობის მეთაურად. სომხები და ქართველები კარგად მიცნობენ, ხოლო სხვა ვინმეს, ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიც რომ იყოს, ყიზილბაშთა შიშით არ ენდობიანო.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ისრაელ ორი თავისი ხარჯით აწყობდა ელჩობას. იგი იძულებული გახდა, მსხვილი სესხიც აეღო.

ირანში გავრცელებული მითქმა-მოთქმა ისრაელ ორის მიიჩნევდა რუსეთის იმპერატორის მიერ საიდუმლო დავალებებით აღჭურვილ ელჩად, რომელიც შენიღბული იყო რომის პაპის სიგელით. ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს ეს მითქმა-მოთქმა, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ პეტრე პირველის ელჩს გაცილებით დიდი გეგმები ჰქონდა, ვიდრე ამას მისი ელჩობა ითვალისწინებდა.

ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დღის წესრიგში ელჩობის საკითხი დადგებოდა, დაუღალავმა სომეხმა მოღვაწემ რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების ვრცელი პროექტი წარუდგინა.

ისრაელ ორი ოცდახუთ ათას ჯარისკაცს, ექვს ზარბაზანსა და ას დროშას ითხოვდა. მისი პროექტის თანახმად, ჯარის ერთი ნაწილი (ხუთი ათასი ცხენოსანი და ამდენივე ქვეითი) ასტრახანიდან ხომალდებით უნდა ჩასულიყო ნიზაბადს, გაეგრძელებინა გზა ხმელეთზე და ქალაქი შემახა („გასაღები სომხეთისა“) აეღო, ხოლო ჯარის მეორე ნაწილი თერგის გზით შევიდოდა საქართველოში, სადაც შეიერთებდა ქართულ მხედრობას და ერევნისაკენ დაიძრებოდა (ისრაელ ორის პროექტში უაღრესად ზუსტად იყო ნაანგარიშევი ყოველგვარი წვრილმანიც კი).

სომეხი მოღვაწე განსაკუთრებულ იმედს ქართველებზე ამყარებდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართველების გარეშე სეფიანთა ირანის სამხედრო ძალა მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა.

ისრაელ ორიმ ახლო ურთიერთობა დაამყარა მოსკოვში გადახვეწილ არჩილ მეფესთან, გაანდო თავისი მიზნები და გეგმები. მათ საერთო ენა ადვილად გამონახეს, რადგან სატკივარიც და სანადელიც საერთო ჰქონდათ.

ისრაელ ორის აზრით, წარმატების უპირველესი საწინდარი იქნებოდა მისი ჩასვლა სომხეთში, ხოლო არჩილისა — საქართველოში. ეტყობა, გიორგი მეფის მხარდაჭერასაც ვარაუდობდა, ვინაიდან პეტრე პირველისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია: „თუმცა გეორგიანთა პრინცის ძმა ირანში ვიცე-კოროლი და ფელდმარშალია, შაჰი ბოლომდე არ ენდობა მას და ინდოეთის საზღვარზე ჰყავს გამწესებული“ (გეორგიანთა პრინცად ნაგულისხმევია არჩილ მეფე, ხოლო ირანის „ვიცე-კოროლი და ფელდმარშალი“ გახლავთ გიორგი XI, მეფე ქართლისა, სპასალარი ირანისა და ბეგლარბეგი ქირმან-ყანდაარისა).

ისრაელ ორის პროექტი პროექტად დარჩა, რადგან პეტრე პირველი შვედებთან ომობდა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის არ ეცალა.

...ისრაელ ორის ვიზიტმა ირანში სარგებლობა მოუტანა მხოლოდ მირ-ვეისს, ავღანთა ტომის მეამბოხე წინამძღოლს, ყანდაარიდან ისპაანში პატიმრად რომ იყო წარგზავნილი. ისრაელ ორის ელჩობის გამო ატეხილი პანიკის შედეგად სეფიანთა სამეფო კარზე პოტენციურ მოღალატედ მონათლეს გიორგი XI, ხოლო მირ-ვეისი პატივით დააბრუნეს ყანდაარში ნდობადაკარგული ქართველი ბეგლარბეგის მეთვალყურედ.

სეფიანთა ირანმა ამით ყანდაარიც გაწირა და უბადლო სპასალარიც.

# ვინ იყო ივანე შენგელიძე?

**შოთა ხანთაძე,**
პროფესორი

1859 წლის 12 თებერვალს, ღამით, ხარკოვიდან ქალაქ კრასნოკუტსკისაკენ მიმავალ თოვლიან გზაზე გაშმაგებით მიჰქროდა მარხილი. მგზავრი თავს ველარ უჭერდა გადარეულ ცხენს. სოფელ პერესეჩნის მახლობლად ეს რბოლა ტრაგიკულად დამთავრდა... მკვეთრ მოსახვევში მარცხენა ხელნამ ქახანი გაილო და გატყდა. ცხენი კიდევ უფრო გაშმაგდა. მან წიხლით ჩაამტვრია მარხილის წინა ფიცარი, დაწყვიტა აღვირები, გზიდან გადაუხვია, თხრილს გადაევლო და ველზე გაიჭრა.

გაქანებული მარხილი მთელი ძალით მიაწყდა თხრილის მეორე მხარეს, გადაბრუნდა და ცხვირით თოვლში ჩაეფლო. მგზავრი თავით მიენარცხა მარხილის წინა ნაწილს, სისხლმა ითქრიალა...

ქაღალდებით და ნახაზებით სავსე აბგა ინერციის ძალით შორს გაიტყორცნა. ჰაერში აფრიალებული ფურცლები ქარმა გაიტაცა, თოვლში მიფანტ-მოფანტა.

რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგის გაზეთი „რუსკოე დნევნიკი" აქვეყნებს ცნობას: „13 თებერვალს ხარკოვის მაზრაში, სოფელ პერესეჩნის ახლოს, გზაზე, მკვდარი ნახეს ტიტულიარნი სოვეტნიკი ივანე შენგელიძე... წინასწარი ძიებით დადგენილია, რომ 12 თებერვალს შენგელიძე ხარკოვიდან გაემგზავრა თავისი საცხოვრებელი ადგილისაკენ — კრასნოკუტსკისაკენ, მარტო, ბაზარში ნაყიდი ცხენით, რომელიც, როგორც ამბობენ, გაუხედნავი იყო და დაწუნებული". აქვეა აღწერილი მისი დაღუპვის სცენა.

ვინ იყო ივანე შენგელიძე? რისთვის ჩავიდა ხარკოვში? რა აწუხებდა მას?

ერთი წლის შემდეგ ხარკოვის გუბერნიის გაზეთი — „უწყებების" — რედაქციამ პასუხი გასცა ამ კითხვებს — დამატებებში დაიბეჭდა ივანე პეტრეს ძე შენგელიძის ბიოგრაფია. დაღუპვის წინა დღეებში ივანე შენგელიძე მისულა რედაქციაში, თანამშრომლებისათვის გაუცვნია თავისი გამოგონებები, გაუცვნია მათთვის საკუთარი ბროშურები, გამოგონებათა ნუსხა და ულაპარაკია თავისი დუხჭირი, ცხოვრების, სილატაკის, ავადმყოფობის და, განსაკუთრებით, იმ უყურადღებობის შესახებ, რომელიც გამოიჩინა მის მიმართ მთავრობამ და იმდროინდელმა მაღალმა საზოგადოებამ. რედაქცია ვრცლად და დიდი გულისტკივილით აღწერს შენგელიძის მძიმე ცხოვრებას, მის ხორცშეუსხამ გამოგონებებს, აუხდენელ ოცნებებსა და დამსხვრეულ იმედებს. უსახსრობამ არ მისცა საშუალება ივანე შენგელიძეს საქმედ ექცია თავისი გამოგონებები, მთავრობამ არ გაუწია მას დახმარება, არც საზოგადოებაში გამოუჩნდა შემწე. თითქოს უკვალოდ ჩაიარა მისმა ცხოვრებამ. ღამის ქარბუქში დაიკარგა მისი ნააზრევი, მისი სახელი დავიწყებას მიეცა.

* * *

კრასნოკუტსკი ხარკოვის გუბერნიის ბოგოდუხოვის მაზრაში მდებარეობდა. აქ ცხოვრობდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ჟამთა სიავის გამო რუსეთში გადახვეწილ ქართველ აზნაურიშვილთა ერთ-ერთი ჩამომავალი დანიელ იოსების ძე შენგელიძე (რუსეთში შენგელიძევად წოდებული). მას კრასნოკუტსკის „გოროდნიჩის" თანამდებობა ეკავა. იგი მაცხოვრის ეკლესიის ახლოს ცხოვრობდა და შესანიშნავი ხეხილისა და ყვავილების ბაღი ჰქონდა გაშენებული. დანიელის უფროსი ვაჟი, პეტრე, პეტერბურგში მსახურობდა. ცდილობდა მცირეოდენი თანხისათვის მოეყარა თავი.

უბედურება მოულოდნელად დაატყდა თავს შენგელიძეთა ოჯახს. დანიელს სამაზრო ხაზინის ფულების რევიზია დაავალეს. ხაზინადარს ფული საწყობში მიჰქონდა, ითვლიდნენ და იქვე ინახავდნენ. ნაფიცი ხალხი თვალს ადევნებდა რევიზიას. ღამით ვიღაცამ საწყობი გატეხა და ფული გაიტაცა. მთავრობამ დანიელი დააპატიმრა, ციხეში ჩასვა. პეტრე სასწრაფოდ დაბრუნდა პეტერბურგიდან, დაგროვილი ფულით მოხუცი მამა საპატიმროდან დაიხსნა და კრასნოკუტსკში დარჩა.

დანიელს დიდხანს აღარ უცოცხლია. მან მძიმედ განიცადა დაუმსახურებელი სასჯელი და დარდს გადაჰყვა. მალე პეტრეც გარდაიცვალა. მთელი ოჯახი (დედა და სამი და-ძმა) პეტრეს უფროსი ვაჟის, ივანეს, მხრებს დააწვა. ეს იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. ივანე იმ დროს 17 წლის ყმაწვილი იყო. ერთი წლით ადრე მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის კეთილშობილთა პანსიონი და ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. მამის გარდაცვალების შემდეგ სამსახურში ჩადგა.

პანსიონატში სწავლის დროს ივანე გატაცებული იყო ფიზიკითა და მათემატიკით. სამსახურის დაწყების შემდეგ არ შეუწყვეტია მეცადინეობა ამ საგნებში. ღამეებს თეთრად ათენებდა. ათასი იდეა გაუჩნდა. განსაკუთრებით აწუხებდა მუდმივი ძრავის შექმნის აზრი.

18 წელი გავიდა. დედა აღარ ჰყავდა. და-ძმები გაიზარდნენ. ივანე პეტერბურგში წავიდა, რათა მთავრობისათვის წარედგინა თავისი გამოგონებები და ცდილიყო მის განხორციელებას.

1848 წლის დასაწყისში ივანე შენგელიძემ ფინანსთა სამინისტროს მანუფაქტურისა და საშინაო ვაჭრობის დეპარტამენტში წარადგინა რამდენიმე გამოგონების მასალები და მოითხოვა საავტორო უფლება.

იმავე წლის 5 მარტს ივანე შენგელიძე დეპარტამენტში დაიბარეს. აქ მან შეიტყო, რომ თანახმად იმდროინდელი კანონმდებლობისა, გამოგონებათა პრივილეგიის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის გამომგონებელს აღნიშნულ დეპარტამენტში წინასწარ უნდა შეეტანა ბაჟის სახით 450 მანეთი ვერცხლით. პრივილეგიის გაცემის შემდეგ კი გამომგონებელი ვალდებული იყო ორნახევარი წლის განმავლობაში განეხორციელებინა იგი. გამოგონების მასალები ქვეყნდებოდა და უკეთუ გამომგონებელი დათქმულ ვადაში ვერ განახორციელებდა მას, იგი კარგავდა საავტორო უფლებას და ყველას შეეძლო უსასყიდლოდ ესარგებლა ამ გამოგონებით.

ივანე შენგელიძეს ეს თანხა არ ჰქონდა. დეპარტამენტმა მას უარი უთხრა საკითხის განხილვაზე.

მაშინ გამომგონებელმა გადაწყვიტა დახმარება ეთხოვა საზოგადოებისათვის, რის ვაივაგლახით 1849 წელს მან გამოაქვეყნა ბროშურა: „სასარგებლო გამოგონება: ძალთმქმნელი. აზნაურ ივ. შენგელიძისა".

ბროშურას გულგრილად შეხვდნენ. აქა-იქ ირონიული ხმებიც გაისმა.

მხოლოდ გაზეთ „სევერნაია პჩელას" ერთ-ერთი კორესპონდენტი გამოეხმაურა ივ. შენგელიძის ბროშურას: „სამჯერ ზედიზედ გადავიკითხე შენგელიძის ბროშურა, — წერდა იგი, — და თავი ვერ დავაღწიე გაოცებას. თუკი ეს მანქანა მართლაც აკეთებს იმას, რასაც მისგან ელიან, მაშინ ის შექმნის ახალ ერას სამოქალაქო საზოგადოებაში, შეცვლის საფაბრიკო მრეწველობისა და მიწათმოქმედების განვითარების გზას... მე პირადად ვესაუბრე გამომგონებელს. მისი მსჯელობა ისე ჭკვიანური და საფუძვლიანი იყო, როორც შეეძლოთ ესაუბრათ ვატს, ფულტოს ან ვაკმონს. მართლაც საოცარია! ბატონი შენგელიძე საფუძვლიანად იცნობს მექანიკას, მის მთავარ ძალებს, რომლებიც ისევე როგორც ყველაფერი ბუნებაში, უაღრესად მარტივი და გასაგებია, როცა ძირითადი კანონებია ცნობილია...

ნუთუ რუსეთში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ცდიდა ბედს განეხორციელებინა შენგელიძის იდეა? ამის დაჯერება არ მინდა! მაგრამ ბატონი შენგელიძე, მეტყვიან მე, არ მიეკუთვნება სწავლულთა წოდებას. ვატი და ფულტონი ასევე არ ყოფილან ფიზიკის პროფესორები და აკადემიკოსები. პატივცემული ბატონი, იაკობი, რომელმაც ჩვენში გალვანოპლასტიკა აღმოაჩინა, იყო დერპტის უნივერსიტეტის სამოქალაქო არქიტექტურის პროფესორი და არა ფიზიკოსი ან ქიმიკოსი. ფიზიკაში და ქიმიაში ის მუშაობდა როგორც მოყვარული, თითქმის ყველა დიდი აღმოჩენა და გამოგონება შემთხვევითაა გაკეთებული, მოყვარულების მიერ. გულით მინდა, რომ შენგელიძე მალე შეუდგეს ცდებს, რომ მათ გაამართლონ კაცობრიობის სასარგებლოდ და რუსეთის სადიდებლად. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. ბატონი შენგელიძე აქ არის, მისი წიგნაკი დაბეჭდილია, მისამართი ცნობილია, ღმერთო შეგვეწიე!"

კორესპონდენტის იმედი არ გამართლდა. არავინ გამოჩნდა, ვინც „ცდიდა ბედს"...

ივ. შენგელიძემ ამის შემდეგ პირდაპირ ფინანსთა მინისტრს მიმართა. 1851 წლის 31 მაისს მან თხოვნა გაუგზავნა გ. ს. ბლუდოვს ბაჟისაგან გამათავისუფლეთო. ამასთან ერთად წარუდგინა მას რეესტრი, სადაც ჩამოთვლილი იყო მისი თვრამეტი გამოგონების რაობა, მათი მოქმედებისა და ეფექტიანობის მოკლე აღწერით.

რა უპასუხა მინისტრმა გ. ს. ბლუდოვმა შენგელიძეს? სამწუხაროდ, ვერ მივაგენით პასუხს, მაგრამ იგი ალბათ უარყოფითი იქნებოდა. იქნებ საერთოდ არ უპასუხიათ...

1851 წლის აგვისტოს დამლევს ივ. შენგელიძე მდინარე ვოლგაზე ქალაქ რიბინსკში მიემგზავრებოდა. ღამით ქარიშხალი ატყდა და ნავი მეჩეჩზე გაირიყა. ძლიერი ქარის გავლენით ის ისე ღრმად შეიჭრა მეჩეჩის სილიან ფსკერში, რომ მისი ადგილიდან დაძვრისა და ქარის საწინააღმდეგოდ წაყვანის არავითარი ძალა არ იყო. „ამაო შრომით დაქანცული მუშები დასასვენებლად მიწვნენ და გოლიათის ძილს მიეცნენ, — წერს შენგელიძე, — გამოვეხვიე წყალგაუმტარ ლაბადაში, გავედი გემბანზე და თავი მივეცი ფიქრებს. ჯერ იმ საშუალებებზე ვფიქრობდი, რომელთაც უნდა გამოვეყვანეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან, ხოლო შემდეგ

იმ მეთოდებზე, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი უბედურებათა თავიდან აცილება. და მე შევძელი მომეგონებინა ისეთი მექანიზმი, რომელიც მომავალში, ალბათ, მთლიანად მიაღწევს ამ მიზანს“.

და ავტორი აღწერს ამ მექანიზმს რომელსაც ჩვენ აქ არ მოვიტანთ მაგრამ სპეციალისტები, ალბათ, დაინტერესდებიან ამით და განსაზღვრავენ კიდეც მის ავკარგიანობას.

ეს გამოგონება ივ. შენგელიძემ ბროშურის სახით გამოაქვეყნა 1853 წელს, მოსკოვში. იმავე წელს მან კიდევ ერთი ბროშურა დაბეჭდა: „აღწერა პირდაპირმავალისა, რომელიც გამოგონილი იქნა 1850 წელს და გაუმჯობესებული 1851 წელს“. ბროშურას 13 ნახაზი აქვს დართული.

ბოლოს ივანე შენგელიძე იძულებული შეიქმნა გაეყიდა თავისი გამოგონებები, დაწერა განცხადებაც, მაგრამ ეტყობა, მაინც თავს იკავებდა, რადგან იგი დაიბეჭდა მხოლოდ მისი დაღუპვის შემდეგ გამოქვეყნებულ ბიოგრაფიულ ნარკვევში. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ალბათ იყო ხელმოკლეობა, რომელიც მთელი მისი სიცოცხლის თანამგზავრად იქცა.

1854 წლის ივლისში მან ერთხელ კიდევ სცადა ბედი: ფინანსთა სამინისტროს მანუფაქტურისა და საშინაო ვაჭრობის დეპარტამენტში წარადგინა მასალები თავისი რამდენიმე გამოგონების შესახებ. ამჯერად მან წარადგინა პირდაპირმავალის აღწერა და ნახაზები, პნევმატური ლუმელების მასალები და ძალმქმნელის აღწერა. ივ. შენგელიძე ითხოვდა თვითონ მთავრობას ავანსად გამოეცადა ეს გამოგონებები და ხარჯები შემდეგ აენაზღაურებინა მათგან მიღებული მოგებიდან.

არ ვიცით რა მიზეზით, მაგრამ დეპარტამენტი ახლა ცოტა უფრო მეტი გულისყურით მოეკიდა საქმეს. აგვისტოში მან განიხილა მასალები და დასკვნისათვის გადასცა ისინი მანუფაქტურული საბჭოს მექანიკოსს ლისტერს.

ლისტერის პასუხი საიმედო იყო და დეპარტამენტმა გადაწყვიტა თუკი გამომგონებელს სურს მიიღოს პრივილეგია, მან უნდა შეიტანოს დადგენილი თანხა... ფინანსიური ზღუდე კვლავ გადაულახავი აღმოჩნდა.

დეპარტამენტის პასუხი შეატყობინეს შენგელიძეს. წარმოსადგენია, რა მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს მასზე.

ხარკოვის საგუბერნიო გაზეთის რედაქციაში ივანე შენგელიძის სტუმრობა იყო მისი უკანასკნელი, ყველაზე უიღბლო ცდა.



# იოგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიამბობს ინდოელი ექიმი **აშოკ ტხაკერი**

**რედაქციისაგან: ვაქვეყნებთ ჟურნალ „ინდოეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ინდოელი მეცნიერის დოქტორ აშოკ ვ. ტხაკვრის სტატიის თარგმანს ინდური ფიზიკური აღზრდის იოგის სისტემის შესახებ.**

**იმედს გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკები მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს, თუ რამდენად სასარგებლოა ინდური ფიზიკური აღზრდის იოგის სისტემით ვარჯიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის.**

**არსებობს თუ არა რაიმე განსხვავება იოგების სისტემით ვარჯიშსა და ჩვეულებრივ ფიზიკურ ვარჯიშებს, დილის გამამხნევებელ ვარჯიშსა და ტანვარჯიშს შორის?**

დიახ, არსებობს. ფიზკულტურა, სპორტი, ტანვარჯიში უპირველეს ყოვლისა მიმართულია ჩონჩხებრივი კუნთების ფიზიკური ძალის, სიმარდის, ამტანიანობის გასავითარებლად და ამგვარად ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაკაჟებას.

იოგაც მიზნად ისახავს სხეულის ფიზიკურ განვითარებას. იოგას თანახმად ადამიანი უნდა იყოს ძლიერი, ჯანმრთელი, შრომისუნარიანი. ძლიერი სული შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერ სხეულში. ხატხა-იოგა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწორედ სწავლების ამ მხარეს.

მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჰარმონიული ფიზიკური განვითარება მხოლოდ ერთ-ერთი მიზანია იოგას სწავლების, მთლიანი კომპლექსის ნაწილია. იოგა — ეს ძალიან რთული, დეტალურად დამუშავებული სისტემაა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანისა. ფიზიკური განვითარების გარდა ის დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობას. იოგა ასწავლის არა მარტო ჩონჩხური, არამედ გლუვი მუსკულატურის, აგრეთვე შინაგანი ორგანოების — გულის, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლის, ტვინის მართვას.

იოგა გვასწავლის თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სრულ კონტროლს უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედებასა და ორგანიზმის გაცვლით პროცესებზე. იოგა — რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური ვარჯიშობანი.

იოგა — ეს გარკვეული სახეობა და წესია ცხოვრებისა. ის ადამიანს უნერგავს ორგანიზმის მთელი შინაგანი პროცესების მართვის ჩვევებს, თავის ტვინის ქერქის მუშაობის, ორგანიზმის მთელ სასიცოცხლო ფუნქციების შეგნებულად კონტროლის უნარს.

**შეიძლება თუ არა იოგას შეხამება დილის გამამხნევებელ ვარჯიშთან, ტანვარჯიშთან, სპორტთან და ა. შ.?**

რა თქმა უნდა, შეიძლება. არავითარ დაპირისპირებას აქ ადგილი არა აქვს. უფრო მეტიც, პირიქით, ასეთი შეხამება მხოლოდ სარგებლობას მოგვიტანს. სწორედ სუნთქვა, საკუთარი ძალების მოკრება, დაძაბვის ისეთი თვისებებია, რომლებიც აუცილებელია როგორც სპორტსმენისათვის, ასევე მეცნიერისათვის, მოსწავლისათვის, ყველა ადამიანისათვის, რათა უფრო ნაყოფიერი გახდეს მათი შრომა.

**შეიძლება თუ არა დაავადების განკურნება იოგის დახმარებით?**

ამ შეკითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავიხსენოთ, თუ რას ნიშნავს ჯანმრთელობა და რას ნიშნავს ავადმყოფობა იოგების სისტემის მიმდევრების წარმოდგენით. ჯანმრთელობა არის მთელი შინაგანი ორგანოების დინამიური წონასწორობა და მათი ადექვატური რეაქცია გარემოს ზემოქმედებაზე. წონასწორობის დარღვევა, ორგანიზმის არაადექვატური რეაქცია გარემო ფაქტორებზე არის ავადმყოფობა. ამიტომ იოგას სისტემა უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობის შენარჩუნების სისტემაა. გამოვდივართ რა ასეთი წინაპირობიდან, იოგას სისტემით მკურნალობა გამოიხატება არა იმდენად მავნე გარემო ფაქტორის თავიდან აცილებაში, რამდენადაც შინაგანი ორგანოების სწორი ფუნქციების აღდგენაში. საჭიროა, ვასწავლოთ ორგანიზმს ადექვატურად მოახდინოს რეაგირება ყველა მავნე ფაქტორზე.

პრაქტიკულად, იოგას სისტემა ხელს უწყობს ყველა დაავადების განკურნებას თუ სწორად არის დასმული დიაგნოზი და ცნობილია მისი მკურნალობის მეთოდები. იოგების აზრით, მთავარია არა ავადმყოფობის მკურნალობა, არამედ მისი თავიდან აცილება. ავადმყოფები იოგებს დასახმარებლად, როგორც წესი, მიმართავენ ყველაზე ბოლოს, როდესაც დაავადებას ღრმად აქვს ფესვი გადგმული და მკურნალობის ყველა საშუალება ამოწურულია. იოგით მეცადინეობა არასდროს არ არის გვიან, მაგრამ უმჯობესია დაწყება ადრეულ და მოწიფულ ასაკში, როდესაც ჯანმრთელია ორგანიზმი.

**იოგების დახმარებით შეიძლება თუ არა ვუმკურნალოთ, ვთქვათ, დიაბეტს, კიბოს ან დამბლას?**

პირდაპირი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე შეუძლებელია.

ცნობილია მაგალითად, რომ დიაბეტს იწვევს ინსულინის უკმარისობა, რომელსაც იმუშავებს კუჭქვეშა ჯირკვალი.

რა არის ინსულინი და რატომ წარმოიშობა ეს უკმარისობა? იოგა ვერ უპასუხებს ასეთ შეკითხვებზე; მაგრამ ის გვაძლევს მთელ რიგ საერთო რეკომენდაციებს, რომლებიც, ჩემი აზრით, სერიოზულად ეხმარება დიაბეტისაგან განკურნებას. ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას მუცლის ღრუს ორგანოებში, მათ შორის კუჭქვეშა ჯირკვლებში, უნდა გახდეს დიაბეტისაგან განსაკურნებელი საშუალებების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ორგანიზმზე უდიდეს გავლენას ახდენს ცენტრალური ნერვული სისტემა, და თუ იოგის დახმარებით იძულებულს გავხდით მას შინაგანი ორგანოების მოქმედება წარმართოს საჭირო მიმართულებით, რა თქმა უნდა, დიდ დახმარებას გაგვიწევს დიაბეტისა და სხვა დაავადებათაგან განკურნებაში.

იოგას სისტემით ბევრ დაავადებათა წარმატებით მკურნალობისათვის, მათ შორის დიაბეტისა, სავსებით აუცილებელია მთელი რიგი სამკურნალო ბალახის ხმარება.

ყოველგვარი ავადმყოფობის განვითარების მსვლელობაში, როგორც წესი, განასხვავებენ რამდენიმე სტადიას, ფაზას.

თუ დაავადებამ ღრმად გაიდგა ფესვი და ორგანოებში გამოიწვია შეუქცევადი მოვლენები, ის ძნელად იკურნება, მათ შორის იოგას მეთოდებითაც. მაგრამ ადამიანებს, რომლებიც იტანჯებიან განმეორებითი ან ქრონიკული დაავადებებით, ეგრეთწოდებული „ძოსაზღვრე მდგომარეობით“, იოგის დახმარებით შეუძლიათ განთავისუფლდნენ სნეულებებისაგან.

**შეიძლება თუ არა დამოუკიდებლად მეცადინეობა იოგით?**

რა თქმა უნდა, კვალიფიციური

ხელმძღვანელობის გარეშე იოგით სერიოზული მეცადინეობა ძნელია. შეიძლება ითქვას, ეს დებულება ვრცელდება ფიზკულტურისა და სპორტის ყველა სახეობათა მიმართ. იოგთან, მის მეთოდებთან პირველი გაცნობისას შეიძლება სამსახური გაგვიწიოს კარგად შემოწმებულმა წიგნმა (სახელმძღვანელომ) ანდა ექიმმა-ფიზკულტურელმა, იოგის მოძღვრების მცოდნემ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ დამწყებმა ჯანსაღად შეაფასოს თავისი ფიზიკური შესაძლებლობანი. იოგის მეცადინეობათა ელემენტარული კურსის დასრულების შემდეგ იგი თვით უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, თუ რა უნდა აკეთოს შემდგომ და რა— არა. მაგრამ თუ იოგის შედარებით უბრალო, ელემენტარულ ვარჯიშობათა და დებულებათა გაცნობა შეიძლება წიგნების დახმარებით, რთულს ჩავწვდებით, მივაღწევთ მხოლოდ იოგის ხელმძღვანელობით.

**რა ასაკში შეიძლება იოგით მეცადინეობა?**

ნებისმიერ ასაკში. მეცადინეობის დაწყება შეიძლება 6 წლის და 60 წლის ასაკშიც. თავისთავად ცხადია, დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს ასაკს. რა თქმა უნდა, მაღალი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური თვისებების გასავითარებლად და აღსაზრდელად ადამიანისათვის ყველაზე ხელსაყრელია ადრეული ასაკი.

საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ არ უნდა ვაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც არ შეიძლება. ვთქვათ, არ შეიძლება 60 წლის ასაკში მეცადინეობის პირველ დღიდანვე 3 საათი ვიდგეთ თავდაყირა. ეს შესაძლებელია კატასტროფულად დამთავრდეს ხნიერი ადამიანისათვის, ყველაფერი ეს უნდა იყოს გონივრულად მოფიქრებული.

ისმება კითხვა: რომ შევასრულოთ ასანი (პოზები) ადრეულ ასაკიდან, ხომ არ გამოიწვევს ეს ძვლების გამრუდებას, სახსრებში ცვლილებებს? არა, არ გამოიწვევს. მაგრამ საჭიროა რთულ ასანებს შევუდგეთ თანდათანობით, ნელ-ნელა, გადაჭარბებით ძალდატანების გარეშე და, რაც მთავარია, არც ერთმა ვარჯიშმა არ უნდა გამოიწვიოს უსიამოვნო გრძნობა, ტკივილის შეგრძნება.

**რა არის „პრანა“, „პრანაიამ“**

თანახმად იოგის მოძღვრებისა, „პრანა“ — ეროგვარი სასიცოცხლო ძალაა, რაც დამახასიათებელია ყველა ცოცხალი არსებისათვის. „პრანა“ ნიშნავს სიცოცხლეს. როდესაც „პრანა“ შორდება სხეულს, იწყება სიკვდილი. ინდოეთის უძველეს ფილოსოფიურ ტრაქტატებში „პრანის“ შესახებ ნათქვამია შემდეგი: „არც მხედველობა, არც სმენა, არც მეტყველება და არც აზროვნება არ აცოცხლებს ადამიანს, ვინაიდან მათ გარეშე, როგორც ვიცით, ადამიანს შეუძლია იცოცხლოს, მაგრამ სუნთქვის გარეშე



ადამიანს არსებობა არ შეუძლია. სუნთქვა არის „პრანა“, სული. სუნთქვის მართვას, სასიცოცხლო ძალის ე. ი. „პრანას“ მართვას კი ეწოდება „პრანაიამ“.

იოგის მოძღვრების თანახმად, სასიცოცხლო ძალა ანუ „პრანა“, ინაცვლებს მთელ ორგანიზმში, სხვადასხვა ორგანოებში. სხვადასხვა დროს „პრანა“ შეიძლება ორგანოებში განაწილდეს სხვადასხვანაირად, და ამაზეა დამოკიდებული სასიცოცხლო ფუნქცია. სწორად სუნთქვით, სხვადასხვა „ასანის“ (პოზების) დახმარებით შეიძლება „პრანის“ მოძრაობის შეცვლა ორგანიზმში, ე. ი. სისხლსავსეობის შეცვლა, ჟანგბადით ორგანიზმის მომარაგება, ნერვული იმპულსაცია და, ამგვარად, ზემოქმედება ადამიანის სხეულის ორგანოების ცხოველმოქმედებაზე. სუნთქვითი ვარჯიშობანი არამარტო ავითარებენ ფილტვებს, არამარტო უფრო სრულად ამარაგებენ სისხლს ჟანგბადით, არამედ ისინი სასიკეთო გავლენას ახდენენ გულის სისხლძარღვთა სისტემაზე, აუმჯობესებენ მის მუშაობას. კარგად მომუშავე გულის სისხლძარღვთა სისტემა, რომელიც აწოდებს დიდი რაოდენობით ჟანგბადს („პრანვაია“) — „სიცოცხლის აირს“ ტვინის უჯრედებს, უაღრესად სასარგებლოდ მოქმედებს ტვინზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მთელი სხეულის მუშაობაზე.

**ვინ არის ღირსი იმეცადინოს იოგით?**

„ის, ვინც ენდობა თავის გურუს (მასწავლებლის) სიტყვებს და ბრძნულ წიგნებს — არის „ადხიკარი“. ის, ვინც ზომიერად იკვებება, ზომიერად სვამს და ზომიერად ძინავს — არის „ადხიკარი“, ე. ი. ადამიანი, რომელსაც აქვს უფლება იმეცადინოს „იოგით“ — ასეა ნათქვამი „იოგასუტრეში“.

**იოგით მეცადინეობის ზოგიერთი წესები.**

იოგით მეცადინეობა ყველაზე უკეთესია დილით, სასურველია, ღია ცის ქვეშ, ცივ ამინდში კი — კარგად განიავებულ ოთახში.

1. მეცადინეობას უნდა შევუდგეთ დილის ტუალეტის შემდეგ, კუჭ-ნაწლავის დაცარიელების შემდეგ.

2. წყლის პროცედურების მიღება, ბანაობა ვარჯიშის შემდეგ არ არის რეკომენდებული. ყველაფერი ეს უნდა შესრულდეს მეცადინეობის დაწყებამდე.

3. ვარჯიშის დაწყებამდე არ შეიძლება არც ჭამა და არც სმა.

4. სანამ იოგის სისტემით დილის გამამხნევებელ ვარჯიშს დავიწყებდეთ, უნდა დავდგეთ პირით მზისაკენ, ხელები დავიწყოთ გულზე, მაჯის მტევნები ერთად და ხმამაღლა რამდენიმეჯერ წარმოთქვათ „ა-უ-მ“. ეს უნდა წარმოითქვას ისე, როგორც ერთი ბგერა, წყნარად და დაუმარცვლავად. ეს ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, გარეშე აზრები იფანტება, გონება და სხეული ემზადება ვარჯიშისათვის, რომლისგან მაქსიმალური სარგებლობის მისაღებადაც აუცილებელია გარკვეული ემოციური განწყობილება.

უძველეს სანსკრიტში არის ძალიან მოხდენილი მიმართვა მზისადმი. მას ეწოდება „გაიატრი მანტრა“:

„ომ ბხურბხუვ სვახ
ომ ტატ სავიტურ ვარ ინიამ
ბხარგო დევასია
დხი მახუ დხი იო იო
ნახა პრაჩო დაიატ“.

თარგმანი დახლოებით ასეთია:

„ო სინათლისა და ენერგიის
წყაროვ დედამიწაზე!
თქვენი აუარაცხელი
სხივებისაგან
მაჩუქე მე ერთი, რომ
სიცოცხლეში
ერთი წამით მაინც
ვბრწყინავდე ისე მკაფიოდ,
როგორც შენ!“

მგონია, ამ სიტყვების გამეორება ზედმეტი არ უნდა იყოს მეცადინეობის წინ. ისინი იწვევენ ამაღლებულ, მხიარულ განწყობილებას.

იოგის მეცადინეობა ყოველთვის უნდა დავიწყოთ განსაკუთრებული მოთელვით — „სურია-ნამასკარ“ (სალამი მზეს).

სურია-ნამასკარ:

1. დადექით სწორად, ხელები დაჭიმეთ ქვევით, ტანის გასწვრივ, მაჯის მტევნებით შიგნით; ფეხის ქუსლები ერთად. შემდეგ დააწყეთ ხელები გულზე ხელისგულებით შიგნით. თანდათანობით ავწიოთ ხელები თავს ზევით, თან გამუდმებით ვუყუროთ მათ. გაჭიმული მდგომარეობიდან გადავიხაროთ უკან, ხელებისა და მუხლების მოღუნვის გარეშე. უნდა გადავიხაროთ შესაძლებლობისადამიხედვით, ძალიან მდორედ, ნარნარად, დაძაბულობის, კუნთების კანკალისა და ტკივილის შეგრძნების გარეშე.

2. ხელების ძირს დაუშვებლად, ნელ-ნელა გასწორდით, შემდეგ დაიხარეთ წინ და ხელებით შეეხეთ იატაკს; მუხლები არ მოღუნოთ, ვარჯიში შეასრულეთ წყნარად, განმეორებითი მკვეთრი მოძრაობის გარეშე.

3. ორივე ხელისგულით დაეყრდენით იატაკს, გამართული მარცხენა ფეხი გასწიეთ უკან, იატაკზე ფეხის თითების სრიალით, ამასთან ერთად მოღუნეთ მარჯვენა ფეხის მუხლი და დაეყრდენით მასზე მკერდით, ჩაზნიქეთ ზურგი, გადაწიეთ თავი უკან.

4. გამართეთ ტანი, დაეყრდენით მარცხენა ფეხის თითებით და ორივე ხელისგულებით იატაკს, ნელ-ნელა გაწიეთ მარჯვენა ფეხი უკან.

5. ეყრდნობით რა ფეხის თითებსა და ხელისგულებს, დასწიეთ ტანი ქვემოთ, ტანი თითქმის იატაკის პარალელურად უნდა იყოს.

6. წელის მოუხრელად, ნელა გაასწორეთ ხელები და ასწიეთ ტანი იატაკიდან, შემდეგ ჩაზნიქეთ ზურგი, თავი გადახარეთ უკან. მოაბრუნეთ თავი მარჯვნივ, შემდეგ მა-

რცხნივ, ეცადეთ დაინახოთ ფეხის ქუსლები.

7. გამართეთ ტანი. მარცხენა ფეხი ნელ-ნელა მოსწიეთ წინ მარცხენა ხელისკენ, მუხლი მიიბჯინეთ მკერდზე. ხელახლა ჩაზნიქეთ ზურგი, თავი გადახარეთ უკან. შემდეგ გამართეთ ზურგი, მოსწიეთ მარჯვენა ფეხი მარჯვენა ხელისაკენ და დადექით საწყის მდგომარეობაში.

— ეს მთლიანი ვარჯიშია. ამ ვარჯიშის შესრულებისას უნდა ისუნთქო ნებისმიერად, თავისუფლად. მოძრაობა უნდა იყოს ნარნარი, მკვეთრი განმეორებითი მოძრაობის გარეშე. ყოველი კუნთი, ყოველი ნერვი მაქსიმალურად უნდა იყოს დაჭიმული. პირველად ვარჯიში უნდა შეასრულოთ ერთხელ და თანდათანობით აიყვანოთ ხუთამდე. მოთელვის შემდეგ შეიძლება შეასრულოთ ყველა სხვა ასანები (პოზები), გააკეთოთ დილის ვარჯიში, იმეცადინოთ განტელებით და სხვა.

**სუნთქვითი ვარჯიშობანი**

ახლა გავეცნოთ რიგ სუნთქვით ვარჯიშებს, რომელთა შესრულება შეუძლია ყოველ ადამიანს. პირები, რომლებიც იტანჯებიან სუნთქვის სისტემის ისეთი ხშირი ქრონიკული დაავადებებით, როგორიც არის სურდო, ანგინა, ბრონქიტები, ბრონქიალური ასთმა და ა. შ., ამ ვარჯიშებიდან მიიღებენ დიდ სარგებლობას.

**ვარჯიში პირველი**

ეს ვარჯიში შედარებით იოლია — მისი შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროს — მოთელვის შემდეგ, ძილის წინ.

დაჯექით იატაკზე და მიიღეთ პოზა „ლოტოსი“ (იატაკზე დამჯდარმა ფეხი ფეხზე უნდა გადადოთ, გაასწოროთ ტანი და ხელისგულები დააწყოთ მუხლებზე) ამასთან, ვარჯიში შეგიძლიათ შეასრულოთ სკამზე დამჯდარმა ან ლოგინში მწოლარემ. ზურგი გასწორებულია. მარჯვენა ხელის დიდი თითით დახურეთ ცხვირის ნესტოს მარჯვენა მხარე. ნეკითა და არათითით მარცხენა. გახსენით ცხვირის ნესტოს მარჯვენა მხარე, ჩაისუნთქეთ ნელ-ნელა და ღრმად, შემდეგ ასევე ნელა ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ ეს 12-ჯერ. შემდეგ ზუსტად ასე ისუნთქეთ ნესტოს მარცხენა მხარეზე.

ეს ორი ვარჯიში — ერთიანი ციკლია. ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა უნდა იყოს ღრმა, წყნარი, უხმო. ჩასუნთქვისას პირველად უნდა აივსოს ჰაერით ფილტვების ქვედა განყოფილებები, ამასთან მუცლის კედლები გაიწევს წინ. შემდეგ მოძრაობაში მოდის მკერდის ყველა კუნთი, აივსება ჰაერით ფილტვების შუა და ზედა ნაწილები. ამოსუნთქვისას პირველად უნდა განთავისუფლდეს ჰაერისაგან ქვედა, შემდეგ შუა და ბოლოს ფილტვების ზედა განყოფილებები.

ვარჯიში ხსნის დაღლილობას, ნერვულ დაძაბულობას, გამღიზიანებლობას. დღის განმავლობაში ასევე შეიძლება რამდენჯერმე აწარმოოთ წყნარი, ღრმა ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ორივე ნესტოთი. ეს მაშინვე შესამჩნევად ზრდის ტვინისა და მთელი ორგანიზმის შრომისუნარიანობას.

**ვარჯიში მეორე**

„ლოტოს“ პოზით დაჯექით იატაკზე ან მოხერხებულად სკამზე, გაასწორეთ ზურგი . ჩაისუნთქეთ ნელა და თანაბრად ცხვირით. ამოავსეთ ჰაერით ფილტვები იმავე წესით — ქვედა, შემდეგ შუა და ზედა განყოფილებები. მაგრამ აჩქარებული ამოსუნთქვა გააკეთეთ, ამასთან ტუჩები დაიკავეთ ისე, როგორც ბგერა „უ“-ს წარმოთქმისას. ვარჯიში გაიმეორეთ 5 ან 10-ჯერ.

ეს ვარჯიში გვათავისუფლებს დაღლილობასა და მომატებულ სისხლის წნევასთან დაკავშირებულ თავის ტკივილებისაგან, ასუფთავებს ბრონქებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ბრონქებში, ხსნის ზემო სასუნთქ გზებში შეშუპებას და შეგუბებულ ანთებით პროცესებს.

**ვარჯიში მესამე**

ამ ვარჯიშს ეწოდება „კაპალაბხატი“. „კაპალა“ სანკრიტულ ენაზე ნიშნავს „შუბლს“ ან „თავის ქალას“, „ბხატი“ კი — „ბრწყინვას“. ამ ვარჯიშით იწმინდება („ბრწყინავს“) თავი. ის შემადგენელი ნაწილია ხატხა-იოგას 6 ძირითადი გამასუფთავებელ (გამწმენდი) ვარჯიშისა.

უნდა დაჯდეთ იატაკზე „ლოტოსის“ პოზით ან სკამზე და გასწორდეთ. დაიწყეთ ხელები მუხლებზე. ცხვირით სწრაფად ჩაისუნთქეთ და ამ. ისუნთქეთ. ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა უნდა იყოს ძალიან ენერგიული. პირველად ყოველ დილით უნდა გააკეთოთ ნამში ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა — 10-ჯერ ზედიზედ. ერთი კვირის შემდეგ ეს ვარჯიში შეიძლება შეასრულოთ დილით და სალამოთი, მხოლოდ კვირის შემდეგ უნდა მიემატოს თითო სუნთქვითი ციკლი (10 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა) და დავიდეს 10 ციკლამდე დღეში.

ეს ვარჯიში ასუფთავებს ცხვირხახას, სასუნთქ ორგანოებს, სპობს ბრონქების ლორწოვანში შეგუბებით და შეშუპებით მოვლენებს, ასუსტებს ბრონქების სპაზმს. ძალიან სასარგებლოდ მოქმედებს ბრონქიალური ასტმისას (თუ შესრულებული იქნება ვარჯიში რეგულარულად, შესაძლებელია ამ დაავადებისაგან სავსებით განკურნება), თავიდან გვაცილებს ფილტვის ბევრ დაავადებას, აუმჯობესებს გულის მუშაობას. ტონუსს მატებს გულსისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემას.

პირველ ხანებში შესაძლებელია თავბრუხვევა, „სიმსუბუქის“ შეგრძნება თავში, მაგრამ მეცადინეობა არ უნდა შევწყვიტოთ. ისინი დადებითი მოვლენებია, რომლებიც დაკავშირებულია ტვინში ჰემოდინამიკურ ცვლილებებთან სისხლძარღვების გაფართოების გამო და რამდენიმე ხნის შემდეგ სრულებით გაივლის.

ამ სამი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ საჭიროა „ლომის“ პოზის მიღება („სინხასანა“): დავჯდეთ ფეხის თითებზე, შემდეგ დავდგეთ მუხლებით იატაკზე და გავასწოროთ ზურგი, ხელები დავიწყოთ მუხლებზე, ამოსუნთქვასთან ერთად გამოვწიოთ ენა გარეთ. დავჭიმოთ ყველა კუნთი, გავშალოთ ხელის თითები, შემდეგ მოვადუნოთ ყველა კუნთი, ასე გავიმეოროთ რამდენჯერმე.

უკანასკნელი ვარჯიში სასარგებლო გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევაზე ცხვირ-ხახაში, ნუშისებრ ჯირკვლებში, ბრონქებში და საყლაპავ მილში. ხელს უწყობს ამ ორგანოების მუშაობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ყველა ვარჯიშის დამთავრების შემდეგ სასარგებლოა რამდენიმე წუთს მოვადუნოთ მთელი სხეული. ამისათვის არსებობს სპეციალური ასანა (პოზა) — „სავასანა“, რაც ნიშნავს „მიცვალებულის პოზას“. იმისათვის რომ სავსებით მოვადუნოთ ყველა კუნთი, საჭიროა ზურგით დავწვეთ სწორ ზედაპირზე. ამასთან ძალიან სასარგებლოა დავიდოთ პატარა მუთაქა კისრის ქვემოთ, წელსა და მოღუნულ მუხლებს ქვეშ. სრული მოდუნებამდე საჭიროა ფეხებისა და ხელების ნამოწევა იატაკიდან 30 გრადუსიანი კუთხით. წამოვწიოთ თავიც და ნახევარი წუთით ყველა კუნთი ვამყოფოთ დაძაბულობაში. შემდეგ უცებ მოვადუნოთ ისინი: თავი, ხელები და ფეხები თვითონ თავისუფლად უნდა დაეცნენ იატაკზე (ისინი კი არ უნდა დაუშვათ, არამედ მართლაც უნდა თვით დაეცნენ). კუნთების ასეთი მოდუნება კარგად აქარწყლებს დაღლილობას და ნერვიულ დაძაბულობას, ამ ასანის დახმარებით შეიძლება ორიოდე წუთში დასვენება.

იოგების ვარჯიშთა მოყვანილი კომპლექსი ძალიან სასარგებლოა იმ პირთათვის, რომლებიც იტანჯებიან სასუნთქი სისტემის ქრონიკული და განმეორებითი დაავადებებით, ხელს უწყობს მათ სწრაფ განკურნებას, ამასთან ავადმყოფებმა არ უნდა შეწყვიტონ მკურნალ ექიმთა მიერ დანიშნული წამლების ხმარება-მიღება. მოზრდილებმა და განსაკუთრებით ბავშვებმა, ვინც ხშირად ცივდება, ძალიან უნდა შეზღუდონ მჟავე პროდუქტების ხმარება( მათ რიცხვს ეკუთვნის ღვინოც, სალამოობით საერთოდ არ უნდა მიიღონ მჟავე, ან თვით მჟავე რძის პროდუქტებიც კი (კეფირი, მაწონი და ა. შ.) დაწოლის წინ, ღამით, აუცილებლად უნდა დალიონ თბილი რძე. ბავშვები, რომლებიც მიჩვეულნი არიან ძილის წინ თბილი რძის მიღებას, იშვიათად ხდებიან ავად გაცივებით გამოწვეული დაავადებით, წყნარად ძინავთ, უკეთესად ვითარდებიან გონებრივად და ფიზიკურად. უძველეს „იოგასუტრეში“, რომელშიც ასახულია ინდოელი იოგების ათასწლეული დაკვირვებანი, ნათქვამია:

„სადილის შემდეგ სვი მჟავე რძე,
დღის ბოლოს კი — თბილი“.

თარგმნა
**სვეტლანა ჩიბურდანიძემ**

**სპორტი**

**გარუნ აკოფოვი**

# ტრადიციები გვავალებს

ქართულ კალათბურთს სახელი და დაფასება არ აკლია. იგი სამართლიანად არის მიჩნეული ერთ-ერთ მოწინავედ საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში. საამაყოდ თუნდაც ის კმარა, რომ მის წიაღში აღიზარდა მთელი პლეადა გამოჩენილი ოსტატებისა — ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ეს იოლი საქმე არ იყო. კალათბურთის ქართული სკოლის დიდება მრავალი წლის მანძილზე იჭედებოდა. მის მდიდარ მატიანეში ბევრი ნათელი, სასახელო ფურცელია ჩაწერილი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დიდ სარბიელზე მოპოვებულ გამარჯვებათა რიცხვითა და მნიშვნელობით ქართველ კალათბურთელებს მხოლოდ ჩვენი მოჭიდავეები თუ გაუწევენ ღირსეულ მეტოქეობას.

საბჭოთა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები და საკავშირო თასის მფლობელნი, კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდების შეჯიბრებაში — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულნი, სსრ კავშირის ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების უცვლელი მონაწილენი... ეს ნუსხა სრულად კიდევ ვერ ასახავს საქართველოს კალათბურთელთა იმ სასახელო გამარჯვებებს, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკა თამამად დაუყენა გვერდში საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ ცენტრებს — მოსკოვს, ლენინგრადს, ბალტიისპირეთს.

გამოჩენილ სპორტსმენებსა და სპორტის ისტორიაში შესულ ღირსშესანიშნავ მოვლენებს კარგად იცნობს ფართო მკითხველი. ამიტომ, ვფიქრობთ, აქ ზედმეტია ცალკეული გვარების ჩამოთვლა, ციფრებისა და ფაქტების გახსენება. მით უფრო, რომ წერილი ეძღვნება არა ისტორიას, არამედ ქართული კალათბურთის დღევანდელ დღეს, მის ამჟამინდელ მოგომარეობას. რაოდენ სამძიმოც უნდა იყოს, აქ საუბარი მოგვიხდება იმის შესახებ, რომ ჩვენი კალათბურ-

# სპორტი

თი ნელ-ნელა კარგავს წლების მანძილზე მოპოვებულ ავტორიტეტს და მოწინავე პოზიციებს, რომ საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში ჩვენი შედეგები დაეცა, რომ საბჭოთა ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ქართველ კალათბურთელთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო...

იმ დღიდან, რაც თბილისის დინამოელთა გუნდმა უკანასკნელად იზეიმა გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატში, აგერ უკვე ცამეტი წელი მიიწურა. ბოლო წლების ყველაზე დიდი მიღწევა ჩვენი გუნდისთვის 1977 წელს მოპოვებული ბრინჯაოს მედლებია. ქვეყნის მორიგ ჩემპიონატში, რომლის ფინიშიც მიმდინარე წლის დამდეგს მოეწყო, „დინამომ" მეხუთე ადგილი დაიკავა — განსაკუთრებით სუსტად ჩაატარა ასპარეზობის დასკვნითი ტური.

იყო თუ არა ეს შედეგი შემთხვევითი? თუკი „ფინალის" ნაგებული მატჩებიდან რომელიმე შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს, პირველ ყოვლისა, ეს ითქმის კაუნასის „ჟალგირისთან" და ლენინგრადის „სპარტაკთან" გამართულ შეხვედრებზე, სადაც ერთგვარმა უიღბლობამაც ითამაშა თავისი როლი (სხვაგვარად ძნელია აიხსნას, გადამწყვეტი ბრძოლის ბოლო წამებში ბურთი როგორ გივარდება ხელიდან ან პირდაპირ ფარის ქვეშიდან კალათში ნატყორცნი, სადღაც განზე რატომ მიფრინავს). მაგრამ ამ მატჩებშიც კი თავი იჩინა გარკვეულმა კანონზომიერებამ: ასაკგადასულმა მოთამაშეებმა ვერ გაუძლეს დამქანცველი, გაჭიანურებული ტურნირის დაძაბულობას. არადა, ბრძოლის მთელი სიმძიმე სწორედ ამ მოთამაშეებს, გუნდის გამოცდილ ვეტერანებს დააწვათ მხრებზე. ისინი გაცილებით მეტ ხანს იყვნენ მოედანზე, ვიდრე ამის უფლებას მათი ფიზიკური ძალის მარაგი იძლეოდა, ვიდრე სატურნირო ბრძოლის სტრატეგია მოითხოვდა. ეს სტრატეგია ახალი არ არის — მან დიდი ხანია მოიპოვა აღიარება და, სხვათა შორის, არა მარტო კალათბურთში. ჰოკეიში, მაგალითად, მაღალი სისწრაფის შესანარჩუნებლად მოთამაშეს ყოველი 40-50 წამის შემდეგ რამდენიმე წუთს სულის მოთქმის საშუალებას აძლევენ. კალათბურთსაც აქვს თავისი დროის რეგლამენტი: დასვენება თამაშის ყოველ 10-12 წუთის შემდეგ (ამ წესს წარმატებით იყენებენ ლენინგრადის „სპარტაკელები"). დასვენება მოთამაშეთა მხნეობის, სისწრაფისა და ინიციატივის შესანარჩუნებლად ამჟამად ნორმად არის მიღებული. მხოლოდ ექსტრემალური პირობები აიძულებს მწვრთნელს წამყვანი მოთამაშენი განსაზღვრულზე მეტ ხანს ამყოფოს მოედანზე და როცა ამგვარი უკიდურესობა ნორმად იქცევა, როცა ეს თითქმის ყოველ მატჩში მეორდება, ცხადია, სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ.

ახლა, ვთქვათ, შევადგინეთ ცხრილი ან დიაგრამა, სადაც გუნდების მიერ დროის ბიუჯეტის გამოყენება იქნება ასახული. სხვა სიტყვებით, ვთქვათ, გამოვთვალეთ, რომელი მოთამაშე რამდენ წუთს ატარებს მოედანზე. სხვისი არ ვიცი და, თბილისის „დინამოს" მონაცემები კი მაინცდამაინც სახარბიელო არ იქნება: გამოვა, რომ მოთამაშეთა ერთი ნაწილი მაქსიმალურად არის დატვირთული, სხვები კი ბრძოლაში ეპიზოდურად თუ მონაწილეობენ. პირველ ჯგუფში შედიან გუნდის ვეტერანები და ნიკოლოზ დერიუგინი, მეორეში — ახალგაზრდა კალათბურთელები. პირველ ჯგუფს მდიდარი გამოცდილება აქვს, მაგრამ ძალის მარაგი არ ჰყოფნის, მეორე ჯგუფს კი სწორედ გამოცდილება აკლია. ამ ხარვეზის შევსება (გამოცდილების შეძენა) ერთადერთი გზით შეიძლება — თამაშით, მხოლოდ და მხოლოდ თამაშით. ახალგაზრდა კალათბურთელი რაც შეიძლება დიდხანს უნდა იყოს მოედანზე და არა მარტო ისეთ ვითარებაში, როცა უკვე ყველაფერი გარკვეულია — ან მოგებულია მატჩი, ან გუნდს გამარჯვების ყოველგვარი იმედი გადაწურული აქვს.

უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდი შეიძლება წარმოიდგინო მისი ნებისმიერი მოთამაშის გარეშე; დღევანდელი თბილისის „დინამო" უდერიუგინოდ, დაგვეთანხმებით, ძნელი წარმოსადგენია. ამ ნათქვამს ისე ნუ ჩამომართმევს მკითხველი, თითქოს საერთოდ შეუცვლელად ვსახავდეთ თბილისელთა ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელს. არა, მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ნაკლს დინამოელთა გუნდურ მზადყოფნასა და გუნდურ ძალაში — ქვეყნის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის არ მოიძებნება გუნდი, რომ ამდენად იყოს დამოკიდებული ერთ რომელიმე მოთამაშეზე. ხოლო ეს სხვა არაფერია, თუ არა პრიმიტიულობა, თუ არა ტაქტიკის სიღარიბე და უმწეობა თვით თანაბარ მეტოქეებთან ბრძოლაშიც კი.

რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს ლიდერი, თუ მთელი კოლექტივის ბედი მარტო ამ ერთ კაცზე ჰკიდია, მეტოქე შეძლებს ალღო აუღოს მის თამაშს და გუნდსაც ადვილად მოარგებს გასაღებს. ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ჩემპიონატის ბოლო შეხვედრებში დერიუგინის ქულებმა მკვეთრად იკლო — ის კი, არ დაგავიწყდეთ, ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა არა მარტო თბილისის „დინამოში", არამედ მთელ უმაღლეს ლიგაშიც.

თბილისის „დინამო" ქართული კალათბურთის ფლაგმანია, მისი ჭირისა თუ ლხინის სარკე, მისი ავკარგის უტყუარი საზომი. და თუ ამ გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ არის, მიზეზი თვით „დინამოში" კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იმ ფესვებში, რომლებიც მას კვებავენ, საზრდოს აწვდიან — ყოველ შემთხვევაში, უნდა აწვდიდნენ.

წარუმატებლობის მიზეზი ბევრია. ეს მიზეზები კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ, როგორც ბოლო წლების პრაქტიკამ ცხადყო, დღესდღეობით სასიკეთო ცვლილებები ჯერ კიდევ არ ჩანს.

ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი რგოლის — მასობრივი კალათბურთის ჩამორჩენა იმას ნიშნავს, რომ დღეს კალათბურთს არ ეყოლება სრულფასოვანი რეზერვი, არ ეყოლება ღირსეული ცვლა. არც კალათბურთის მასობრივი განვითარება (არა მარტო რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, არამედ თვით დედაქალაქშიც), არც ახალგაზრდა კალათბურთელთა ოსტატობის ზრდის დღევანდელი ტემპი არ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს, საქართველოს ტრადიციებსა და შესაძლებლობებს. ამ ექვსი წლის წინ სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა ჩვენს რესპუბლიკაში სპორტული თამაშების განვითარების ნაკლოვანებათა შესახებ მიიღო საგანგებო დადგენილება და მასში კალათბურთის მისამართითაც ბევრი კრიტიკული შენიშვნა იყო გამოთქმული. ამ დოკუმენტის შემდგომ საქართველოს სპორტკომიტეტმა გამოიტანა რამდენიმე დადგენილება, რომლებშიც პრობლემებიც კონკრეტულადაა მითითებული და მისამართებიც. მაგრამ დადგენილებები დადგენილებებად რჩება, კეთილი სურვილები — კეთილ სურვილებად, ჩამორჩენა კი მატულობს და ვითარება სულ უფრო მწვავდება.

სერიოზული პრობლემებია გადასაჭრელი ბავშვთა და ქალთა კალათბურთშიც (საქართველოს ქალთა გუნდი, თავის დროზე საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი რომ იყო და ჩინებულ ოსტატებს ზრდიდა, დიდი ხანია დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას და იქ დაბრუნება აუხდენელ ოცნებად ექცა).

მოსაგვარებელია მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა მომზადების საქმე. ყოველივე ეს გაცილებით მეტ ყურადღებას, ენერგიულ ჩარევასა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას გვავალებს ქართული კალათბურთის ტრადიციები.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის გ. თოთიბაძის ნახატი.

გადაეცა წარმოებას 11. 03. 81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 04. 81 წ. უე 00668. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 55.000, შეკვ. 787. ფასი 30 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ.პ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография Издательства ЦК КП Грузии,
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი დიასახლისი.

არნოლდ გეგეჭკორის ფოტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თელავში.

თარხან არჩვაძის ფოტო.

